

ISSN 0132-5981



# საბჭოთა საპარტიალო



148 /  
1986 / 2

1986

5

მთავარი რედაქტორი  
ლერი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ლევან ალექსიძე
- ანზი არსენაშვილი  
(მეცნიერ-რედაქტორი)
- ველა გერქენიშვილი  
(ცასუსისმეცნიერ-მდივანი)
- ანზორ გაბიანი
- შოთა გორგოძე
- აკაკი კარანაძე
- დურმიუხან ლორია
- ვანტან რაჭველი
- გრიგოლ როინიშვილი
- თამაზ შავჭავჭავაძე
- ალექსანდრე შუშანაშვილი
- ირაკლი ჩიქოვანი
- სერგო ჯორჯანიძე

Главный редактор  
Талаквдзе Л. Г.

Редакционная коллегия:

- Алексидзе Л. А.
- Арсенашвили А. Г.  
(научный редактор)
- Бердзенишвили Г. Д.  
(ответственный секретарь)
- Габияни А. А.
- Горгодзе Ш. В.
- Джорбенадзе С. М.
- Каранадзе А. Г.
- Лория Д. А.
- Размадзе В. А.
- Роинишвили Г. В.
- Чиковани И. П.
- Шавгулидзе Т. Г.
- Шушанашвили А. А.

# საბჭოთა სამსახური

**№ 5**

სამთავრობო  
ორგანო  
1986 წელი

შურნალი გამოდის 1986 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი**

## შ ი ნ ა რ ს ი

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლას — შეტევი სულისკვეთება და პრინციპულობა . . . . . 3

### 7 ოქტომბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა

ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონი . . . . . 6

### ბ. ა. ორჯონიძის დაბადების 100 წლისთავი

შეგზნებარე რევოლუციონერი . . . . . 9

მართლწესრიგისათვის ბრძოლას — შეტევიობა, უკომპრომისობა . . . . . 10

### საპა XXVII ყრილობის გადაწყვეტილებაზე ცნობა

ა. გაბისონია — სკკპ XXVII ყრილობა და პროდუქციის ხარისხზე საპროკურორო ზედამხედველობის აქტუალური საკითხები . . . . . 13

### გზა გადაუვალოთ უსროველ უამოსაპალს

კ. ნარმანია — კანონისა და საზოგადოებრივი აზრის ძალი . . . . . 19

### თეორიის საკითხები

ბ. ჯორბენაძე — იურიდიული აქსიომები . . . . . 26

### სასამართლო პრაქტიკის განვითარება

გ. დევიდიაშვილი — განუხრელად დავიცავთ კანონი სამოქალაქო საქმეთა აცილების დროს . . . . . 32

### სასამართლო ექსპერტიზა: სიხსენი და პრაქტიკა

გ. რამიშვილი — მეტყველება და პიროვნების იდენტიფიკაცია . . . . . 34

### პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

თ. კონსტანტინოვა — სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამართლებრივი მდგომარეობა . . . . . 39

ვ. ზიონი — პროკურორის უფლებამოსილებანი დანაშაულობათა გახსნის საქმეში . . . . . 45

ი. ფალიაშვილი — საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების არსი და სახეები . . . . . 49

ბ. გელაშვილი — ავტორანსპორტის საშუალებათა გატაცების მაკვალიფიცირებელი ნიშნები . . . . . 53

დ. შებერაველი — ნარკომანიისთან ბრძოლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის . . . . . 57

### ჩვენი პროფესიის მოწინავენი

ა. არსენაშვილი — კაცი — მუდამ მართალი გზით მავალი . . . . . 61

რედაქტორის ჩანაწერებიდან . . . . . 63

ე. ყოფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა“ . . . . . 66

ინფორმაცია . . . . . 76

# СОДЕРЖАНИЕ



## В Центральном Комитете Компартии Грузии

Борьба с нетрудовыми доходами — наступательность и принципиальность 3

## 7 октября — День Советской Конституции

Основной закон нашего государства 6

## 100-летие со дня рождения С. Орджоникидзе

Пламенный революционер  
Борьбе за правопорядок — наступательность, бескомпромиссность 9  
10

## Решения XXVII съезда КПСС — в жизнь

Ю. Габисония — XXVII съезд КПСС и актуальные вопросы прокурорского надзора за качеством продукции 13

## Преградим дорогу нетрудовым доходам

К. Нармания — Силой закона и общественного мнения 19

## Вопросы теории

С. Джорбенадзе — Юридические аксиомы 26

## Обобщение судебной практики

Г. Девдариани — Неукоснительно соблюдать законы при отводе по гражданским делам 32

## Судебная экспертиза: новшества и практика

Г. Рамишвили — Речь и идентификация личности 34

## Первые шаги в науке

О. Константинова — Правовые положения Государственного комитета агропрома Союза ССР 39

В. Хиониди — Правомочия прокурора в деле раскрытия преступлений 45

И. Палиашвили — Сущность и виды международных торговых договоров 49

М. Геловани — Квалифицирующие признаки угона автотранспортных средств 53

Д. Метревели — Совершенствовать законодательство по борьбе с наркоманией 57

## Передовики нашей профессии

А. Арсенашвили — Следующий лишь по правильному пути 61

Из записок редактора 63

Э. Қипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 66

Информация 76



© „საბჭოთა სამართალი“, 1986 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, პლანანოვის კრ. 103, ტ. 95-88-49, 95-58-87.

ვალეცა წარმოებას 17. 09. 86 წ., ხელმოწერილია დასაბუქდალ 24. 10. 86 წ.  
ფორმატი 70×1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 2149.

ტირაჟი 28.000.

შე 10318.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



# უპროვალე შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლას — შეგვაჲ სულისკვეთება და პრინციპულობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ რა მუშაობას ეწევა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების მოთხოვნების შესასრულებლად.

ს. შ. შ.

მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, რომ სამინისტროს კოლეგია, პოლიტგანყოფილება, პარტკომი გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ მუშაობის გასაუმჯობესებლად, რომლის მიზანია განმტკიცდეს სოციალისტური მართლწესრიგი, გაძლიერდეს ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობს, ფეხქვეშ თელავს სოციალისტური ცხოვრების წესის პრინციპებსა და ნორმებს. ამ ბოლო დროს სამინისტროს მუშაობის სტილსა და მეთოდებში დადებითი ცვლილებები შეიმჩნევა. მისი ხელმძღვანელობა ისწრაფვის კონკრეტულად იმოქმედოს, აღმოფხვრას ნეგატიური მოვლენები, მეტი წვლილი შემატოს ეკონომიკური, სამეურნეო, თანამდებობრივი დანაშაულობების, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლას.

ეს კონკრეტული საქმეებითაც გამოიხატება. მაგალითად, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მეტი გამოვლინდა სოციალისტური საკუთრების დატაცების, სპეკულაციის, მექრთამეობის, მყიდველთა მოტყუების ფაქტები, გააქტიურდა ბრძოლა ავტოტრანსპორტის ანგარებითი გამოყენების, წვრილმანი დატაცებების წინააღმდეგ და ა. შ. დიდი ყურადღება ეთმობა სპირტიანი სასმელების სპეკულაციის აღკვეთას, შინნახადი არყის დამზადებისა და გაყიდვის, ღვინო-არყის ნაწარმის ვაჭრობის წესების დარღვევათა აღმოფხვრას.

მაგრამ, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, ამ მხრივ სამინისტროს მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა არსებითი ნაკლოვანებანი. მისი მთელი რიგი სამსახურების ხელმძღვანელებს ვერ დაუძლევიან პასიურობა და ინერტულობა დასახული ამოცანების გადაწყვეტაში, დროულად არ აღკვეთენ შემთხვევებს, როდესაც ცდილობენ იმუშაონ ძველებურად, კულში მისდიონ მოვლენებს, კვალში მიჰყვნენ უკვე ჩადენილ დანაშა-

საქ. მსრ. კ. მარქსის  
სახ. საბ. რესპუბ.

უღობებს, ნაცვლად იმისა, რომ გააჩაღონ მიზანმიმართული და აქტიური გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა. ამის შედეგად შინაგან საქმეთა ზევრი ადგილობრივი ორგანო ჯერ კიდევ არ ეწევა შემტევ ბრძოლას სოციალისტური საკუთრების საიმედო დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის, მექრთამეობის, სპეკულაციის, მუქთახორობის ფაქტების დროული თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთისათვის; არ აღმოფხვრილა შემთხვევები, როდესაც ეს მუშაობა გაიგივებულია წვრილმანი სამართალდარღვევების გამოვლენასთან, იმ პირთა სისხლის სამართლებრივ დევნასთან, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საფრთხეს. ასეთ არადიფერენცირებულ მიდგომას შედეგად მოსდევს ყალბი კეთილდღეობა, იქმნება მოჩვენებითი აქტიურობის ვითარება, სოციალისტური საზოგადოების მრავალი ანტიპოდი კი დაუსჯელი რჩება და კვლავინდებურად უდიდეს მატერიალურ ზარალსა და მორალურ ზიანს აყენებს სახელმწიფოს. სრულად არ გამოიყენება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების შესაძლებლობანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიას და პოლიტიკურ განყოფილებას, შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი იმ მოთხოვნების შესასრულებლად, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, ამ საკითხზე რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრების გადაწყვეტილებებით. სოციალისტური საკუთრების დაცვების წინააღმდეგ ბრძოლის, სისხლის სამართლის სამძებროს, გამოძიების, სახელმწიფო ავტონისპექციის აპარატების, უბნის ინსპექტორების, არასაუწყებო და სახანძრო დაცვის, შრომა-გასწორების დაწესებულებების, შინაგან საქმეთა სატრანსპორტო ორგანოების საქმიანობა უნდა დაექვემდებაროს იმ ამოცანების განუხრელ მაღალპროფესიულ და თანმიმდევრულ გადაწყვეტას, რომლებიც პარტიამ დასახა უშრომელი შემოსავლის შოვნის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დასამკვიდრებლად.

სამინისტრომ სისტემატურად უნდა მოისმინოს აპარატის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსების, ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების, საქალაქო და რაიონული განყოფილებების უფროსების, პოლიტიკური აპარატების ხელმძღვანელების ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ, მისცეს პრინციპული შეფასება დარღვევებს, ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომლებიც არის ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაში, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში. ხელმძღვანელები, რომლებსაც არ ძალუძთ გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, უფრო გაბედულად უნდა შეცვალონ ენერგიული, შემოწმებული, პერსპექტიული და მზარდი მუშაკებით დასაწინაურებელი კადრების რეზერვიდან.

ძირფესვიანად უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა კადრების განაწილებისა და აღზრდის, იმ სერიოზული დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, რომლებიც წლების მანძილზე გროვდება ამ უბანზე. არ უნდა შევასუსტოთ

იმ ღონისძიებათა სიმძაფრე, რომლებიც ხორციელდება შინაგან საქმეთა ორგანოების გასაწმენდად შექრთამეების, გამომძალველების, არაკომპეტენტური და სახელგატყეხილი თანამშრომლების აგრეთვე იმ პირებისაგან, რომლებიც უშვებენ ზედმეტობას ყოფაში, გადასული არიან შოვნაზე, ფუფუნებით ცხოვრობენ და პირადი გამდიდრებისათვის იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიულმა კომიტეტმა სისტემატურად უნდა გაუწიოს კონტროლი უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციას, უზრუნველყოს აპარატის კომუნისტთა ავანგარდული როლი მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნაში, შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში, პირად შემადგენლობას შორის დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

საგანგებოდ აღინიშნა, რომ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა მარტოოდენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანა როდია, მასში აქტიურად უნდა ჩაებან პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, შრომითი კოლექტივები, მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლები. ეს ამ ბრძოლას შემტევ სულისკვეთებას და პრინციპულობას შემატებს.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ დასახონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისათვის.

—•—

## ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონი

1977 წლის 7 ოპტომგებარის სსრ კავშირის IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VII სესიამ ერთხმად დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი, ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია, რომლის შემუშავებაშიც აქტიურად მონაწილეობდა მთელი საბჭოთა ხალხი, მისი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია.

კონსტიტუციის პროექტის განხილვას მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმი, შემდეგ იგი განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ხოლო იმავე წლის 4 ივნისს საყოველთაო-სახალხო განხილვის მიზნით პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი.

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს მოქალაქეებმა წარმოადგინეს 400-ათასამდე შესწორება, დამატება, წინადადება, რის შედეგადაც პროექტის 118 მუხლში შევიდა ცვლილება.

მილიონთა „კოლექტიურმა გონებამ“ და „კოლექტიურმა გამოცდილებამ“ პრაქტიკულად გაამდიდრა კონსტიტუციის პროექტი და დამტკიცების შემდეგ იგი ეპოქის ფაქტიური მდგომარეობის ამსახველი, ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელი სრულყოფილი დოკუმენტი გახდა.

ცხრა წელი გავიდა კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან, ცხრა წელია იგი მოქმედებს და სრულდება. საბჭოთა კონსტიტუცია არა მარტო ისტორიული, არამედ, პირველყოფლისა, ცხოვრებისეული, ცოცხალი, რეალური, მუდმივად მოქმედი დოკუმენტია.

როცა მიმდინარე საკანონმდებლო აქტებს ვიღებთ, ყოველთვის კონსტიტუციას ვუფარდებთ მათ, როცა ვახდენთ მოქმედი კანონებისა თუ კანონქვემდებარე აქტების რეალიზაციას, ამით კონსტიტუციური პრინციპებს ვიცავთ. თვითონ კონსტიტუციაშივეა მითითებული, რომ „სსრ კავშირის კონსტიტუციას უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს. ყველა კანონი და სახელმწიფო ორგანოების სხვა აქტები გამოიცემა სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად“ (მუხ. 178).

საბჭოთა კონსტიტუციის ერთ-ერთი საფუძველი მისი მემკვიდრეობითობაა. ის პრინციპები, რაც წინა კონსტიტუციებით იყო დაკანონებული და ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპისთვისაც არის დამახასიათებელი, კვლავ აისახა მოქმედ კონსტიტუციაში.

საბჭოთა კონსტიტუცია კარგად ასახავს ქვეყნის ფაქტიურ მდგომარეობას და ამავე დროს ითვალისწინებს იმ ამოცანებს, რაც სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს წინაშე დასახული. ესაა უკლასო კომუნისტური

საზოგადოების აგება. კონსტიტუციის პრეამბულაში ნათქვამია: „საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი მიზანია ააშენოს უკლასო კომუნისტური საზოგადოება, რომელშიც განვითარდება საზოგადოებრივი კომუნისტური თვითმმართველობა“, ხოლო კონსტიტუციის 28-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს: „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს, რომ ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები შეექმნას სსრ კავშირში კომუნნიზმის აშენებას“...

სსრ კავშირში „კომუნისტური მშენებლობის მიზნებზე“ სხვა მუხლებშიც არის ლაპარაკი, ხოლო მე-6 მუხლით კომუნისტური პარტია „ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობითს საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნნიზმის გამარჯვებისათვის“.

სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუცია კომუნნიზმის მშენებელი საზოგადოების დიადი ქარტიაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე უნდა მოხდეს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომუნისტურ ურთიერთობად გარდაქმნა, კომუნნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოების ადამიანთა აღზრდა.

სწორედ ეს ძირითადი მიმართულებანი განსაზღვრა სკკ XXVII ყრილობამ ხანგრძლივი დროისათვის. პარტიას საჭიროდ მიაჩნია რათა „გზა ვავუხსნათ ჭეშმარიტად რევოლუციურ გარდაქმნებს, ჩავაბათ ამ პროცესში მშრომელთა ფართო ფენები“. ამავე დროს პარტიას აღებული აქვს „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი“<sup>1</sup>.

საბჭოთა ადამიანები, საბჭოთა სახელმწიფო, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ერთი აზრითა და მიზნით მოქმედებენ, ხალხისა და სახელმწიფოს ერთობლივი მოქმედების პრინციპები და პარტიული ხელმძღვანელობის როლი ფიქსირებულია საბჭოთა კონსტიტუციაში.

კონსტიტუციით მთელი ძალაუფლება სსრ კავშირში ხალხს ეკუთვნის. სახელმწიფო ხელისუფლებას ხალხი ანხორციელებს სახალხო დეპუტატების საბჭოების მეშვეობით, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. პარტია კი საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია. „ყველა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში“ (მუხ. 6).

სკკ XXVII ყრილობამ განსაკუთრებით წამოსწია წინ ადამიანის ფაქტორი. ესეც კონსტიტუციური მოთხოვნაა. მასში ჩაწერილია, რომ „სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში... კანონებისა და გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში“ (მუხ. 48).

საბჭოთა ადამიანები თავიანთი ქვეყნის ბატონბატრონნი არიან და სწორედ ამიტომ აუყენებს ჩვენი კომუნისტური პარტია საკითხს სსრ კავშირის მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებების შემდგომი გაფართოების, მისი შემდგომი სრულყოფის შესახებ.

მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებების დაცვის სპეციფიკურობა იმა-

<sup>1</sup> სკკ XXVII ყრილობის, მასალები, თბ., 1986 წ. გვ. 157.

შიც მდგომარეობს, რომ ამ უფლებების დაცვა დაკავშირებულია კონსტიტუციური მოვალეობების შესრულებასთან.

პარტიის პროგრამაში მითითებულია, რომ „საბჭოთა მოქალაქის მიერ უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია განუყოფელია კონსტიტუციური მოვალეობათა შესრულებისაგან. არ არსებობს უფლებები უმოვალეობოდ. არ არსებობს მოვალეობები უუფლებებოდ...“<sup>2</sup>

მოქალაქეთა უფლებანი და მოვალეობანი საბჭოთა კავშირში ორგანულად არის ურთიერთშერწყმული. მოქალაქეთა მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობა ნიშნავს იმას, რომ უარყო შენივე უფლებები. ამიტომ, ჩვენი კონსტიტუცია იცავს არა მარტო მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს, არამედ მათ თანასწორ ვალდებულებებსაც (მუხ. 59).

სახალხო ხელისუფლების განხორციელება მოითხოვს დისციპლინის განმტკიცებას, სოციალისტური კანონიერების განუხრეფლ დაცვას. ეს პრინციპები დაცულია საბჭოთა კონსტიტუციითაც.

„სსრ კავშირის თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, იცავდეს შრომის დისციპლინას. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან“ (მუხ. 60).

სწორედ ამიტომ მოითხოვს პარტია დაუნდობელ ბრძოლას ყველას მიმართ, ვინც სხვის ხარჯზე ცხოვრობს, ვინც უშრომელ შემოსავალს იღებს, ეწევა მექრთამეობას, ლოთობას და ა. შ.

შესაბამისი კანონები ჩვენს ქვეყანაში უკვე ძალაშია და მოქმედებენ კიდევ. საბჭოთა ადამიანებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს და მოიწონეს როგორც უშრომელი შემოსავლის, ასევე ლოთობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებები.

საბჭოთა კონსტიტუციით განმტკიცებული უფლებები და მოვალეობები იმდენად ფართო და მრავალმხრივია, რომ ყველა მათი ჩამოთვლა ამჟერად შეუძლებელია. მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციაში ნათლად არის გამოხატული მშრომელი ხალხის ინტერესები, მიზნები და ამოცანები, ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოებრივი წყობილების აშენების პრინციპები. მათი განუხრეფი დაცვა დღეს განსაკუთრებულ აზრსა და შინაარსს იძენს, რადგან მთელი ქვეყნის ეკონომიკაში და სოციალურ სფეროში მიმდინარეობს ახლებური გარდაქმნები.

ამ გარდაქმნებს რევოლუციურს უწოდებენ, რომელთა განხორციელების იურიდიულ საფუძველს სწორედ საბჭოთა კავშირის ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია ქმნის, გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია. ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

2 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1986 წ., გვ. 70.



## მგზნებარე რევოლუციონერი

ჩვენი რევოლუციის, ბოლშევიკთა პარტიის ისტორია მრავალ ადამიანს იცნობს, ვინც მარად ღარჩება კაცობრიობის მეხსიერებაში. მათ რიცხვს მიეკუთვნება მგზნებარე რევოლუციონერი, პროლეტარიატის გამოჩენილი ორგანიზატორი, ლენინური ტიპის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე გრიგოლ კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე (სერგო);

გ. კ. ორჯონიკიძე დაიბადა საქართველოში, სოფელ ღორეშაში. ბავშვობაშივე იწვინა სიღუბნისა და სოციალური უსამართლობის მძიმე ხვედრი. სწავლის პერიოდიდანვე დაადგა იგი სოციალურ უსამართლობასთან შეგნებული ბრძოლის გზას და მისთვის სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატია. 1908 წელს 17 წლის სერგო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი გახდა. სწორედ ამან განსაზღვრა მისი, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერის, ზიდათი აღსავსე ცხოვრების გზა.

1911 წელს, პარიზში უოფნის დროს, სერგო ორჯონიკიძემ გაიცნო ლენინი და მისი დავალებით გამოემგზავრა რუსეთში ადგილებზე პარტიული მუშაობის მოსაგვარებლად. პარტიის VI (პრადის) კონფერენციანე ოცდახუთი წლის სერგო რსდმპ ცენტრალური კომიტეტისა და ცკ-ის რუსეთის ბიუროს წევრად აირჩიეს.

თებერვლის რევოლუციამ სერგოს ციმბირში, იაკუტიაში მოუსწრო, ხადაც სამწლიანი კატორღის შემდეგ სამუდამო გადასახლებაში იმყოფებოდა.

1917 წლის ივნისში მას ირჩევენ ბოლშევიკთა პეტროგრადის კომიტეტის და პეტროგრადის საბჭოს აღმასკომის წევრად, მონაწილეობს პარტიის VI ყრილობის მუშაობაში. 1917 წლის ივლისის ამბების შემდეგ სერგო ორჯონიკიძემ ორგანიზაცია გაუქვთა ლენინის იატაკქვეშეთში გადასვლას, ცკ-ის დავალებით ორჯერ შონინახულა იგი რაზლივში, ინფორმაცია მიაწოდა არსებული მდგომარეობის შესახებ და მისგანაც მიიღო პარტიის შემდგომი მუშაობის დირექტივები. 1917 წლის ოქტომბერში სერგო პეტროგრადის პროლეტარული რევოლუციის მებრძოლთა მოწინავე რიგებშია, ხელმძღვანელობს ქალაქის დაცვას, კერენსკის და კრასნოვის ჯარების განადგურებას. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამ წელზე მეტი სამოქალაქო ომის ფრონტებზე გაატარა, იყო უკრაინის, შემდეგ მთელი სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარო, სამხრეთის, დასავლეთის, კავკასიის ფრონტებზე სამხედრო საბჭოების წევრი, თურქესტანში ცკ-ის სპეციალური კომისიის მეთაური, ვლადიკავკავის (დღეს ქალაქი ორჯონიკიძე) განთავისუფლებისათვის ბრძოლის ორგანიზატორი. ექვს წელზე მეტ ხანს გ. კ. ორჯონიკიძე მეთაურობდა რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს, შემდეგ კი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს.

1926 წელს გ. კ. ორჯონიკიძე არჩეულ იქნა სკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, დაინიშნა ცენტრალური საკონტროლო კომისიის (ცსკ) თავმჯდომარედ და მუშურგლენური ინსპექციის (მგი) სახალხო კომისრად, აგრეთვე სსრკ სასკომსაბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოადგილედ, ცსკ თავმჯდომარედ და მგი სახალხო კომისრად მუშაობის პერიოდში გ. კ. ორჯონიკიძემ ქვეყნის ეკონომიკის მართვის კოლოსალური გამოცდილება შეიძინა, სამეურნეო მშენებლობის გამოჩენილ მოღვაწედ ჩამოყალიბდა. 1930 წლის ნოემბერში პარტიის ცკ-ამ იგი სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (სმუს) ხელმძღვანელად დანიშნა, ხოლო მისი რეორგანიზაციის შემდეგ სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარია. იმავე წლის დეკემბერში სერგო ორჯონიკიძე აირჩიეს სკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად.

სერგო ორჯონიკიძის სახელი მჭიდროდ უკავშირდება საბჭოთა ქვეყნის მძლავრი ინდუსტრიის საფუძვლებს. სოციალიზმის საქმისადმი უანგარო სამსახურმა, მგზნებარე მოღვაწეობამ მას საერთო სახალხო აღიარება მოუტანა. მისი სახელი მილიონობით საბჭოთა მშრომელისათვის მშობლიური და ახლობელი გახდა. ქვეყანამ ღირსეულად დააფასა მისი ღვაწლი — 1935 წელს გ. კ. ორჯონიკიძეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი გადაეცა, ხოლო 1936 წელს შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი გახდა.

ახეთი იყო გ. კ. ორჯონიკიძე და მარად ახეთად ღარჩება იგი მადლიერი საბჭოთა ხალხის მეხსიერებაში.

# მართლწესრიგისათვის ბრძოლას — შეტავითობა, უკოფაროებისობა

იტანება აღმანი — ასეთი ყოველი კანონსაწინააღმდეგო ქმედების საბოლოო შედეგი. ამიტომ, კანონის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის არავითარი შუალედური დადებითი შედეგები არ უნდა ვცნოთ საკმარისად. ეს ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელმაც განიხილა 1988 წლის 9 თვის განმავლობაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები და სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანოების ამოცანები.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

აღინიშნა, რომ ბოლო დროს ყველაგან და ყველაფერში კანონიერების, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრების შესახებ პარტიის მოთხოვნათა რეალიზაციის ღონისძიებათა განხორციელების მიზნებით მიღწეულია გარკვეული პოზიტიური ძვრები. რესპუბლიკაში შემცირდა მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა რიცხვი, უფრო გაიწმინდა ატმოსფერო ქუჩებში და საზოგადოებრივ ადგილებში, ოპერატიული ვითარება არ გართულებულა საკურორტო-ტურისტული ხეზონის დროს. უფრო მტკიცე ბარიერი აღიმართა ანგარებითი და სამეურნეო სამართალდარღვევების წინააღმდეგ.

ამავე დროს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის გაწეულ მუშაობას, დანაშაულობათა პროფილაქტიკას ყველა რაიონში როდი ახასიათებს სათანადო შეტევითობა და აქტიურობა. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ახალციხის, წულუკიძის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, წალკისა და ზოგაერთ სხვა რაიონს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ ადგილობრივი შინაგან საქმეთა ორგანოების ცალკეული ხელმძღვანელები, ნაცვლად იმისა, რომ გაააქტიურონ დანაშაულობათა გახსნისათვის საქმიანობა, ზოგჯერ უხეშად არღვევენ სააღრიცხვო-სარეგისტრაციო დისციპლინას. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწყობილი შემოწმების შედეგად გამოვლინდა ბევრი აღურიცხავი დანაშაული. ასეთი დარღვევების აღკვეთა ჭერჭერობით არ მოხერხდა. ამის კიდევ ერთი დადასტურებმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ტყვარჩელის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც აყალბებენ დანაშაულთა გახსნის მაჩვენებლებს.

შეინიშნება მძიმე დანაშაულობათა, უწინარეს ყოვლისა, განზრახ მკვლელობათა ზრდა ზუგდიდის რაიონში, რაც პროფილაქტიკური მუშაობის დაბალი დონის შედეგია. ვითარება აქ სხვაგვარი იქნებოდა, ესოდენ უპრინციპო რომ არ აღმოჩენილიყო რაიონის პროკურატურა. არც ქობულეთის რაიონშია უკეთ საქმე, სადაც კერძოდ, გაიზარდა სამართალდარღვევათა რიცხვი არასრულწლოვანთა შორის. აქ სწორედ მოზარდებმა ჩაიდინეს აჭარაში რეგისტრირებულ დანაშაულობათა უმრავლესობა. შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი კონცელიძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ქონებრივ დანაშაულობათა რიცხვის საერთო შემცირების განმაპირობებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი გახდა ის, რომ რესპუბლიკაში გადაჭრით შეუტეეს იმ პირებს, რომლებიც მისდევდნენ ეგრეთ წოდებულ ქურდულ ტრადიციებს. მაგრამ ადგილობრივი სისხლის სამართლის სამძებროს ყველა თანამშრომელი როდი ჩაება აქტიურად ამ ბრძოლაში. კვლავ



გაუხსნელია პირადი ქონების ქურდობის ბევრი შემთხვევა და სხვა დანაშაულობანი ქალაქ ზუგდიდში, ზესტაფონის, ახალციხის, მაზარაძის, ლანჩხუთის, კასპის, ქარელის, ჩოხატაურის, აგრეთვე თბილისის ლენინისა და ორჯონიკიძის რაიონებში.

ნაკლოვანებებია ქურდების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში. სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა ორგანოებმა ჭრჭერობით ვერ განახორციელეს ვერც ერთი მაღალკვალიფიციური ოპერაცია, რათა ემხილებინათ ისინი, როგორც დამნაშავეთა ჯგუფების მოთავენი, დაედგინათ ავტომანქანების, ბინების, აგარაკების შეძენის უკანონო წყაროები. დღეს კი საქირაო სწორედ ასეთი მიდგომა. და ეს უნდა გაითვალისწინონ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აშ. გ. შ. კვანტალიანმა, სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსმა აშ. ტ. ნ. ვარდანაშვილმა.

შეუწყნარებლად ნელა უმჯობესდება საგამოძიებო მუშაობა. ზოგიერთ რეგიონში (ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონი, ზუგდიდის რაიონი, ქალაქი წყალტუბო და სხვა) პროკურორები, შინაგან საქმეთა განყოფილებების უფროსები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედების ორგანიზაციას, სწირად ხდება, რომ თავად არ მიდიან დანაშაულის ადგილზე.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრისათვის მუშაობას საგარეჯოს, ყვარლის, თელავის, ახალციხის, ლაგოდეხის, ბოგდანოვკის რაიონებში. ვერ შევუბრუნებთ სიტუაციას, როცა ბევრი ბოროტგანმწარახველი — ისევე, როგორც, მაგალითად, ყვარლისა და ბოგდანოვკის რაიონებში, დანაშაულის ჩადენის დროს მთვრალია.


ყველაფერი რიგზე როდია მაწანწალობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლო დროს გაიზარდა სამართალდარღვევების რიცხვი იმ პირთა მიერ, რომლებსაც არა აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო. თბილისში, ქუთაისში, ლანჩხუთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში მათ განზრახ მკვლელობაც კი ჩაიდინეს. დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთოთ პირადი საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების დროს მაწანწალების გამოყენების ფაქტები, რომლებიც აღინიშნა აფხაზეთის ასს, აჭარის ასს რესპუბლიკებში, ვარდანის, მარნეულისა და კოლხეთის დაბლობის რაიონებში. განსაკუთრებით მოკეთხებათ ამისათვის საპასპორტო სამსახურის მუშაკებსა და უზნის ინსპექტორებს. ჭრჭერობით კი ასეთი მომთხოვნელია გვაკლია, რის გამოც ზოგიერთმა პასპორტიტმა თავისი თანამდებობა მოგების წყაროდ აქცია. როგორც ჩანს, ეს მნიშვნელოვანწილად საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში არსებული ხარვეზებით აიხსნება.

რამდენადმე შენელდა ბრძოლა მუქთახორობის წინააღმდეგ. ის პირები, რომლებიც არ მუშაობენ; სისტემატურად სჩადიან სხვადასხვა დანაშაულს. აქამდე ვერ მოხერხდა გავრდილიყო უზნის ინსპექტორთა პასუხისმგებლობა იმათი შრომითი მოწყობისათვის, ვინც თავს არიდებს მუშაობას, და მათ მიმართ კონტროლისათვის. მაგალითად ჭიათურაში ახლახან დააკავეს ამ ქალაქის მკვიდრი ჯელია. გამოირკვა, რომ წინათ იგი ნასამართლევი იყო ქურდობისათვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლდა გასული წლის სექტემბერში, იქიდან მოყოლებული მიმდინარე წლის თებერვლამდე სამჯერ მოეწყო სამუშაოდ ხანმოკლე დროით, შემდეგ ცხრა თვეს არსად უმუშავია და კვლავ ჩაიდინა დანაშაული. უზნის ინსპექტორს ბეზინაშვილს და სისხლის სამართლის სამძებროს ოპერატორებს უფრინდაშვილს მხოლოდ გაფრთხილება აკმარეს ქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსთან გამართულ თათბირზე. ცხადია, უმოქმედობისა და მუქთახორობის მიმართ წყურუბის ფაქტების გამო ასეთი ღონისძიებების მიღებით წესრიგის დამყარება ძნელია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ (აშ. ვ. ი. შადური), საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსმა (აშ. გ. ვ. ბიჭაშვილი) უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პრაქტიკულად არ უმჯობესდება ვითარება საავტომობილო ტრანსპორტზე. გახშირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, რომელთა შედეგად ზოგჯერ ავტობუსების მგზავრები იღუპება და ხახირდება. ასეთი ავარიები მოხდა ონის, მაზარაძის, ზოგიერთ სხვა რაიონში. აქ, ისევე როგორც ამბროლაურის, ქარელის, სიღნაღის, თერჯოლის რაიონებში, ქალაქებში ფოთსა და ჭიათურაში, საკმარისი მეთვალყურეობა არა აქვს დაწესებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას, რასაც ავარიების ზრდა ამოჰყვა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართალდაცვითი ორგანოების მიერ სოციალის-



ტური კანონიერების განუხრელი დაცვა. ფაქტები მოწმობს: ამ უბანზე ყველაფერი როდია მოგვარებული. მაგალითად, მეტად უხეში დარღვევებია დაშვებული ბათუმში მოქალაქე ღიასამიძის მკვლელობის სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.

რესპუბლიკის სამართალდაცვითს ორგანოებში ახლა ხორციელდება მუშაობის ფორმების, სტილისა და მეთოდების გარდაქმნა. ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ეს ორგანოები გაიწმინდოს როგორც პროფესიულად მოუზადებელი არაკომპეტენტური ისე უპატიოსნო, სახელგატეხილი თანამშრომლებისაგან. სამწუხაროდ, ზოგჯერ ინერციის ან პროტექციონიზმის ძალა სჯაბნის დისციპლინის განმტკიცებისა და კანონიერებისათვის გამიზნულ მეცადინეობას. მრავალი თვის განმავლობაში იღვა საკითხი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან გულრიფვის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ოპერაწმუნებულის თოლორადავას განთავისუფლების შესახებ. სიტყვით ყველა შემდგომი ინსტანცია ეთანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ თოლორადავა, რომელიც მხოლოდ გულრიფვიდან ბზიფში გადაიყვანეს, კვლავ ორგანოებში მუშაობდა და მხოლოდ მიმდინარე წლის აგვისტოში სოციალისტური კანონიერების სისტემატური დარღვევის, ყოფაში არასწორი საქციელისათვის დაითხოვეს მილიციიდან. ამ და ზოგიერთ სხვა ფაქტთან დაკავშირებით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აშხ. ე. ლ. ვასილიევმა და კადრების სამმართველოს უფროსმა აშხ. ო. კ. გონაძემ კარდინალური ზომები უნდა მიიღონ კადრების სამმართველოს პირადი შემადგენლობის ინსპექციის საქმიანობის გააქტიურებისათვის, მთლიანად საკადრო მუშაობის გაუმჯობესებისათვის...

სერიოზული დარღვევები აქვს კადრების შერჩევა-განაწილებაში აგრეთვე რესპუბლიკის პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს. მაგალითად, ჩონატაურის რაიონის პროკურორის თანამდებობაზე დაუმსახურებლად დაწინაურეს პროკურორის თანამემწე დვალიშვილი, თუმცა ბეგრმა იცოდა, რომ მისი ძმა, ვანის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ყოფილი გამომძიებელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყო მიცემული სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის და გამოცხადებული იყო მისი საკავშირო ძებნა. მხოლოდ ახლანან გააფავისუფლეს დვალიშვილი პროკურატურის ორგანოებიდან, მისი ძებნილი ძმა კი დააკავეს.

პრინციპულად არ მიუდგენს მთელი რიგი საკადრო საკითხების გადაწყვეტას იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელები. საგულდაგულოდ არ შეუსწავლიათ გ. საბიაშვილის კანდიდატურა, რომელიც რეკომენდებული იყო ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. არც იუსტიციის სამინისტროს მასალებში, არც საბიაშვილის ავტობიოგრაფიაში არ იყო ასახული ის ფაქტი, რომ თავის დროზე იგი მიიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად, მაგრამ პარტიამი მიღებზე უარი ეთქვა, რადგან ნდობა ვერ გაამართლა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის მუშაობაში ჭერ კიდევ არ აღმოფხვრილა სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, იგი საქიროებს შემდგომ გააქტიურებასა და გარდაქმნას სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ცნობა აღმინისტრაციული ორგანოების ცალკეული ქვეგანყოფილებების იმ ხელმძღვანელთა მიმართ განხორციელებული ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ, რომლებმაც სერიოზული ნაკლოვანებები დაუშვეს მუშაობაში, უკვე გამოქვეყნებული იყო პრესაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელშიც განსაზღვრულია სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ეფექტიანობის გაღვივების კონკრეტული ღონისძიებანი.



# სკკპ XXVII ყრილობა და პროდუქციის ხარისხზე საპროკურორო ზედამხედველობის აქტუალური საკითხები

იური ბაბინონია,

ქ. თბილისის ორჯონიძის რაიონის პროკურორის თანაშემწე,  
სსრ კავშირის პროკურატურის ინსტიტუტის ასპირანტი

პროდუქციის ხარისხის და ტექნიკური დონის ყოველმხრივი გაუმჯობესების — პარტიის ამ საპროგრამო მოთხოვნის მთელი რიგი მნიშვნელოვანი, სადღეისოდ აქტუალური პრობლემები იქნა გაშუქებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკურ მოხსენებაში სკკპ XXVII ყრილობაზე.

მოკლედ შევეხებით ზოგიერთ აქტუალურ პრობლემას, მათი განხორციელების გზებსა და მეთოდებს.

პოლიტიკურ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა ამ ამოცანების ერთი ჯგუფი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

„განსაკუთრებით მინდა გამოვეყო პროდუქციის ხარისხის პრობლემა. ცოტაა ითქვას, რომ ეს ჩვენი უახლოესი და უდიდესი რეზერვაა. მაღალი ხარისხის გარეშე დღეს შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. კონსტრუქტორული ხარვეზების, ტექნოლოგიის დარღვევების, უხარისხო მასალის გამოყენების, ცუდი მოპირკეთების გამო დიდი მატერიალური და მორალური ზარალი გვადგება... საჭიროა კარდინალური ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავს წუნიანი ნაწარმის, მდარე ხარისხის საქონლის გამოშვებას. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ მატერიალური და ადმინისტრაციული ზემოქმედების მთელი ძალა, ჩვენი კანონები. როგორც ჩანს, საჭიროა პროდუქციის ხარისხის შესახებ სპეციალური კანონის მიღება“<sup>1</sup>

ამ ამოცანათა რეალიზაციის პროცესში საპროკურორო ზედამხედველობის ქმედითობის ამალღებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია წინა პლანზე წარმოჩინდეს შემდეგი საკითხები.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების საერთო ზედამხედველობითი პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ განსხვავებით ტექნოლოგიის დარღვევებისა და უხარისხო მასალების გამოყენების საკითხებისაგან, კონსტრუქციული ხარვეზების და ცუდი მოპირკეთების საკითხები უმრავლეს შემთხვევაში დარჩენილია პროკურორთა თვალთახედვის მიღმა. როგორც პრაქტიკა გვიჩ-

<sup>1</sup> მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986 წ., გვ. 72-73.

ვენებს, ამგვარი წუნის (ხშირად ფარულის) აღრიცხვა-ფიქსირება და მათს გამოკანონით გათვალისწინებული ზომების მიღება არ ხდება, რაც პროკურორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემოწმებისას. მაგალითად, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხანაში ჩატარებული შემოწმებით გამოიჩვენა, რომ 1984 წელს მომხმარებელი ორგანიზაციებისათვის მიწოდებული პროდუქციის საგარანტიო რემონტზე ქარხანამ დახარჯა 148.263 მან., ხოლო 1985 წლის 10 თვეში ასეთივე პროცესისათვის დახარჯულმა თანხამ 262.346 მან. შეადგინა, მაგრამ ამისათვის დისციპლინარული ან მატერიალური სასჯელი არავის დაკისრებია.

ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევები და უხარისხო ნედლეულის, მასალების ან მაკომპლექტებელი დეტალების და კვანძების გამოყენება უხარისხო ან უსტანდარტო პროდუქციის დამზადება-გამოშვების უმთავრეს მიზეზებს რომ შეადგენენ, ამაზე მეტყველებს სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები. სახელდობრ, გამოკითხული საპროკურორო მუშაკების 67 პროცენტმა ამ მოვლენის უპირველეს მიზეზად ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა დაასახელა. ასეთივე მიზეზად იქნა დასახელებული უხარისხო ნედლეულის გამოყენება (გამოკითხულთა 61,5 პროცენტი). ანალოგიური თვალსაზრისის არიან არასაუწყებო კონტროლის მუშაკები, თვითონ საწარმოთა ხელმძღვანელები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ტექკონტროლის და იურიდიული სამსახურის მუშაკები. უხარისხო და უსტანდარტო პროდუქციის დამზადების ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე წარმოების არარიტმულობა, „იერიზობანა“ თვის, კვარტლის და წლის ბოლოს (გამოკითხულთა 50-დან 60 პროცენტამდე). საპროკურორო პრაქტიკაში არარიტმულობა და, აქედან გამომდინარე, იერიზობანა პრაქტიკულად თითქმის ყველა შემოწმებულ სამრეწველო საწარმოში გვხვდება, სადაც ასევე გავრცელებულია წუნის დამზადება-გამოშვების ფაქტები (პირველყოვლისა, ეს ითქმის მსუბუქი, ადგილობრივი, კვების, საშენ მასალათა მრეწველობისა და ზოგიერთი სხვა სამინისტროს სისტემაში შემავალ ობიექტებზე).

ჩამოთვლილი მიზეზების გარკვევა დაკავშირებულია სპეციფიკური საკითხების ცოდნასთან და ამიტომ პროკურორმა აუცილებლად უნდა დაიხმაროს სპეციალისტი, თუ შემოწმებაში არ მონაწილეობენ არასაუწყებო კონტროლის ორგანოს წარმომადგენლები, ეს კი აუცილებელია განსაკუთრებით ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევების გამოვლენისას. ანალოგიური სირთულეები წამოიჭრება იმ შემთხვევაშიც, თუ წუნდებული პროდუქციის დამზადებისას გამოყენებულია უხარისხო (უკონდიციო) ნედლეული ან დამხმარე მასალები. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ნედლეულისა და მასალების თანმხლებ დოკუმენტებში არ ჩანს ნედლეულისა და მასალების უხარისხობა, ამიტომ საჭირო ხდება გამოყენებული ნედლეულის ხარისხიანობის კვალიფიციური შემოწმება. რაც შეეხება „იერიზობანას“, ანუ არარიტმულობას, მისი დადგენა დიდ სირთულესთან არ არის დაკავშირებული, აქ საკმარისია ერთმანეთს შეუდარდეს და გაანალიზდეს პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები დეკადებისა და თვეების მიხედვით.

თუ დღემდე საწარმოს მუშაობის შეფასების უპირველეს კრიტერიუმად რჩებოდა „ზემოდან დამტკიცებულ დავალებათა წრე“, რაც ძირითადად რაოდენობრივ მაჩვენებლებთან იყო დაკავშირებული, ამჟამად საჭიროდ არის მიჩნეული საწარმოთა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის გაზრდა სახალ-

ხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვის სფეროში, რაც უნდა ხდებოდეს სავაჭრო ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, მოსახლეობის რეალური მოთხოვნის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საპროკურორო შემოწმების დროს საჭიროა ყურადღება გამახვილდეს ხარისხობრივ მაჩვენებელზე, ასორტიმენტის დაცვაზე, მდარე ხარისხის ე. წ. ჩაწოლილი ან ძნელადსარეალიზაციო პროდუქციის გამოშვების ფაქტებზე და სხვ.

ამ საკითხთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ XXVII ყრილობაზე განაცხადა შემდეგი: „საჭიროა საწარმოთა ხელფასის ფონდის ოდენობა უშუალოდ იყოს დაკავშირებული მათი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალთან. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გამოვიციხოთ გამოუსადეგარი, მდარე ხარისხის ნაწარმის წარმოება და მიწოდება, მუშაობა, როგორც იტყვიან, საწყობისათვის. სხვათა შორის, ასეთი მიდგომა მარტო მსუბუქ მრეწველობაში როდი უნდა გამოვიჩინოთ. ჩვენ ველარ შევურიგდებით იმას, რომ უვარგისი პროდუქციის გამომშვებ საწარმოთა მუშაკები უზრუნველად ცხოვრობენ, მთლიანად იღებენ ხელფასსაც, პრემიებსაც და სხვა სიკეთეებითაც სარგებლობენ“.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით მიღებულ ნორმატულ აქტებში მოცემულია შრომის დიფერენცირებული ანაზღაურების დამკვიდრებისაკენ მიმართული გარკვეული კონკრეტული ნორმები, როგორც ჩანს, ისინი არ აღმოჩნდა საკმაოდ ეფექტური და ეს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული პროდუქციის შესახებ ახალი საკავშირო კანონის შემუშავების დროს.

პოლიტიკურ მოხსენებაში განსაკუთრებით გაესვა ხაზი საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომითი კოლექტივების როლის გადაჭრით ამაღლებას, თუმცა პრაქტიკა სულ სხვას მოწმობს. სამწუხაროდ, ბევრმა ხელმძღვანელმა დღემდე მთლიანად ვერ აღიქვა შრომითი კოლექტივების შესახებ მიღებული ახალი კანონის მნიშვნელობა, კანონმდებლის აზრი და მიზანი. ასეთ დროს პროკურორებმა, პირველ ხანებში მაინც, წარდგინებებში ცალკე პუნქტად უნდა მიუთითონ მისი განხილვის აუცილებლობაზე შრომითი კოლექტივების საერთო კრებაზე, პროკურორის მონაწილეობით, რაც, ცხადია ორგანულად დაუკავშირდება სამართალ-აღმზრდელობით ფუნქციასაც. სწორედ ამას მოითხოვს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

ყრილობაზე ყურადღება მიექცა აგრეთვე ადამიანზე ზრუნვის, მშრომელთათვის ჯეროვანი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის საკითხებს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ საკითხებს პროკურორები ფაქტობრივად არ ამოწმებენ, თუმცა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის მე-8 მუხლი, რომელიც კოლექტიური ხელშეკრულების შინაარსს განსაზღვრავს, ითვალისწინებს ადმინისტრაციის და პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მთელ რიგ ვალდებულებებს ამ სფეროში. მეცნიერული გამოკვლევები კი ცხადყოფენ, რომ მუშა-მოსამსახურეთა მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა, (მათი სამუშაო ადგილების მოწყობა-გაფორმება, კვების უზრუნველყოფა, შესვენებისას შემოქმედებითი დასვენების ორგანიზაცია, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ზრუნვა საბავშვო

<sup>2</sup> მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986 წ., გვ. 61.

ბაგებისა და ბაღების საკმაო რაოდენობით მოწყობაზე და ა. შ.) ბევრად განაპირობებს შრომის მაღალ ნაყოფიერებას და დამზადებული პროდუქციის ხარისხს.<sup>3</sup>

სრულიად განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია პროკურატურის, როგორც კანონიერებაზე უმაღლესი ზედამხედველობის ორგანოს როლი უწყებრიობისა და კუთხურობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ამ მახინჯ მოვლენებს ხშირად ვხვდებით პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფისათვის გაჩაღებული მუშაობის დროს. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ეს მოვლენები საკმაოდ მასშტაბურია. კერძოდ, გამოკითხული საპროკურორო მუშაკების 25 პროცენტმა განაცხადა, რომ პროკურატურა უხარისხო პროდუქციის დამზადებასა და გამოშვებასთან ბრძოლის შესახებ კანონების შესრულებას არ ამოწმებს საამისო საჭიროების აშკარად არსებობის დროსაც, რადგან ერიდება შესაბამისი რეგიონის (რაიონის, ქალაქის და ა. შ.) ხელმძღვანელ თანამდებობის პირებთან კონფლიქტს. 20 პროცენტი თვლის, რომ ეს ფაქტორი რეალურად არსებობს, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ახერხებენ მათს დაძლევას, მათ შორის გარკვეული კომპრომისის გზით. მხოლოდ გამოკითხულთა 10 პროცენტმა მიუთითა, რომ საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებისას ამგვარ სირთულეს არ აწყდებიან.

პოლიტიკურ მოხსენებაში გამოთქმული მოთხოვნა წუნის მკეთებელთა მიმართ კანონის ზემოქმედების მთელი ძალის გამოყენების თაობაზე, პროკურორების წინაშე აყენებს უხარისხო, უსტანდარტო ან უკომპლექტო პროდუქციის დამზადების, გამოშვების და მიწოდების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის დარღვევების სრულად გამოვლინებისა და მათი ფაქტობრივად აღმოფხვრის ამოცანებს, რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ დარღვევებზე კომპლექსური რეაგირებით.

მათ შორის:

1) წარდგინება რეაგირების ყველაზე მთავარი ტრადიციული ფორმაა, რომლის ეფექტურობა დამოკიდებულია მის ხარისხზე (დარღვევების გამომწვევი. მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების სრულად გამოვლენა, მათი ანალიზი და რაც მთავარია, კონკრეტული წინადადებები გასათარებელ ორგანიზაციულ-ტექნიკურ, დისციპლინურ და სხვა ღონისძიებათა შესახებ). პრაქტიკაში დანერგილი გვაქვს, რომ ცალკე პუნქტად იყოს მითითებული მშრომელთა კოლექტივის საერთო კრებაზე წარდგინების აუცილებელი განხილვა, შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, რაც თავისთავად იწვევს კოლექტივის წევრთა პასუხისმგებლობის ამაღლებას.

2) როცა დარღვევები სერიოზულია და საჭიროა პარტიული ორგანოების ჩარევა, ინფორმაცია ეგზავნება პარტიის რაიონულ (საქალაქო) კომიტეტს, მაგრამ, ამასთან, ეფექტურია აგრეთვე ასეთი ინფორმაციის საწარმოს ზემდგომი სამეურნეო ორგანოს (მაგ., გაერთიანების) პარტიული კომიტეტისათვის გაგზავნაც.

3) ცალკე უნდა აღინიშნოს დამრღვევთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რაც როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, ყველაზე მტკივნეული საკითხია. აღმოჩნდა, რომ წუნის დამზადებით მიყენებული ზარალის აღრი-

<sup>3</sup> ამ საკითხების მოგვარების უეჭველ უკუგებაზე დამაჯერებლად წერდა გაზეთი „პრავდა“ მიმდინარე წლის 16 მარტს.

ცხვა და ანაზღაურება ან საერთოდ არ ხდება, ხოლო თუ ხდება, იგი მიახლოებითაც კი ვერ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას. რაც შეეხება უხარისხო პროდუქციის გამოშვებითა და მიწოდებით გამოწვეულ ზარალს, რეალურად მხოლოდ მათი უმნიშვნელო ნაწილი ნაზღაურდება. ასეთ მდგომარეობას სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. მ. რეკუნკოვმა ხატოვნად უწოდა „ეკონომიკური პარადოქსი, რომელსაც არსებობის უფლება არა აქვს“<sup>4</sup>.

მიყენებული ზარალის ანაზღაურების ტრადიციული ფორმა, სასარჩელო განცხადება, მართალია, ქმედითია, მაგრამ იგი პროკურორებისაგან მეტ დროსა და ენერჯიას მოითხოვს. როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, საამისოდ მხოლოდ მასალების მომზადებას საშუალოდ სჭირდება საპროკურორო მუშაკის სამუშაო დროის 2-4 საათი, რომ არაფერი ვთქვათ სასამართლოში სარჩელის განხილვაში პროკურორის მონაწილეობაზე. ამიტომ, ჩვენის აზრით, უპირატესობა უნდა მიეცეს გაცილებით ეკონომიკურ ფორმას — წარდგინებებში კონკრეტული თანამდებობის პირთა მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხის დასმას და რაც მთავარია, შემოწმების პროცესშივე ადმინისტრაციასთან ერთად სათანადო ახსნა-განმარტებით მუშაობას, დამრღვევ თანამდებობის პირთაგან ზარალის (თითო თვის ხელფასამდე ოდენობით) სარჩელის აღუძვრელად ნებაყოფლობით ანაზღაურების შესახებ. აქვე მათ უნდა განემარტოთ ისიც, რომ ნებაყოფლობით ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში სახალხო სასამართლოში შეტანილი იქნება სარჩელი მათ მიმართ, რასაც მოჰყვება აგრეთვე სასამართლო ხარჯების გადახდევინებაც. როგორც პრაქტიკამ დაგვარწმუნა, ასეთ დროს ბრალეულ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა ნებაყოფლობით იხდის თითო თვის ხელფასამდე (1985 წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თბილისის ორჯონიკიძის რაიპროკურატურამ ამ მეთოდით 80-მდე ბრალეულ პირს, მათ შორის პასუხისმგებელ მუშაკებს, ნებაყოფლობით შეატანინა სალაროებში 10 ათას მანეთზე მეტი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 19 მაისის ბრძანებულებამ (რომლის შესაბამისადაც ცვლილებებია შეტანილი საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 119-ე, 120-ე და 122-ე მუხლებში) გააფართოვა იმ შემთხვევათა წრე, როცა ზარალის მიყენებისათვის ბრალეულ მუშაკებს ადმინისტრაციის განკარგულებით შეიძლება დაეჭვითოთ ხელფასი არა უმეტეს ერთი თვისა. ამასთან, დაწესდა დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი ორგანოს უფლება-მოვალეობა, თავისი განკარგულებით ამავე ოდენობით ხელფასიდან დაუქვითოს ბრალეულ ხელმძღვანელ მუშაკებს (საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს). მაგრამ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ადმინისტრაციას ან ზემდგომ ორგანოს ნებით თუ უნებლიეთ გაშვებული აქვს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 122-ე მუხლით დაწესებული დაქვითვის ორკვირიანი ვადა. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ამ ვადის გაშვებისათვის ან კიდევ, შემდგომში სასარჩელო წესით ასანაზღაურებლად ზომების მიუღებლობისათვის, კანონმდებლობა სპეციალურ მაკორესპონდირებელ ნორმას არ ითვალისწინებს. აღნიშნულის გამო, დარწმუნების და კანონის ძალით ზემოქმედების ზომების სწორად შერწყმის და სასურველი ეფექტის მიღწევის მიზნით, საჭი-

<sup>4</sup> А. М. Рекунков, Сверхаясь с нормами права, Газ. «Правда», от 18 января 1986 г.

როდ მიგვაჩნია პროდუქციის ხარისხის შესახებ ახალ კანონში ჩაიწეროს შემდეგი ნორმა:

„უხარისხო, უსტანდარტო ან უკომპლექტო პროდუქციის დამზადებისა და გამოშვების თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომების მიუღებლობაში, ნაწარმის (პროდუქციის) დამზადებისას დაუდევრობის გამო გაფუჭებასა და განადგურებაში ბრალეული მუშა-მოსამსახურეების მიმართ ერთ თვემდე ხელფასის დაქვითვის შესახებ განკარგულების გაცემის ორკვირიანი ვადის დარღვევა საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციას ან დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომ ორგანოს არ ათავისუფლებს ზარალის ასანაზღაურებლად ზომების მიღების მოვალეობისაგან. ასეთ შემთხვევაში, აგრეთვე პროკურატურის, არასაუწყებო ან საუწყებო კონტროლის ორგანოების მიერ უხარისხო, უსტანდარტო ან უკომპლექტო პროდუქციის დამზადების, გამოშვების ან მიწოდების ფაქტების დადგენის შემთხვევაში, ისინი ვალდებული არიან არაუგვიანეს 2 კვირის ვადისა ბრძანებით მისცენ წინადადება ბრალეულ მუშაკს ნებაყოფლობით ანაზღაუროს მიყენებული ზარალი ერთი თვის ხელფასის ფარგლებში, საწარმოს ან ორგანიზაციის სალაროში ერთბაშად შეტანის გზით. ამასთან, ამ მუშაკს ბრძანებითვე უნდა განემარტოს, რომ თუ იგი არ არის თანახმა ანაზღაურებისა, გადახდევინება მოხდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სარჩელის წარდგენის საშუალებით, აქედან გამომდინარე შედეგებით (სასამართლო სხდომაზე გამოწვევა, სასამართლო ხარკების გადახდევინება და სხვ.)

თუ მუშაკი არ არის თანახმა ანაზღაურებისა, ადმინისტრაცია ან ზემდგომი ორგანო ვალდებულია ბრძანების გამოცემიდან 1 თვის ვადაში წარუდგინოს სარჩელი რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ქ. ტოლიატის მშრომლებთან შეხვედრის დროს წარმოთქმულ სიტყვაში მიმდინარე წლის 8 აპრილს დააყენა მეტად აქტუალური საკითხი სამრეწველო საწარმოთა ტექნიკური კონტროლის სისტემის გარდაქმნის შესახებ.<sup>5</sup> ამ დებულებამ გარკვეულწილად უკვე ჰპოვა საკანონმდებლო ხორცეცხმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 12 მაისის ერთობლივ დადგენილებაში, რომლითაც გაფართოვდა ტექნიკური კონტროლის სამსახურების როლი და უფლებამოსილება, შემოღებული იქნა მზა პროდუქციის სახელმწიფო მიღება სსრ კავშირის სახტანდარტის ორგანოების ხელმძღვანელობით.

როგორც ცნობილია, პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა სკკპ XXVII ყრილობამ საყოველთაო-სახალხო საქმედ, ყველა საბჭოთა ადამიანის უპირველეს პატრიოტულ მოვალეობად გამოაცხადა. სწორედ ამას გულისხმობს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუჩკოვი, როდესაც წერს: „სამართლის შესაძლებლობების, საპროკურორო ზედამხედველობის საშუალებების მაქსიმალური გამოყენება პარტიის მითითებათა რეალიზაციის საქმეში, პროკურატურის ყველა მუშაკის უპირველესი მოვალეობაა“<sup>6</sup>-ო.

ამ განმაზოგადებელი მითითებით უნდა ხელმძღვანელობდეს დღეს პროკურატურის ორგანოების თითოეული მუშაკი.

<sup>5</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1986 წლის 9 აპრილი, № 84.

<sup>6</sup> А. М. Рекунков, XXVII съезд КПСС и задачи органов прокуратуры, «Социалистическая законность», 1986 г., № 4, с. 7.

# კანონისა და საზოგადოებრივი აზრის კალით

კოკი ნარმანია,

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, რეზუბლიკის  
დამსახურებული იურისტი

მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ძალაშია და მოქმედებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „უზრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

უზრომელი შემოსავალი უცხო, უარყოფითი მოვლენაა ჩვენი საზოგადოებისათვის და იგი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სოციალისტურ წყობილებას, რადგან უზრომელები მწვავედ განიცდიან მატერიალური დოვლათის ნაკლებობას, მის არათანაბარ განაწილებას.

სოციალისტური სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, სოციალისტური საზოგადოება, მისი მართლწესრიგისა და კონტროლის სამსახურები მოვალენი და უფლებამოსილი არიან მკაცრად მოჰკითხონ იმ მოქალაქეებს, რომელთა შემოსავალიც რაიმე ეჭვს იწვევს.

კანონმდებლობით პირველად დაწესდა მოსახლეობის შემოსავლისადმი სახელმწიფო კონტროლის ისეთი ფორმა, როგორცაა დეკლარაციის წარდგენა. მოქალაქენი, რომლებიც დებენ ათი ათას მანეთზე მეტი თანხის გარიგებებს, აგრეთვე აშენებენ ოცი ათას მანეთისაზე მეტი ღირებულების საცხოვრებელ სახლს ან აგარაკს, ვალდებული არიან საფინანსო ორგანოებს წარუდგინონ დეკლარაცია შესაბამისი სახსრების მიღების წყაროების შესახებ. ასეთი დეკლარაციის წარდგენა საფინანსო ორგანოებში იწარმოებს აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა თუ პროკურორის მოთხოვნით.

დადგენილია, რომ ხუთი ათას მანეთზე მეტი ოდენობის გარიგებით ანგარიშსწორება, რომელიც წარმოებს მოქალაქეებსა და საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს შორის, ხდება სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებების ან სახელმწიფო შრომითი შემნახველი საღაროების მეშვეობით სახსრების უნაღდო გადარიცხვის გზით.

თუ ეჭვს იწვევს მოქალაქის მიერ შეტანილი დეკლარაციის მონაცემები, საფინანსო და სამართალდაცვითი ორგანოები დადგენილი წესით ჩაატარებენ შემოწმებას.

დეკლარაციის შეტანისათვის თავის არიდება, როცა იგი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, დეკლარაციის არადროული შეტანა ან მასში შეგ-

ნებულად დამახინჯებული მონაცემების მოყვანა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გაფრთხილების ან ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ჯარიმის სახით.

ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ განმეორებით ასეთივე დარღვევა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ან ჯარიმით ორასიდან ათას მანეთამდე. კანონის ეს ნორმა გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ახლადდამატებულ 172<sup>1</sup> მუხლში.

უშრომელი შემოსავლის ყველაზე გავრცელებული და საშიში წყაროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია, მყიდველთა მოტყუება, წამატებები, უხარისხო პროდუქციის გამოშვება და სხვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით განხორციელებულმა ღონისძიებებმა, რომლებიც მიმართულია დატაცებების, მექრთამეობის, სპეკულაციის, ქურდობის, პროტექციონიზმის და ბიუროკრატნიზმის წინააღმდეგ, კიდევ უფრო გააძლიერეს უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში შესამჩნევად გაიზარდა დატაცებების, მექრთამეობისა და სპეკულაციის გამოვლინების შემთხვევები. ერთი ორად, ზოგჯერ კი ერთი სამად მეტია ამ დანაშაულობათა ხვედრითი წონა შესაბამის საკავშირო მონაცემებთან შედარებით. მაგრამ ამის მიუხედავად, საქმის ფაქტიური მდგომარეობა რესპუბლიკაში მაინც არასახარბიელოა. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ფორმალიზმსა და უპასუხისმგებლობას. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ მუშაობა ამ მხრივ უნდა შეფასდეს არა მხოლოდ დატაცებათა და სხვა ანგარებით დანაშაულთა გამოვლინების სტატისტიკით, არამედ იმით თუ რამდენად არის გავრცელებული იგი ამა თუ იმ რეგიონში და როგორია საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხზე.

უშრომელ შემოსავალთან დაკავშირებულ მანკიერებებთან ბრძოლისათვის მთავარია კანონიერების განმტკიცება, საერთოდ საზოგადოებრივი ატმოსფეროს გაჯანსაღება.

უკანონო გამდიდრებასთან, დატაცებებთან, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გამოვლინებებთან ბრძოლის დროს სასურველ შედეგს მხოლოდ მაშინ მივალწევთ, თუ იგი იწარმოებს კომპლექსურად და დიფერენცირებულად, როცა მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას ამ მიმართულებით პრინციპული ხასიათი მიეცემა.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება თავისთავად იმას გულისხმობს, რომ მთლიანად აღიკვეთოს საერთო სახალხო ქონების ყველა სახის ხელყოფა. ცალკეულ დამატებელთა მხილება, რა გინდ ღიდი საზოგადოებრივი რეზონანსისაც არ უნდა იყოს იგი, პრობლემას ვერ გადაწყვეტს. მთავარი იმის უზრუნველყოფაა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონება საიმედოდ იყოს დაცული და მისმა ხელმყოფმა ყველა შემთხვევაში მკაცრად აგოს პასუხი.

საგამოძიებო და საპროკურორო მუშაობის პრაქტიკა მოწმობს, რომ სოციალისტურ საკუთრებას ხელჰყოფენ იქ, სადაც შექმნილია უყაირათობისა

და მფლანგველობის ატმოსფერო, შესუსტებულია სახელმწიფო დისციპლინა, წესრიგი არ არის მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა-შენახვაში, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ჩამოწერა ხდება მოძველებული ნორმების გამოყენებით და სხვ.

უშრომელი შემოსავლის მიღების საკმაოდ გავრცელებული სახეა ე. წ. წვრილმანი დატაცებები, რასაც ბევრგან სისტემატური ხასიათი აქვს. ასეთი დატაცებები კოლოსალურ ზიანს აყენებენ ქვეყნის ეკონომიკას და სწორედ ეს გარემოება იყო გათვალისწინებული, როცა ახალმა კანონმდებლობამ წვრილმანი დატაცებისათვის პასუხისმგებლობა გააძლიერა — დააწესა ჯარიმა 200 მანეთამდე და ყველა სახის პრემიის ჩამორთმევა.

წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის პრაქტიკა ყოველდღიურ დახვეწას, სრულყოფას მოითხოვს და დგას კიდევც საკითხი წვრილმანი დატაცების კრიტერიუმების შეცვლის აუცილებლობაზე. მაგალითად, კანონი 50 მანეთამდე დატაცებას წვრილმანად თვლის და ისე გამოდის, რომ 45 მანეთად ღირებული ფასეულობის ათჯერ მოპარვა უფრო უსაფრთხოა, ვიდრე 51 მანეთად ღირებულის ერთხელ მოპარვა.

ახალი კანონის ეფექტურად გამოყენების პარალელურად საჭიროა თანმიმდევრული და შეუთრგებელი ბრძოლა გამოეცხადოს აგრეთვე წვრილმანი დატაცებების ხელშემწყობ გარემოებებს. ამ დამტაცებლების ერთგვარ წამქეზებელთა როლში გვევლინებიან მოქალაქენი, რომლებიც დაუფიქრებლად იძენენ დატაცებულ თუ სხვა საექვო ქონებას და ისინიც, ვინც ბინების შეკეთების, სანტექნიკის დამონტაჟების და სხვა სამუშაოთა შესრულებისათვის კერძო პირებს ურიდებიათ. როგორც წესი, ხელოსნები ასეთ დროს იყენებენ ნაქურდალ დეფიციტურ მასალებსა და სხვა მოწყობილობებს. გამოდის, რომ მოქალაქეები ფაქტიურად წინასწარი შეცნობით იძენენ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას, რაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლით კვალიფიცირდება.

კანონმდებლობის გამკაცრება თვითონ ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში. როგორც ცნობილია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის არადანიშნულებისამებრ, მეტწილად ანგარების მიზნით გამოყენებამ, ფართო ხასიათი მიიღო და ამან სერიოზული ეკონომიკური ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, გადაიქცა იგი ცალკეულ პირთა უკანონო გამდიდრების საშუალებად.

ახალმა კანონმდებლობამ დააწესა, რომ ტრანსპორტის ანგარების მიზნით თვითნებური გამოყენებისათვის მოქალაქეები ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან 100 მანეთამდე, ხოლო თანამდებობის პირები ორას მანეთამდე ოდენობით. სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები დაჯარიმდებიან ას მანეთამდე ოდენობით ან ჩამოერთმევათ ტრანსპორტის მართვის უფლება ერთ წლამდე ვადით, ქონებრივი ზარალის ანაზღაურებით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლით საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების ან მექანიზმების თვითნებური გამოყენება ანგარების მიზნით, ჩადენილი ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან გამასწორე-

ბელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით სამასიდან ათას მანეთამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ. იგივე მოქმედება, თუ მას მოჰყვა დიდი ზარალი — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შრომითი კოლექტივების უფლებებსა და შესაძლებლობაზე უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გასააქტიურებლად და მიუთითა, რომ საჭიროა მათ ყოველნაირად უზრუნველყონ ადგილებზე სოციალისტური საკუთრების დაცვა, განუხრელად შეასრულონ სადირექტივო ორგანოების მითითებები, განამტკიცონ სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინა, საერთოდ, კანონიერება. დადგენილებაში ხაზი გაესვა ბრძოლის გამძაფრების აუცილებლობას უშრომელი შემოსავლის მიღების ისეთ საშიშ დანაშაულთან, როგორც მექრთამეობა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის (ქრთამის აღება) მეორე ნაწილს მაკვალიფიცირებელ ნიშნად დაემატა ქრთამის აღება პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან არაერთხელ, ანდა ქრთამის აღება დიდი ოდენობით. სასჯელად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით. აქვე ქრთამის აღება განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ჩაითვალა დამამძიმებელ გარემოებად. ამ მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოქმედებანი, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარეობა აქვს, ან რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ანდა რომელმაც აიღო ქრთამი განსაკუთრებით დიდი ოდენობით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

მეტად საშიში სახე მიიღო კერძომესაკუთრულ მისწრაფებათა რეალიზაციის ისეთმა გამოვლინებამ, როგორცაა სპეკულაცია. იმის მიუხედავად, რომ სპეკულაციასთან ბრძოლა სამართალდაცვითი ორგანოების გადაუღებელ ამოცანად არის გამოცხადებული, სამწუხაროდ, დღეისათვის იგი მაინც ერთ-ერთ საშიშ დანაშაულად რჩება, რადგან სპეკულანტთა აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც წესი, თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და მხოლოდ კერძომესაკუთრული, პარაზიტული ინტერესებით ცხოვრობს.

უკანონო გამდიდრების, მომხვეჭელობის და სხვა ანგარებით ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლებრივი ნორმების უფრო ეფექტურ გამოყენებას, კანონის ძალისა და ავტორიტეტის ამაღლებას. ამ დანაშაულობებთან ბრძოლა ალბათ იმიტომაც ძნელდება, რომ კანონის ზოგიერთ ნორმას სუსტად, ან საერთოდ არ ვიყენებთ. ავიღოთ მაგალითად სისხლის სამართლის კოდექსის 169<sup>2</sup> მუხლი — მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისათვის მოქალაქეებისაგან უკანონო გასამრჯელოს მიღება. მართალია იგი 1981 წლიდან მოქმედებს, მაგრამ პრაქტიკაში ამ ნორმას მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე იყენ-

ნებენ. მიზეზი ძირითადად ის არის, რომ მოქალაქეები თვითონ მალავენ და არ აცხადებენ ამ კატეგორიის დანაშაულებს, სამართალდაცვით ორგანოებს კი რატომღაც შემრიგებლური პოზიცია უკავიათ.

რესპუბლიკაში მომხდარმა არასრულწლოვანთა დანაშაულის ანალიზმა გვიჩვენა, რომ აქ განსაკუთრებით ჭარბობს ქურდობის, ლოთობის, მუქთახორობის შემთხვევები და იგი უმეტესად ცალკეულ ოჯახებში ან კოლექტივებში გამეფებული მომხვეჭელობის შედეგია.

უნდა ვთქვათ, რომ ახალგაზრდობის ერთი ნაწილის გადაგვარების მთავარი ფაქტორია მუშტრული ფსიქოლოგიის ზრდა, სიხარბე და მომხვეჭელობა, რის მაგალითსაც უპირველესად თვითონ მშობლები იძლევიან, ზნედაცემული და გადაგვარებული მშობლები.

აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან ოჯახებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა. ისინი ვალდებული არიან დროულად გამოუმუშავონ მოზარდებს ზღვარს გადასული პირადი სურვილების დაოკების უნარი, ჩამოუყალიბონ მათ მატერიალური შესაძლებლობებით განპირობებული მოთხოვნილებები და სხვ.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად საჭიროა აგრეთვე განხორციელდეს ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებანი, სრულყოფილად ამოქმედდეს სამეურნეო მექანიზმი, დაჩქარდეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, შეიქმნას შეურიგებლობის ატმოსფერო სპეკულანტებისა და მომხვეჭელების მიმართ, აღმოიფხვრას სიძნელეები ბინის მიღების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის საქმეში.

განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევს მექრთამეობა სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში, როცა ზოგიერთები თავიანთი სამსახურებრივი და პროფესიული ფუნქციის შესრულებისათვის იღებენ „საჩუქარს“. ხშირად საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ასეთი ძღვენის გარეშე არც ხდება დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება.

ახალმა კანონმა ყურადღება გაამახვილა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მოწესრიგებასა და საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებაზეც. მისი დედააზრი ის არის, რომ ამ საქმიანობისათვის დამახასიათებელი მისაღები ფორმები დაუკავშირდეს საზოგადოებრივ სექტორს და მას კანონიერი ხასიათი მიეცეს. მთავარი კი ის უნდა იყოს, რომ იგი სასარგებლო აღმოჩნდეს როგორც მოქალაქეთათვის, ასევე სახელმწიფოსთვისაც. და რადგან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაზე სპეციალური აკრძალვა არსებობს, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: „შინამრეწველური-ხელოსნური რეწვა ან სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, თუ ის ჩადენილია ასეთი დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ორასიდან ათას მანეთამდე, დამზადებული პროდუქციის, წარმოების იარაღებისა და ნედლეულის კონფისკაციით.“

თუ აღნიშნული ქმედობა ჩადენილია მნიშვნელოვანი ოდენობით ან დაქირავებული შრომის გამოყენებით, აგრეთვე იმ პირის მიერ, რომელიც ადრე

ნასამართლევი იყო აკრძალული სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით“.

ამ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობისათვის აუცილებელია პროფილაქტიკური საქმიანობის გაძლიერება და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა განხორციელება.

დროებითი სამშენებლო ბრიგადების ე. წ. „მეშაბაშეებისადმი“ დღემდე არსებული უარყოფითი დამოკიდებულება გამოწვეულია იმით, რომ ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში სეზონური მშენებლობის დროს ხშირად აქვს ადგილი დატაცებებსა და მექრთამეობას. მაგრამ აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამგვარ სამუშაოებს, თუ იგი ყოველნაირად ეფუძნება კანონს, მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.

ასეთ მშენებელთა საქმიანობა სახელშეკრულებო საფუძველზე დააკანონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის დადგენილებამ „დროებითი სამშენებლო ბრიგადების შრომის მოწესრიგების შესახებ“. ამიერიდან დადგენილებით აკრძალა შუამავლობითი მოვალეობების დაკისრება და საეჭვო ვზით მოპოვებული სამშენებლო მასალების გამოყენება.

ყველა, ვისაც ახალი კანონმდებლობის განხორციელება ევალება, ზედმიწევნით ზუსტად უნდა ჩასწვდეს კანონმდებლის აზრსა და მიზანს, რადგან აჩქარებამ და წინდაუხედაობამ შეიძლება დააზარალოს პატიოსანი კაცი, უპატიოსნოს კი თავიდან ააცილოს კანონისა და საზოგადოებრიობის მსჯავრი.

სამწუხაროდ პირველ ხანებში ყველგან ბოლომდე ვერ გავრკვევენ ახალი კანონის არსში, როგორც პრაქტიკა მოწმობს, ბევრგან შეინიშნება გადახრები, დამახინჯებები, დიფერენცირებულად და მოფიქრებულად არ უდგებიან უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს პირად დამხმარე მეურნეობებში, საკოლმეურნეო ბაზრებში და ზოგიერთ სხვა სფეროებში.

მთელი რიგი რაიონების ადგილობრივი ორგანოები და თანამდებობის პირები ადვილად ურიგდებიან ადმინისტრირებას, აწესებენ გაუმართლებელ აკრძალვებს და შეზღუდვებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანა-რეალიზაციაზე, აწყობენ ტრანსპორტის საშუალებების, საცხოვრებელი სახლებისა და ბინების, შემნახველ საღაროებში შეტანილი ანაბრების უკანონო შემოწმებებს, ითხოვენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცნობებსა და სხვა დოკუმენტებს ქონების კუთვნილებისა და მისი შექმნის წყაროების შესახებ.

გვხვდებით ისეთ ფაქტებსაც, როდესაც მკაცრად სჯიან იმ პირებს, რომლებმაც მართალია დაუშვეს მცირე მნიშვნელობის, შემთხვევითი სამართალდარღვევები, მაგრამ კეთილსინდისიერებით ეკიდებიან შრომას საზოგადოებრივ წარმოებაში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები ყოველთვის არ იღებენ სათანადო ზომებს უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის მანკიერი მეთოდების აღსაკვეთად.

ასეთ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს კი არასასურველი შედეგები მოჰყვება, კერძოდ, შეფერხდა საკოლმეურნეო ბაზრებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანა, შემცირდა ანაბრების შეტანა შემნახველ საღაროებში და სხვ.

სწორედ ამიტომ კიდევ უფრო იზრდება საპროკურორო ზედამხედველობის როლი და პასუხისმგებლობა. თავისი შეუვალობით და პრინციპულობით კანონის შესაბამისად მან არ უნდა დაუშვას საყოველთაო შემოწმებების ჩატარება, პირადი ანგარიშის გასწორება, საბჭოთა მოქალაქის უფლებების დარღვევა, პატიოსან ადამიანთა სახელის შებღალვა, ცილისწამება. აქვე ისიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ახალი კანონი მართალია დევნის უშრომელ შემოსავალს, მაგრამ არავის უკრძალავს მაღალკვალიფიციური შრომის შესაბამისი საზღაურის მიღებას.

მკვეთრად გაიზარდა პროკურატურის ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა უშრომელი შემოსავლის, მისი ხელშემწყობი პირობების აღკვეთა-აცილების და კადრების მორალური სიწმინდისათვის. დიახ, სახელგატეხილი, რეპუტაციაშელახული მუშაკი არ გამოდგება დამტაცებელთა, წამგლეჯთა და მექრთამეთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ბევრი ასეთი მუშაკი იქნა დათხოვნილი ამ ბოლო დროს სისტემიდან და ეს მუშაობა მანამდე გაგრძელდება, ვიდრე არ დამყარდება ისეთი წესრიგი, როგორსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ რესპუბლიკის პროკურატურაში დამკვიდრებულია კადრებთან მუშაობის ისეთი სტილი, როცა კეთილსინდისიერება და პატიოსნება მიჩნეულია პროკურატურის მუშაკის აუცილებელ თვისებად. მუშაობასა და ცხოვრებაში მუშაკები უნდა იძლეოდნენ უანგარობას, მორალური სიწმინდის ნიმუშებს და შეურიგებელნი იყვნენ უშრომელ შემოსავალთან, მომხვეჭელობასთან.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა საჯაროდ და სამართლიანად უნდა წარმოებდეს, რადგან რა მკაცრიც არ უნდა იყოს იგი, ვერ გაამართლებს თავის მიზანს, თუ უშრომელი შემოსავალი, როგორც უარყოფითი სოციალური მოვლენა, მთლიანად და საბოლოოდ არ დაგმო საზოგადოებრივმა აზრმა. ამისათვის კი საჭიროა, რომ ამგვარი გამოვლინების ყოველი ფაქტი მკაცრად იხილებოდეს შრომითს კოლექტივებში, საცხოვრებელ ადგილას, სათანადო სიმწვავეთ შექმნილი პრესის ფურცლებზე, ტელევიზიაში და სხვ. მხოლოდ ასე შეიქმნება უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის ჯანსაღი განწყობილება და შეურიგებლობის ატმოსფერო.



# იურიდიული აქსიომაები \*

სერგო ჯორჯანიანი,

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,  
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბანენის პრესტიჟის ამაღლების ნაცადი გზაა კანონების ცოდნა.

სოციალისტური სახელმწიფო კანონების პროპაგანდას განიხილავს, როგორც წინაპრობრივ-სამართლებრივი აღზრდის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

საერთო-სახალხო სახელმწიფოს კანონმდებლობა, თვითონ მასების მონაწილეობით შექმნილი, გამოირჩევა მისი განმარტების დროს რაიმე წინასწარგანზრახულ ბუნდოვანებასა და რაზრავნებას. სოციალისტური სახელმწიფო ძლიერია სწორედ მასების შეგნებულობით, მათი მაღალი სამართლებრივი კულტურით.

სამართლებრივი კულტურის ორგანული ნაწილია მისი შეგნება, რომ არსებული კანონი არა მარტო აუცილებელი, არამედ ყველაზე მიზანშეწონილი ნიშნულიც არის სასარგებლო ქცევის განხორციელების დროს.

კანონის მკვეთრად განსაზღვრული ფარგლების ცოდნა ესმარება მოქალაქეს არ მხოვდეს კონფლიქტში სამართლებრივ ნორმებთან.

ყოველი ახლადმიღებული კანონი მისი გამოქვეყნების შემდეგ დადგენილი წესით იწყებს მოქმედებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქე ვალდებულია იცოდეს და ასრულებდეს მას. ამიტომაც მოქალაქეებს არ შეუძლიათ თავი იმართლონ ამოქმედებული კანონის არცოდნით. ეჭვი არ არის, მოქალაქის მხრივ კანონის ცოდნის ვარაუდი იმას როდი ნიშნავს, თითქოს ყველა მოქალაქეს მოვთხოვოთ უკლებლივ ყველა ნორმატიული იურიდიული აქტის დამახსოვრება, რათა მან თავის კონკრეტულ ქცევებში შეცდომა არ დაუშვას. ეს რასაკვირველია, წარმოუდგენელია. მეტიც, დღეს არა თუ ცალკეულ მოქალაქეს, არამედ სამართლისმცოდნეებსაც უჭირთ სრულად იცოდნენ კონკრეტული დარგის ყველა ნორმატიული აქტი.

მოქალაქეების მაღალი სამართლებრივი კულტურა უპირველესად უნდა გულისხმობდეს იმას, რომ ისინი იცნობენ სოციალისტური სამართლის საფუძვლებს, მათ ძირითად იდეებსა და პრინციპებს, სამართლებრივ კატეგორიებს, რაც მათ ესმარება კონკრეტულ უფლებათა და მოვალეობათა სწორად შეხამებასა და აქტიურად განხორციელებაში. სწორედ ზოგადი საფუძვლები, იდეები, პრინციპები და კატეგორიები გადატანება ცალკეული მოქალაქეების მოქმედებაში, როგორც მართლზომიერი და სასარგებლო ქცევის ორიენტირები ისე, რომ მათ შეიძლება არც იცოდნენ ნორმების მოსალოდნელი დარღვევის კონკრეტული იურიდიული შედეგი. ქცევისას ამ ზოგად საწყისებს უმკიდროვის კავშირი აქვს წინაპრობრივი ნორმების დაცვასთან. აქ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ღირებულებათა დაცვისა და პატივისცემის წინაპრობრივ მოვალეობებს ადამიანები გაცილებით ადრე ხედავენ და სწავლობენ, ვიდრე მათ სამართლებრივ ნორმებში გაეცნობიან. სწორედ ამბობდა ამის თაობაზე ლევ ტოლსტოი, რომ „წინაპრობრივი კანონი ისე ნათელია, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ თავი იმართლონ კანონის არცოდნით“<sup>1</sup>. სამართლებრივი წინაპრობრივების შექმნის კონკრეტული ქცევისადმი, კონკრეტული შედეგების გარდა, ითვალისწინებს გაერთიანებულ სამართლის იდეებსა და პრინციპების, სამართლებრივი კატეგორიების მოქმედების მიერ არსებულს. მათ ახლა სამართლის მეცნიერების ცალკეული დარგები და სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიაც სწავლობს. ამ თვალსაზრისით ნაყოფიერი აღმოჩნდა ვ. ნ. კულრაივცივის მიერ 1967 წელს საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში პირველად დაყენებული საკითხი იურიდიული აქსიომების შესახებ, ე. ი. სამართლის ამა თუ იმ დარგის უქვევლი ფუნქციონალური განსაზღვრებები<sup>2</sup>.

\* იბეჭდება განხილვის წესით.

<sup>1</sup> Л. Н. Толстой, Полное (юбилейное) собрание сочинений, т. 42, с. 79.

<sup>2</sup> В. Н. Кудрявцев, О программировании процессов применения норм права, Вопросы кибернетики и право, М., 1967, с. 94.

ს. ს. ალექსეევის აზრით აქსიომას ის უცილობელი ჭეშმარიტებანი განსაზღვრავენ, რომლებიც „სამართლის სპეციფიკას“<sup>3</sup> გამოხატავენ. ს. ს. ალექსეევის მტკიცებით „გადახვევას ამ აქსიომებიდან, მათ დაუცველობას შეუძლია მიგვიყვანოს იქამდე, რომ სამართალი... წვეტს არსებობას იყოს სამართალი, რჩება რა პირდაპირი იძულების, ორგანიზაციული ზემოქმედების ღონისძიებად“<sup>4</sup>.

ყოველივე ამის შემდეგ სხვადასხვა ავტორთა შორის კონკრეტული ჩამოთვლა, თუ რა უნდა შივკუთვნოთ იურიდიულ აქსიომებს, გვაფიქრებინებს, რომ საქმე ეხება ამ ახალი ცნების უაღრესად ფართოდ გამოყენებას, აქსიომების სწირ, სრულიად გაუმართლებელ დუბლირებას სამართლებრივი იდეებისა და პრინციპების, იურიდიული პრეზუმციებისა და იურიდიული ფიქციის ცნებებთან<sup>5</sup>.

იურიდიული აქსიომების გამოყენების სფეროს ამგვარი გაფართოება ჩვენის აზრით მიზანშეუწონელია. ეს შექმნიდა მრავალ გაუმართლებელ, გადაძვეთ ხაზებს, განსაკუთრებით სამართლის ცალკეული დარგის პრინციპებთან<sup>6</sup>, რომლებსაც უკვე მკვეთრად ჩამოყალიბებული მიჯნები აქვს და მთავან განმასხვავებელი ნიშნების ძებნა ხელს შეუშლიდა იურისპრუდენციის წოგადი ცნებებისა და კატეგორიების სამართლებრივ პროპაგანდას. ამიტომაც სიფრთხილით უნდა მოხდეს აქსიომების ცნების გამოყენება იურისპრუდენციისათვის. ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ „აქსიომატური მეთოდი არამათემატიკური ცოდნის შემთხვევაში გამოდის როგორც კერძო, მეტად შეზღუდული მეთოდი და დამხმარე როლს თამაშობს“<sup>7</sup>. ეს უპირველესად სამართლის მეცნიერების მიმართაა გასათვალისწინებელი, ვინაიდან იგი უაღრესად მწვავე, სრულიად საპირისპირო, ერთმანეთის გამომრიცხველ ინტერესებს შეიძლება ეხებოდეს. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როცა აღნიშნავდა, რომ გეომეტრიული აქსიომები რომ ეწინააღმდეგებოდეს ადამიანთა ინტერესებს „ალბათ ისინიც უკუადებული იქნებოდნენ“<sup>8</sup>.

რასაკვირველია, ის რომ იურიდიული აქსიომები შეიძლება დაირღვეს და უარყოფილ იქნეს, თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ უარი ვთქვათ მის არსებობაზე. იურიდიული ნორმების დარღვევა რომ შეუძლებელი იყოს, მათი მიღებაც საჭირო არ იქნებოდა. ამასთან, იურიდიული აქსიომებს რთულ სოციალურ ურთიერთობაზე ზემოქმედების გამო შეიძლება სრულიად საპირისპირო დატვირთვა გაუჩნდეს. ამიტომაც სავსებით სწორია მტკიცება ა. ი. ეკიმოვისა, რომ სამართალში შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ აქსიომების „ცვალებად“ კრებადობაზე<sup>9</sup>, ვინაიდან იურიდიული აქსიომები მხოლოდ შეზღუდულ ვითარებაში და სპეციფიკურ პირობებში შეიძლება მოქმედებდეს.

იმისათვის, რომ იურიდიული აქსიომების ფარგლები დაუსაბუთებლად არ გაფართოვდეს, არ დაირღვეს სამართლის იდეების, პრინციპების და სამართლებრივ კატეგორიათა შესახებ უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებული მიჯნები და რაც ყველაზე მთავარია, აქსიომა თავისი დანიშნულებით საწინააღმდეგოდ არ იქცეს, უნდა განვსაზღვროთ მისი განსხვავებული შინაარსი, მისი მიზნები და საზღვრები:

იურიდიული აქსიომები უნდა განვიხილოთ, როგორც უღაოდ მიღებული ფუძემდებლური ორიენტირები მორალური და სამართლებრივი მოთხოვნებიდან, უპირველესად, მოქალაქეთა მიმართ სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელებისათვის. სწორედ იურიდიულ აქსიომებში პოულობენ თავის ასახვას წნეობრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე პრინციპები სამართლებრივ ასპექტებზე მჭიდრო ზემოქმედებით. იურიდიულ აქსიომებს ზვერთი შემხები წერტილი შეიძლება ჰქონდეთ სამართლის პრინციპებთან<sup>10</sup> და პრეზუმციებთან,

<sup>3</sup> С. С. Алексеев, Проблемы теории права, 1972, Свердловск, т. 1. с. 111.  
<sup>4</sup> С. С. Алексеев, Право и наша жизнь, М., 1978, с. 48.  
<sup>5</sup> З. М. Черниловский. Презумпции и фикции в истории права, Сов. гос. и право, 1984, № 1, с. 104—105.  
<sup>6</sup> Г. А. Сведльк, Принципы советского гражданского права, Красноярск, 1985 г.  
<sup>7</sup> В. Н. Садовский, Аксиоматический метод построения научного знания, Сб.: «Философские вопросы современной формальной логики», 1962, М., с. 259.  
<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 2. გვ. 134.  
<sup>9</sup> А. И. Экимов, Интересы и право в социалистическом обществе, 1984, Л., с. 125.  
<sup>10</sup> Л. С. Явич, Общая теория права, Л., 1976, с. 152.

მაგრამ ამჟღად მაინც მტკიცედ განსაზღვრული თავისი მიზნებით.

სოციალისტური სამართალი თანამიმდევრულად ახორციელებს და რეალობად აქცევს იმ ღრმა, ჰუმანური შინაარსის მქონე აქსიომებს, რომლებიც სამართლის მეცნიერებამ საუკუნეების მანძილზე შეიმუშავა. გასაგებია, რომ ეს აქსიომები არ უნდა ავურიოთ რომიდან მოყოლებულ იურიდიულ აფორიზმებში;<sup>11</sup> სადაც ხშირად მარჯვედ არის განვითარებული სამართალწარმოების, საზოგადოდ, კანონის შეფარდების იურიდიულ-ტექნიკური ხერხები და საშუალებები.

იურიდიული აქსიომების ცოდნა ხელს უწყობს მოქალაქეთა მაღალი სამართლებრივი კულტურის შემუშავებას.

ჩვენის აზრით, იურიდიული აქსიომები საბჭოთა კანონების შეფარდებისას მოქალაქეთა ინტერესების ზუსტად დაცვის ჰუმანური მიზნით უნდა იყოს განსაზღვრული. ამიტომ ჩვენ ასე წარმოგვიდგენია ყველაზე უფრო მიზანშეწონილი კლასიფიკაცია იურიდიული აქსიომებისა სოციალისტურ სამართალში: „პანონი შველასათვის ერთი და შველა თანასწორი პანონის წინაშე“.

ამ აქსიომიდან გამომდინარეობს ღრმა ჰუმანური არსი სოციალისტური სამართლისა.

მთავარი ნიშანთვისება კანონისა ის არის, რომ იგი საყოველთაო ხასიათისაა, წარმოადგენს თანაბარი მასშტაბის გამოყენებას სხვადასხვა ადამიანებისათვის. ამას თვითონ სიტყვა „პანონი“ ვეჩვენებს. როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ძველ ქართულ მწერლობაშიც იმხარებოდა სიტყვა „კანონი“. იგი ქართული სიტყვა არაა. ის ბერძნულიდანაც არის წარმომდგარი. „ბერძნულში კი ეს სიტყვა შემოიხიზნულია ძველიძველ დროსვე, ერთ-ერთ სემიურ ენაიდან... სადაც იგი ლერწამს ნიშნავდა; ლეღის მუხლებს. ბერძნულად „კანონს“ თავდაპირველად ხუროს ხის ერთ იარაღს ეძახდნენ, რომელსაც ოსტატები მუშაობის დროს თარაზოს მაგიერ სისწორის გასაზომად ხმარობდნენ ხოლმე“.<sup>12</sup>

რასაკვირველია, ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში მხოლოდ ფიქციაა ერთიანი მასშტაბის რეალურად შეფარდება სხვადასხვა ადამიანის ქცევის მიმართ, თუმცა, თავისთავად ეს არ უარყოფს იურიდიული კანონისათვის დამახასიათებელ ამ თვისებას. საქმე ისაა, რომ მთლიანად უარყოს ეს აქსიომა — „არც ერთ გაბატონებულ კლასს არ შეუძლია, თუკი იგი ისწრაფვის სრულად გამოიყენოს თავისი ბატონობისათვის სამართლებრივი უზრუნველყოფის შესაძლებლობანი“.<sup>13</sup>

კანონისათვის დამახასიათებელია, რომ იგი ქმნის ზოგადი ხასიათის წესს. ცალკეულ პირებს ევალებათ ამ ნორმის ეტალონის, მოდელის მიხედვით იმოქმედონ.

კანონის წინაშე თანასწორობა იმას ნიშნავს, რომ კანონის სიკეთით ადამიანები თანაბრად უნდა სარგებლობდნენ. ეს ნიშნავს სოციალიზმის პრინციპის, — „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით და თითოეულს შრომის მიხედვით“, თანამიმდევრულ განხორციელებას.

კანონი ყველასათვის ერთია, მისი მოქმედება ყველაზე ვრცელდება და არავინ არ არის გამოაკლისი ამ შემოქმედებისაგან. გამოაკლისი შეიძლება მხოლოდ თვით კანონმა დაადგინოს და მასაც მხოლოდ კანონების დაცვის მაღალი მიზანი უნდა დაედოს საფუძვლად. ამასთან, ყოველი გამოაკლისი წესის დადასტურება უნდა იყოს. რასაკვირველია, გაუმართლებელია, როცა ე. წ. გამოაკლისის წესით ცდილობენ კანონისათვის გვერდის ავლას, ანდა თვით მის დარღვევასაც კი. ხულერთია ვინ სჩადის ამას, რიგითი მოქალაქე, თუ მაღალი თანამდებობის პირი. ამ დროს ირღვევა კანონის მაღალი სოციალური ღირებულება და კანონთა შორის უმადლესი კანონი — კანონის პატივისცემის პრინციპი.

კანონის წინაშე ყველასა და თითოეულის თანასწორობა უმადლესი იურიდიული ძალის აქსიომაა. მას არა მარტო აღიარებს, არამედ თანამიმდევრულად იცავს სსრ კავშირის კონსტიტუცია (მუხ. 84): საბჭოთა მოქალაქენი თანასწორნი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიუხედავად. ამასთან, კანონით ისჯება მოქალაქის უფლებების ყოველგვარი პირდაპირი, თუ არაპირდაპირი შეზღუდვა, რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი

<sup>11</sup> Латинская юридическая фразеология, Состав. проф. Б. С. Никифоров, М., 1979.

<sup>12</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1928, ტ. 1. გვ. 4.

<sup>13</sup> Л. С. Явич, Общая теория права, Л., 1976, с. 150.

უპირატესობების დაწესება, ისევე როგორც რასობრივი ან ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლის<sup>14</sup> ან უგულბებულების ყოველგვარი ქადაგება.

**ბანონს უკუშეცავითი ძალა არა აქვს.**

ეს უაღრესად ზუსტად აღწევდა შექმნილია და არსებობს იმისთვის, რომ სისხლის სამართლის კანონი, როგორც ქვეყნის სავალდებულო წესი, რეაგირებას ახდენს იმ ურთიერთობებზე, რომლებიც მისი ძალაში შესვლის შემდეგ წარმოიშენენ. წინააღმდეგ შემთხვევაში უსამართლობა იქნებოდა, მოგვეთხოვა მოქალაქეებისათვის ისეთი კანონების შესაბამისად მოქმედება, რომლებიც ჭერ არ გამოცემულა და არ ამოქმედებულა. მით უფრო კიდევ დიდი უსამართლობა იქნებოდა, დაგვესაჯა პირი იმ კანონით, რომელიც სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ გამოცა. ამით ახალი კანონი სრულიადაც ვერ შეასრულებდა თავის აღმწერდელით-გამაფრთხილებელ და მორგანოზებელ როლს. რასაკვირველია, მოქალაქეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ ნორმის მოქმედების ფარგლები და ისიც, თუ რა ითვლება მის დარღვევად. სწორედ ამ გზით შეიძლება მათი მართლწილადი ქვეყნის წახალისება. მაშასადამე, ახალი კანონის მიღებამდე წარმომოხილი საზოგადოებრივი ურთიერთობა ექვემდებარება ძველი კანონის მიხედვით გადაწყვეტას. ეს აქსიომა მართლად მოქალაქეთა ინტერესების უკეთ მოწესრიგებისა და დაცვისათვის არსებობს. ამიტომ, თუ აღმოჩნდება, რომ ახალი კანონი, მაგალითად, ამსუბუქებს სასჯელს მის გამოცემამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, ანდა მეტიც, ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან, მაშინ შეცდომა იქნებოდა, რომ ახალი კანონის ამ საკითხით არ ესარგებლათ იმ მოქალაქეებსაც, რომლებმაც ასეთი დანაშაული აღერი ჩადინეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისე გამოვიდოდა, რომ მოქალაქეთა ერთი ჯგუფისათვის კანონი გაითვალისწინებდა სასჯელის ერთ უფრო მკაცრ სახეს, მეორისათვის კი — უფრო მსუბუქს. ამით დაირღვეოდა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის უნივერსალური აქსიომა და საბოლოოდ კანონიერება. ყველა ამ შემთხვევისათვის მთლიანად გამართლებულია, რომ კანონს უკუშეცავითი ძალა შეეცეს (მხოლოდ ამისიტია ის აქტი, რომელსაც უკუშეცავითი ძალა აქვს). ამგვარი აუცილებლობა შეიძლება დადგეს მაშინაც, როცა წარმომოხილი ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობა არ იყო სამართლით დაცული. ახალი კანონი კი მისი მოწესრიგება გათვალისწინებულია. ამ დროს მოქალაქეთა ინტერესების უფრო მყარად დაცვისათვის, კანონს ეძლევა უკუშეცავითი ძალა. კანონისათვის ამგვარი ძალის მიცემას მისამართლედ ანდა სახელმწიფოს სხვა ორგანოს წარმომადგენელი კი არ წუვეტს, არამედ თვითონ კანონმდებლობა. ამ შემთხვევაში მოცემულ იურიდიულ აქტზე უნდა იყოს მითითებული მისთვის უკუშეცავითი ძალის მინიჭების შესახებ<sup>15</sup>. როგორც ვხედავთ, კანონისათვის უკუშეცავითი ძალის მიცემა მხოლოდდამხოლოდ მოქალაქეთა ინტერესების უფრო სრულად დაცვის მოტივითაა დასაშვები და ამ დროს აქსიომაზე უარის თქმა სრულიადაც არ არის მისი შინაარსის საწინააღმდეგო.

**მოქალაქეთა არაბრალეულობის, უდანაშაულობის პრაუფიცია საბაზოთა სამართლის უმნიშვნელოვანესი იურიდიული აქსიომებია**

სოციალისტური სამართალი გამოდის მოქალაქეთა კეთილსინდისიერების ვარაუდიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ უკლებლივ ყველა მოქალაქე არაბრალეულად, უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცებულა. სსრ კავშირის კონსტიტუციის 160-ე მუხლის თანახმად „არავინ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აკრთვე დაედოს სისხლის სამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად“.

როგორც ვხედავთ, მკაცრად მოქმედებს პრინციპი, რომ სასამართლოს გარდა არცერთ თანამდებობის პირს და არცერთ სახელმწიფო ორგანოს არ შეუძლია მოქალაქე ცნოს დამ-

14 როგორც ვ. ი. ალექსეევი იგონებს ლ. ნ. ტოლსტოიზე „ეროვნულ შუღლს ლევ ნიკოლოზის ძე უარყოფითად უყურებდა. იგი ამბობდა: „ჩემთვის ყველა ადამიანის თანასწორობა აქსიომაა, ურომლისოდაც შეუძლებელია იაზროვნო“. და როდესაც ლ. ნ. ტოლსტოი გაიგებდა იმის შესახებ, რომ ამ „აქსიომას“ ვინმე არ ცნობდა, ანდა არღვევდა მას, იგი მთელ თავის მრისხანებას თავზე ატებდა მის დამრღვევს“.

Государственный литературный музей, «Летописи», кн. 12, т. II, М., 1948, с. 267.  
15 А. А. Тилле, Время, пространство, закон. (Действие советского закона во времени и пространстве), 1965, М., с. 48—100.

ნაშავედ. სასამართლოს კი შეუძლია ეს გააკეთოს მხოლოდ უტყუარი მტკიცებულობისა და მონაცემების საფუძველზე კანონის მკაცრი შესაბამისობით. კანონიერ ძალაში შესული გამაშტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე ყოველი პირი უდანაშაულოდ ითვლება. ზოგჯერ ასეთი კითხვაც იბადება: ნუთუ ყოველთვის აუცილებელია ამ პრინციპის მოქმედება, მაშინაც კი, როცა პირის მიერ დანაშაულის ჩადენა ეჭვს არ იწვევს, როცა თვითონაც გულმარტოდ აღიარებს მას?

გამოძიების, პროკურატურის ორგანოებს ევალება, კანონის მოთხოვნათა ზუსტი შესაბამისობით, სრულად და ობიექტურად გამოიკვლიონ საქმის გარემოებანი და მხოლოდ მასზე დაყრდნობით მიიღონ გადაწყვეტილება პირის ბრალეულობის თაობაზე. რასაკვირველია, მართო ბრალდებულის აღიარებას არ უნდა დავეყრდნოთ. აღიარება სრულიადაც არ არის „მტკიცებულების დედოფალი“. აღიარებას პირი შეიძლება მიმართავდეს სავსებით სხვა მოტივებით, შთა შორის, ისეთითაც, რომლებიც არ იყოს დაკავშირებული ანგარებასთან და და სხვა ქვენა გრძნობებთან. მაგალითად, აღიარების ერთ-ერთი სახეა თვითგატყდა, როცა პირი მეგობრული, ნათესაური მხარდაჭერის კარნახით თავისთავზე იღებს დანაშაულის ფაქტს, თუმცა, სინამდვილეში იგი მას არ ჩაუდენია.

სასამართლო პროცესზე განსახილველ ბრალეულობის დამტკიცება ეკისრება პროკურორს, სახელმწიფო ბრალმდებელს.

სახელმწიფო ბრალმდებელი არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ პასუხისმგებლობის გამართლებელ ანდა შემამსუბუქებელ იმ გარემოებებს, რასაც განსახილველი მიუთითებს. უფრო მეტიც, თუ განსახილველი პირი თავს არ იმართლებს, არ ამტკიცებს თავის ბრალს, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამით იგი ადასტურებს თავის ბრალეულობას. სწორედ ბრალმდებელი უნდა ამტკიცებდეს ბრალის არსებობას ანდა არარსებობას. სასამართლო პრაქტიკა მკაცრად იცავს ამ მოთხოვნას და საბჭოთა კანონმდებლობა პირდაპირ მოითხოვს მის შესრულებას არა მარტო სასამართლო ორგანოებისაგან, არამედ ყველა სხვა თანამდებობის პირისაგანაც, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობენ, ე. ი. პროკურატურის, გამოძიებისა და მილიციის ორგანოთა თანამშრომლებისაგან.<sup>16</sup> ყველაფერი ეს იმისათვის კი არ კეთდება, რომ დამნაშავენი დაიცვათ, არამედ იმისათვის, რომ რეალურად უზრუნველყვით ბრალდებულის უფლება დაცვაზე. ეს უფლება დაცულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 158-ე მუხლით. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინასწარვე, სასამართლო პროცესის დაწყებამდე, შეიძლება მიგვეჩინა პირი დამნაშავედ, რითაც სასამართლო პროცესი აზრს დაკარგავდა. მალაქოშმანური და დემოკრატიული, კონსტიტუციური, ე. ი. უმაღლესი იურიდიული ძალის პრინციპი არაბრალეულობის პრეზუმფციისა, ხელს კი არ უშლის ნამდვილი დამნაშავეის პოვნას, არამედ ხელს უწყობს იმას, რომ ისეთი რთული მოღვაწეობა, როგორცაა სასამართლო-პროკურატურის საქმიანობა, მაქსიმალურად იყოს დაწვეული შეცდომებისაგან და გამოირიცხოს კანონიერების დარღვევის შემთხვევები თანამდებობის პირთა თუნდაც უნებლიე მოქმედების შედეგად.

### საეპოპო ბარემოება ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა აიხსნას

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ერთ-ერთ თავის დადგენილებაში სავსებით სწორად მიუთითა „ყველა ეჭვი, რომელითა თავიდან აცილება შეუძლებელია, უნდა აიხსნას ბრალდებულის (განსახილველის) სასარგებლოდ“<sup>17</sup>.

ხომ არ არის აქ სასამართლო-პროკურატურის ორგანოთა უმწიფობა, დაძლიოს ის ეჭვები, რაც, ვთქვათ, დამნაშავეის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების კვალის მარჯველ დაფარვას მოჰყვა, ხომ არ აჯობებდა პირი მაინც დაგვეხაჯა, თუმცა, სულ მცირედ იეჭვი მაინც რჩება, რომ დანაშაულებრივი ქმედლო სხვასაც ჩადენა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ სასამართლოს შეცდომას შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგი პიროვნების პატივისა და ღირსების, ჯანმრთელობის და თუნდაც სიცოცხლის მიმართაც. მაშასადამე, შეცდომა აქ შეიძლება. საბედისწერო აღმოჩნდეს, ხოლო მისი გამოსწორება — შეუძლებელი. ამიტომაც მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპი მოქალაქის მიმართ. პროკურორმა და მოსამართლემ ყველა კანონიერი ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ეჭვები გარემოებათა დადგენისა და თუ მაინც ერთი და იგივე ფაქტი შეიძლება აიხსნას როგორც ბრალდებ-

<sup>16</sup> А. М. Ларин, Презумпция невиновности, М., 1982, с. 53—60.

<sup>17</sup> Социалистическая законность, 1978, № 9, с. 78, Бюллетень Верховного Суда СССР, 1976, № 1, с. 35.

ბულის სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ, მაშინ იგი არ შეიძლება გახდეს ბრალდებულისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი. გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ვარაუდებს ეურდობოდეს. ოდნავი ეჭვიც კი მის გამოტანას უკანონოდ ხდის, არადა „შეიძლება სიმართლედ სწორედ მცირე ეჭვის მხარეზე იყოს, სწორად გვაფრთხილებდა დიდი ფრანგი მოაზროვნე ვოლტერი, რომ „თუკი ბრალდებულის ბრალეულობის ასი ათასი ალბათობის წინააღმდეგ არის მხოლოდ ერთადერთი ალბათობა მისი არაბრალეულობისა, მაშინ აქ ერთმა ალბათობამ უნდა გაათანასწოროს ყველა სხვა“.<sup>18</sup>

თითქმის ამასვე იმეორებს საბჭოთა იურისტი ა. მ. ლარინი როცა წერს: „მსგავსი ამოცანის გადაწყვეტის დროს ალბათობის მათემატიკურ თეორიას კავშირი არ აქვს“.<sup>19</sup>

მართლაც, გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება რაიმე ეჭვებს ტოვებდეს იმ გარემოებათა დადგენის საკითხში, რომელთაც გადაწყვეტი როლი შეასრულებს მისი გამოტანისას. საბჭოთა მართლმსაჯულების პრინციპია: „თვითეული დანაშაულის ჩამდენი სამართლიანად დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდადებული“.

**ერთი სამართალდარღვევისათვის პირი ორჯერ არ უნდა დაისაჯოს**

სახელი სამართალდარღვევისათვის აუცილებელი უნდა იყოს. ამ პრინციპს უფრო მეტად აქვს გამაფრთხილებელი და აღმზრდელი მნიშვნელობა, ვიდრე სახელის სიმკაცრეს. დემოკრატიული, პროგრესული აზრის ეს მიღწევა სამართლებრივი რეპრესიის საკითხში მთლიანად გაიზიარა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და სამართლის მეცნიერებამ უარყოფდა რა სახელის შეფარდებისას შიშველი შურისგების პრინციპს, საბჭოთა სამართალი ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის იმ მითითებით, რომ „გამაფრთხილებელი მნიშვნელობა სახელისა განპირობებულია სრულიადც არა მისი სისასტიკით, არამედ მისი აუცილებლობით. მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ დანაშავე სასტიკად დაისაჯოს, არამედ იმას, რომ დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გამოუმუდავებელი“.<sup>20</sup>

პირს მხოლოდ ის სახელი შეიძლება შეეფარდოს, რომელიც მისი ჩადენის მომენტში ემუქრებოდა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება განხორციელდეს სახელის სამართლიანობა. საქმე ისაა, რომ „მხოლოდ სამართლიან განაჩენს აქვს გამაფრთხილებელი მნიშვნელობა, იგი ხელს უწყობს მსჯავრდებულის გამოსწორებას და ხელახლა აღზრდას“.<sup>21</sup>

ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობასთან სახელის პროპორციულობა სოციალური სამართლიანობის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. დანაშაულებრივი ქმედობის პროპორციული სახელი არა მარტო სამართალდამრღვევზე ახდენს ზემოქმედებას გამოსწორების ხელისკვეთებით, არამედ ყველა სხვა პირზეც, კოლექტივის ყველა წევრზე. სახელმწიფოებრივ სახელებს შურისგების მიზანი არა აქვთ, და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ერთხელ დასჯილი პირი ხელახლა არ შეიძლება გასამართლდეს, მით უმეტეს, განმეორებით მკაცრად დაისაჯოს. რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს სასამართლოს შეცდომების გასწორების მიზნით შეცვლილი განაჩენები, ანდა როცა ამგვარი შეცვლა ადრე განხილული საქმისათვის არსებითად მნიშვნელოვანი ახლად აღმოჩენილი გარემოებებით არის ნაპარნახევი.

როგორც ვხედავთ, იურიდიული აქსიომების გამოყენება ყველაზე სასარგებლო მაშინაა, როცა ისინი სოციალური სამართლიანობის იურიდიულ-ეთიკური პრინციპების განსახორციელებლად გვევლინებიან. ამიტომ, ჩვენის აზრით, არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია იმას, თუ იურიდიულ აქსიომად გამოვაცხადებთ იურიდიულ აქორიზმებად ქცეულ გამოთქმებს: „არავინ არ შეიძლება იყოს მსაჯული თავის საკუთარ საქმეში“, „სადაც უფლებია, იქ მისი დაცვაა“.<sup>22</sup> „დაე მოსმენილ იქნეს მეორე მხარე“.<sup>23</sup> და ა. შ.

საბჭოთა კანონებში გამოსატული სოციალური სამართლიანობის ღრმა არსის აღქმა და იურიდიული აქსიომების ფართო გავება მოსახლეობის მიერ, სამართლებრივი აღზრდისა და პროპაგანდის გადაუღებელი ამოცანაა.

<sup>18</sup> Вольтер, Избранные произведения по уголовному праву и процессу, 1956, М., с. 21.

<sup>19</sup> А. М. Ларин, Презумпция невиновности, с. 88.

<sup>20</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 4, გვ. 412.

<sup>21</sup> Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1977, 1978, т. 2, с. 62.

<sup>22</sup> С. С. Алексеев, Право и наша жизнь, с. 48.

<sup>23</sup> А. И. Экимов, Интересы и право в социалистическом обществе, с. 127.



# განუხილად დაკვირვებით კანონი სამოქალაქო საქმეთა ახილვის დროს

გიორგი ლევალიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

საბჭოთა საპროცესო სამართალი, სხვა გარანტიებთან ერთად, ითვალისწინებს აგრეთვე საქმის განხილვიდან მოსამართლის, პროკურორის და პროცესის სხვა მონაწილის ჩამოცილებას.

აცილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს მხარეებს, პროცესის სხვა მონაწილეებს, დაინტერესებულ პირებს და სასამართლო პროცესზე დამსწრე მოქალაქეებს იმის რწმენა შეუქმნას, რომ საქმე იხილება და გადაწყვეტილება მიიღება სავსებით ობიექტურად. ეს კი თავისთავად ამადლებს სასამართლო გადაწყვეტილებების ავტორიტეტსა და აღმზრდელობით როლს. ამიტომ სასამართლო მოვალეა განცხადება საქმის აცილების შესახებ განიხილოს გულისხმიერად, კანონის სრული შესაბამისობით.

როგორც სასამართლოების მიერ აცილებულ საქმეთა ანალიზი გვიჩვენებს, მათი უმრავლესობა აცილებულია არასწორად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20-ე, 21-ე, 25-ე, 27-ე და 28-ე მუხლების უხეში დარღვევით. ბოლო წლებში ამ მხრივ მდგომარეობის რაიმე არსებითი გაუმჯობესება არ შეიმჩნევა. თუმცა, „ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1980 წლის 30 სექტემბრის დადგენილების მითითებათა უზრუნველსაყოფად, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ბევრჯერ მიაქცია სასამართლოების ყურადღება მათ მუშაობაში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ისეთ აშკარა გამოვლინებას, როგორც არის სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის უკანონოდ აცილება.

1985 წელს და მიმდინარე წლის 6 თვეში საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში აცილების წესით შემოვიდა 153 საქმე. საქმეთა აცილებები განსაკუთრებით ხშირია ყვარლის, ლაგოდეხის, ქარელის, ფოთის, ქ. გორის, თიანეთის, წითელწყაროს სახალხო სასამართლოებში. გასულ წელიწადნახევარში აცილებული საქმეების 40 პროცენტი სწორედ ამ სასამართლოებზე მოდის.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო ამავე კოდექსის 28-ე მუხლით, აცილების მიღების ან უარყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. როგორც საქმეთა ანალიზი გვიჩვენებს, აცილების განცხადებათა უმრავლესობა, ისე როგორც

სასამართლოს განჩინებები, ხშირად დაუსაბუთებელია, არ არის მითითებული აცილებისათვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. აცილების განჩინებებში უმთავრესად მითითებულია, რომ მხარეს „ეჭვი ეპარება მოსამართლის ობიექტურობაში“ ან „სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გააუქმა ზემდგომმა სასამართლომ, ამიტომ მოსამართლე ვერ იქნება ობიექტური“. ან „მოსამართლემ დავის განხილვამდე მხარეებთან საუბარში წინასწარ გამოთქვა აზრი დავის ირგვლივ“... ასეთი მოტივებით აცილეს საქმეები წალკის რაიონის სახალხო მოსამართლე ფ. კონოსოვამ ალაჯანოვის განცხადების გამო სანოტარო მოქმედების გაუქმებაზე, ლანჩხუთის რაიონის სახალხო მოსამართლე მ. კუნჭულიამ ჭაჭუას სარჩელის გამო დვალიშვილთან ქონების გაყოფის შესახებ, ქ. ფოთის სახალხო მოსამართლე ბ. ვეკუამ ნეკრასოვის სარჩელის გამო ანტონენკოსთან ქონებრივ დავაზე, კასპის რაიონის სახალხო მოსამართლე ლ. შაყულაშვილმა კობახიძის სარჩელის გამო ფეიქრიშვილთან დავის შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით აცილების განცხადება განიხილება სასამართლო სხდომაზე მხოლოდ საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ.

ზოგჯერ სასამართლოები კანონის უხეში დარღვევით იცილებენ ჯერ კიდევ წარმოებაში მიუღებელ საქმეებს. უფრო მეტიც, ისინი ამას აკეთებენ მაშინაც კი როდესაც მხარეებს საერთოდ არა აქვთ დაყენებული აცილების საკითხი. არის იმის შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოები აცილების მიზნით საქმეებს განჩინების გარეშე უბრალო მიმართვთ აგზავნიან ზემდგომ სასამართლოებში.

ასეთი დარღვევით საქმე აიცილა ლენტეხის რაიონის სახალხო მოსამართლე ო. უშხვანმა ონიანის სარჩელის გამო მხარაძის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობასთან, ზუგდიდის რაიონის სახალხო მოსამართლე ნ. არონიამ ოდიშის სასოფლო საბჭოს სარჩელის გამო სართანისთან უკანონო შენობის ჩამორთმევის შესახებ და სხვა. აცილების საქმეებისადმი ამგვარი დამოკიდებულებით სასამართლოები არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ არაკეთილსინდისიერი მხარე ზოგჯერ აღწევს საქმის განხილვის დიდი დროით გაჭიანურებას და ქმნის საქმის ცალმხრივად, მის სასარგებლოდ გადაწყვეტის ობიექტურ პირობებს. ამით უხეშად ილახება მოქალაქეთა სასამართლო დაცვის კანონით გარანტირებული უფლებები.

უსაფუძვლო აცილებათა მიზეზით საქმეთა გაჭიანურება წარმოშობს მოქალაქეთა საჩივრებს, სამუშაო ადგილიდან მათ მოცდენას და სხვა მრავალ გარემოებებს, რაც ცხადია ხელს უშლის შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ამასთანავე, საქმეთა უსაფუძვლო აცილებებით ილახება სასამართლოთა ავტორიტეტი და რაც ყველაზე მთავარია, მოქალაქეები ჰკარგავენ რწმენას მათ ობიექტურობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საქმეთა აცილების ზრდა განპირობებულია იმით, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები ყოველთვის დროულად და სათანადო სიმკაცრით არ რეაგირებენ უკანონო აცილების ფაქტებზე.

კანონის დარღვევათა ამგვარი ფაქტების დაუყოვნებლივ აღმოფხვრა სასამართლო ორგანოების გადაუდებელი საქმეა.

## მეტყველება და პიროვნების იდენტიფიკაცია

გურამ რამიშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის განყოფილების უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

აღმნიშნის ყველაზე უფრო დამახასიათებელი და გამორჩეული ნიშანი მისი ინდივიდუალობაა. ყოველი პიროვნება ისეთი განუმეორებელი და ცალკეული ერთეულია, რომ მისი იდენტური მეორე ერთეული არ შეიძლება არსებობდეს დროსა და სივრცეში. პიროვნება ერთია სამყაროში, ორეულები მხოლოდ ზღაპრებში ცოცხლობენ.

ამავე დროს, პიროვნება ისეთი მთლიანობაა, რომელსაც განუმეორებელი თავისებურებები გააჩნია. ყველა ეს ცალკეული თვისება ამ პიროვნებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა. ეს შეეხება არა მარტო მის შინაგან, სულიერ სამყაროს, არამედ ფიზიკურ მხარესაც. ადამიანი ინდივიდუალური არსებაა როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ბიოლოგიურად. ამრიგად, პიროვნება ბიოლოგიური და სოციალური გარემოს ინდივიდუალური პროდუქტია. ბიოლოგიური თვალსაზრისით მას ახასიათებს ისეთი სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც გამოიხატება როგორც გენეტიკურად თანდაყოლილ, ისე შექმნილ თვისებებში. ასეთებია ადამიანის გარეგნობა, მისი ანატომიური და ფიზიოლოგიური აგებულება, მოძრაობისა და ქცევის სპეციფიკური მანერა და მრავალი სხვა.

ამ მხრივ განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია ადამიანის მეტყველება. მეტყველება ადამიანის აქტივობის ისეთი შედეგია, რომელიც თანაბრად არის დაკავშირებული, როგორც მოლაპარაკე პიროვნების სამეტყველო აპარატის ანატომიურ და ფიზიოლოგიურ ბუნებასთან, ასევე მის ზოგად ფსიქიკურ აგებულებასთან, მისი განათლების დონისა და სოციალური გამოცდილებიდან შეთვისებულ ჩვევებთან. ამ თვალსაზრისით პიროვნების დამახასიათებელ ყველა სხვა ნიშანთან შედარებით მეტყველება განსაკუთრებით მრავალმხრივი და გამომხატველი თავისებურებაა. სამეტყველო აქტივობის დროს ადამიანი გამიზნულად თუ გაუცნობიერებლად გადასცემს მსმენელს მრავალნაირ ინფორმაციას. მეტყველებისა და, კერძოდ, ხმის მიხედვით შეიძლება მსჯელობა მოლაპარაკის ასაკზე, მის სქესზე, არტიკულაციის თავისებურებებზე, მოლაპარაკისათვის დამახასიათებელ მეტყველების რიტმსა და ტემპზე. მეტყველება ავლენს აგრეთვე ადამიანის აქტუალურ ემოციონალურ მდგომარეობას, მის დამოკიდებულებას გამონათქვამის შინაარსისადმი (გაკვირვება, აღტაცება, ზიზღი) თვით მსმენლისადმი (სიშმათია, მოკრძალება, სიძულვილი) და მრავალი სხვა. პიროვნების დასახასიათებლად, ცხადია, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება არა მარტო აღნიშნული თავისებურებები, არამედ გამონათქვამის შინაარსიც, ადამიანის ენობრივი ქცევა, მისი მეტყველების რაობა და სტილი. კერძოდ, მეტყველების სემანტიკური მხარე მჭიდროდ არის დაკავშირებული მოლაპარაკის ცოდნის დონეზე, მისი აზროვნების თავისებურებაზე, ლოგიკაზე, ფაქტების დალაგების სპეციფიკაზე და სხვა. ამ და მრავალი სხვა ენობრივი თავისებურებების მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ ადამიანის კულტურაზე, მის ინტელექტზე, მის ხასიათსა და ზოგად სოციალურ პოზიციაზე და სხვა. და ბოლოს, ადამიანმა აზრი შეიძლება გამოხატოს თავისებური სახით და არა სხვაგვარად ე. ი. გამოიყენოს მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა ან სინტაქსური კონსტრუქციები. პიროვნებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ენობრივი მოდელი შე-

იძლება გამოყენებული იყოს როგორც ლიტერატურული ნორმების საზღვრებში, ისე ამ ნორმებიდან გადახრების დროსაც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს დიალექტები, უარგონი, „პარანტიზმი“ სიტყვების ჩართვა მეტყველებაში, სიტყვათა დაუსაბუთებელი გამოყენება და სხვა.

მეტყველებისა და ხმის ინდივიდუალობის ფაქტორი მუდმივ მოქმედებაშია ჩვენი ნებისა და განზრახვის გარეშე. აღამიანებს ჩვენ ხმის მიხედვით ვცნობთ ტელეფონით ლაპარაკის დროს, რადიოში, სიბნელეში. ამ უნარს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უსინათლოთა ცხოვრებაში. ხმის მიხედვით დედის ცნობის უნარს ფლობენ აგრეთვე ახალდაბადებული (რამოდენიმე კვირის) ბავშვები.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ აღამიანის ხმა ხასიათდება ისეთი ობიექტური ფიზიკური, ლინგვისტიკური და ფსიქიკური ნიშნებით, რაც შესაძლებელს ხდის დადგინდეს პიროვნება მისი მეტყველების მიხედვით.

მართალია, ეს ფაქტი უძველესი დროიდან არის ცნობილი<sup>1</sup>, მაგრამ კრიმინალისტიკური მიზნით მისი გამოყენება დღის წესრიგში მხოლოდ მას შემდეგ დადგა, რაც საგამომიბო და სასამართლო პრაქტიკაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა დაკითხვისა და საქმის მსვლელობის ფონოლოკუმენტირებამ ხმის ჩამწერი აპარატურის (მაგნიტოფონის) გამოყენებით. წერილობით, ფოტო და კინოლოკუმენტირებასთან ერთად დაკითხვის ფონოგრაფიათა საქმეში ჩართვამ არსებითად გაამდიდრა საანალიზო მასალა და ხელშემწყობი პირობები შექმნა სისხლის სამართლის საქმის უკეთ წარმოებისათვის. მართლაც, ფონოგრაფია სტენოგრაფიასთან შედარებით ხასიათდება მთელი რიგი უპირატესობებით. პირველ რიგში ეს არის შინაარსობრივი ინფორმაციის დიდი სიზუსტით დაფიქსირება. ამავე დროს, ფონოგრაფიაზე ავტომატურად აღიბეჭდება დაკითხვის დროს პიროვნების ემოციურობა, რომელიც შეუძლია შეუქმნიდეს მომხდენის საქმის ვითარებას, მაგალითად გამოავლინოს ცრუობის დასაკითხი პიროვნება თუ გულწრფელად ლაპარაკობს იგი.

ჩვენებების ჩაწერა მაგნიტურ ფირზე ხასიათდება იმითაც, რომ იგი გამოირიცხავს სტენოგრაფიის უნებლიე თუ შესაძლო სუბიექტურ დამოკიდებულებას საქმის მსვლელობისადმი, მის კვალიფიკაციას, სტილს, დაღლილობას და სხვა.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩენილიყო ფონოგრაფიის შესაძლებლობები. მართლაც, შემთხვევით თუ მიზანდასახულად შესრულებული ჩანაწერის ანალიზს, რომელიც მომხდარ ბოროტმოქმედებას შეეხება, შეუძლია დაადგინოს მოლაპარაკე პირების მთელი რიგი თავისებურებები, ხოლო ზოგჯერ თვითონ პიროვნებებიც კი. ამის საფუძველს, როგორც უკვე ითქვა, იძლევა უოვლდლიური ჩვენი გამოცდილება. ჩვენ შეგვიძლია ვიცნოთ ნაცნობი პირის ხმა ჩაწერილი მაგნიტოფირზე, ან თუ იგი უცნობია, დავადგინოთ მისი ჯგუფური თვისებები ე. ი. მოვადგინოთ მისი ხმის დიაგნოსტიკა, მივუთითოთ მის ეროვნებაზე, ეთნოგრაფიულ თავისებურებებზე, მის ინტელექტზე და პროფესიაზეც კი. მაგრამ ამ ფაქტორებთან ერთად უნდა აღინიშნოს ის სპეციფიკა, რომელიც აბრკოლებს ფონოგრაფიათა გამოყენებას და ძნელად მისაწვდომს ხდის ობიექტური და კატეგორიული დასკვნების გამოტანას.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ობიექტის ამოცნობის დროს აუცილებელია დავეყრდნოთ იმ ნიშანთა კომპლექსს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ახასიათებს ამ სახეობას და არ განეკუთვნება სხვას. ჩვენს შემთხვევაში ნიშანთა ეს კომპლექსი უნდა იყოს ინვარიანტული (ე. ი. უცვლელი) ამ ინდივიდუალობისათვის და უნდა არსებითად იცვლებოდეს სხვადასხვა პირთათვის. საილუსტრაციოდ შევჩერდეთ კრიმინალისტიკის ერთ-ერთ სახეობაზე — დაქტილოსკოპიაზე. აღიარებულია, რომ დაქტილოსკოპიური სურათები საკმაოდ მდგრადია ერთი პიროვნებისათვის და დიდ ცვლილებებს განიცდის ერთი პიროვნებიდან მეორეზე გადასვლის შემთხვევაში. ცხადია, ამის გამო პიროვნების დადგენის ამ სახეობამ დასაბუთებული ადგილი დაიკავა კრიმინოლოგიაში.

ერთობ განსხვავებული სურათი გვაქვს მეტყველების შემთხვევაში. ვაჩვენებთ რა მისი დიდი შესაძლებლობები სხვადასხვა პირების დახასიათების თვალსაზრისით, მთელ რიგ პრაქტიკულ შემთხვევებში ჩვენ არ ვართ გარანტირებული, რომ მეტყველების აუსტიკური თუ ლინგვისტიკური აღწერა მოგვცემს სტაბილურ და ინვარიანტულ სურათს ერთი პიროვნების ფარგლებში. უფრო მეტიც, სამეტყველო სივანლი და, განსაკუთრებით მისი ფონოგრაფია,

<sup>1</sup> შუასაუკუნოვან იტალიაში მოქალაქეთა პირადობის მოწმობაში პიროვნების დასახსიანებლად სხვა თვისებებთან (სიმაღლე, თვლების ფერი, ცხვირის ფორმა) ერთად აღინიშნებოდა აგრეთვე მისი ხმის თავისებურებებიც.



წარმოადგენს ისეთ ობიექტს, რომელიც განიცდის მრავალი გარე თუ შინაგანი ფაქტორის ზეგავლენას, რაც, საერთო ჯამში, ძლიერ ვარიაციულს ხდის მას. ყოველივე ეს თხოვლობს განსაკუთრებული ზომების მიღებას და ფონოგრაფია წინასწარ შერჩევას მათი სრულფასოვნების ან ვარგისიანობის თვალსაზრისით. ცოცხა დაწვრილებით შევჩერდეთ ამ საკითხებზე.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სამეტყველო სიგნალის ფიზიკურ თავისებურებათა დიდი ცვალებადობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ემოციურ მდგომარეობაშია მოლაპარაკე პიროვნება, რა ვითარებაში წარმოებს მისი სამეტყველო აქტივობა, ლაპარაკობს იგი ჩუმად თუ ხმაშლით, აღვზნებულია იგი, თუ პირიქით დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფება. ამასთანავე, ცალკეული ბგერების ტემბრი დიდ სახეცვლილებას განიცდის იმის გამოც, თუ როგორი ბგერების გარემოცვაშია იგი მოხვედრილი, მოქცეულია თუ არა მახვილის ქვეშ, როგორი ინტონაციით გამოითქმება და სხვა.

მაგრამ თვით ინდივიდის მდგომარეობითა და მეტყველების კანონებით განპირობებული ვარიაციების გარდა აღაშინის ხმა, თუ იგი ფონოგრამის სახით არის წარმოდგენილი, განიცდის სხვა ხასიათის სახეცვლილებებსაც. ასე მაგალითად, სამეტყველო ან ზოგადად აკუსტიკური სიგნალის ბუნება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ სად და რა გარემოში წარმოიქმნება იგი. როგორც წესი, ყოველი შენობა ხასიათდება ამა თუ იმ დონის რევერბერაციით, რის შედეგადაც კედლებიდან არეკლილი ხმა ძირითად ბგერასთან ერთად ინტერფერენციის შედეგად ცვლის და ამახინჯებს მას. ასეთივე გავლენას ახდენს ბგერაზე სხვადასხვა სახის ხმაური, რომელიც შეიძლება სტაციონალურ ან იმპულსურ ხასიათს ატარებდეს. ყველა შემთხვევაში ხმაური ნიღბავს პირველად ბგერას და ხშირად სრულიად შეუძლებელს ხდის მეტყველების გარჩევას, მითუმეტეს კი მისი ინდივიდუალური თავისებურებების ამოცნობას.

ასეთივე ზეგავლენას განიცდის სამეტყველო სიგნალი იმის გამო, რომ კავშირგაბმულობის არხები (მაგალითად, სატელეფონო), რომლებშიც იგი გავლის, ან ხმის ჩამწერი აპარატურა (მიკროფონები, მაგნიტოფონის ფირები, გამამდიერებლები და სხვა) არ არის სტანდარტული და ხასიათდება ამპლიტუდურ-სიხშირული მარჩენებლების სხვადასხვაობით.

პიროვნების იდენტიფიკაციის პროცედურა დამოკიდებულია რომ არ იყოს მაგნიტოფონებისა და კავშირგაბმულობის არხების მახასიათებლებზე, საჭიროა მოხდეს მათი წინასწარი შესწავლა და ფონოგრამათა შესაბამისი კორექტირება. ანალოგიური ნორმალიზაცია უნდა განხორციელდეს იმ აკუსტიკური გარემოს მიმართაც, რომელშიც მოხდა ფონოგრამის ჩაწერა. ცხადია, ეს მოხერხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რევერბერაცია და ხმაური იძლევიან ამის შესაძლებლობას.

ფონოგრამათა კრიმინალისტიკური ანალიზის დროს გასათვალისწინებელია ფირის შესაძლო ფალსიფიკაცია, რაც შეიძლება მოხდეს ჩაწერილი ლაპარაკის აკუსტიკური მონტაჟით, ფირების გადაწებებით, სხვა ხმების გადაფარვით და სხვა. ეს კი მოითხოვს ფირების ტექნიკურ დიაგნოსტიკას და ფონოგრამის ნატურალობის დადგენას.

არ არის გამორიცხული, რომ დანაშაულის ჩადენის პროცესში ადამიანი უნებლიედ იცვლის ხმას. ამიტომ ასეთ ექსტრემალურ პირობებში ჩაწერილი ხმის შედარება დაკითხვის ატმოსფეროში ჩაწერილ ხმასთან არ მოგვეცემს სასურველ შედეგს. ამას ემატება ისიც, რომ ექვმიტანილს შეუძლია ხელოვნურად შეიცვალოს ხმა, რათა შეცდომაში შეიყვანოს გამოძიება. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ხმის შეცვლა გარკვეული პირის ხმის მიმსგავსების ან განსხვავების მიწნით ძნელი არ არის. ამიტომ მისი დადგენა უნდა მოხდეს სპეციალური ექსპერტიზისა და სიტუაციის შესაბამისი კვლევის შედეგად. ფონოგრამა საანალიზოდ დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ ექვმიტანილი პიროვნების ხმას არ განუცდია არც უნებლიე და არც წინასწარგანზრახული ცვლილება.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ხმის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ცალკეული მეთოდები უკვე კარგა ხანია გამოიყენება მსოფლიოში. აშშ-ში 20 წელზე მეტია სარგებლობენ ხმის ეგრეთიწოდებული კონტურული სპექტროგრამების ვიზუალური ექსპერტიზის მეთოდით. წარმოთქმული სიტყვების გამოხატულების ეს ორიგინალური სახე საშუალებას იძლევა წარმოდგენილი იყოს აკუსტიკური სიგნალი სამგანზომილებიან სივრცეში (სიხშირე, დრო, ინტენსივობა) ისეთივე კონტურების სახით, როგორსაც ვიღებთ რელიეფების გამოსახვის დროს რუქაზე. ასეთი სურათების დიდი თვალსაჩინოება და გამოკვეთილობა (მსგავსად დაქტილოსკოპიური სურათებისა) იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ სპეციალისტების ერთმა ჯგუფმა სრულიად დაკარგა ზომიერების გრძნობა მათი შესაძლებლობების შეფასებისას და ფანტასტიკური მომავალი უწინასწარმეტყველა მათ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ერთი პიროვნების

მონაცემების ფარგლებში გარკვეული სიტყვის „ანაბეჭდების“ დამახასიათებელი მონატულობა უცვლელად დარჩებოდა წარმოთქმათა შედარებისას ხმის მიხანდასახული შეცვლის ნებისმიერ პირობებშიც კი.

მალე გამოირკვა, რომ ეს მეთოდი სრულიადაც არ არის უნაკლო. უფრო მეტიც, ამ მეთოდის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგი აშკარად ჩამოუვარდება პიროვნების იდენტიფიცირების არა მხოლოდ დაქტილოსკოპიურ მეთოდს, არამედ კრიმინალისტიკის სხვა მეთოდებსაც, მათ შორის აუდიტორიულსაც. ხმის „ანაბეჭდების“ მიხედვით პიროვნების იდენტიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოთქმება ერთი და იგივე სიტყვა, ერთსა და იმავე კონტექსტში და ემოციონალურ მდგომარეობაში.

მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, მეთოდი მიღებულ იქნა გამოსაყენებლად როგორც აშშ-ში, ასევე ამერიკისა და ევროპის ბევრ სხვა სახელმწიფოთა იურიდიულ დაწესებულებებში.

ამ მდგომარეობაში გამოიწვია დიდი კამათი სპეციალურ ლიტერატურაში. მეთოდის მოწინააღმდეგეებმა გამოთქვეს სამართლიანი გაკვირვება და განგაშიც კი ატეხეს იმის გამო, რომ მის დანერგვას შეიძლება მოჰყოლოდა მძიმე სოციალური შედეგი. მის გავრცელებას მხოლოდ იმით ხსნიდნენ, რომ ამ საქმეს სათავეში ედგნენ არაკვალიფიციური, მაგრამ სენსაციების მოყვარული ადამიანები.

ცხადია, პიროვნების იდენტიფიკაციის მეთოდიც არ შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ უწყვეტი მეთყველებისადან ამოკრფილი მარცვლების ან სიტყვების ვიზუალური სურათების სუბიექტურ აღქმას. ხმისა და მეთყველების მიხედვით პიროვნების დადგენის მეთოდიცა უნდა ემყარებოდეს სამეტყველო სიგნალის კომპლექსურ ანალიზს, რომელიც შეიცავს არა მხოლოდ ცალკეულ ფონემათა და მათ ერთიანობათა ლოკალური სურათების გაიფერას, არამედ სამეტყველო სიგნალის ტემბრალურ და პროსოდიულ ნიშანთა მრავალმხრივ შესწავლას. ამასთან, ფონოგრაფიათა ანალიზი უნდა იყოს უზრუნველყოფილი როგორც სუბიექტური (ვიზუალური და აუდიტორიული), ისე ლინგვისტიკური და მანქანური (ავტომატური) მეთოდების გამოყენებით.

პირველ რიგში საჭიროა ჩატარდეს საანკეტო ცნობების შეკრება ფონოგრაფიის შესახებ. ეს გულისხმობს ყველა იმ პირობის აღწერას, რომელშიც მოხდა ფონოგრაფიის ჩაწერა. მაგალითად, ფონოგრაფიის საბოლოო ანალიზისათვის საჭიროა ცნობები, თუ სად და როგორ სათავსოში წარმოებდა ხმის ფიქსაცია, პირდაპირ მიკროფონით თუ სატელეფონო არხით იყო შესრულებული იგი, როგორი ტიპის ხმაური ახლდა თან ჩაწერას, რა მაგნიტოფონზე და როგორი კვალიფიკაციის ოპერატორის მიერ იყო იგი განხორციელებული და სხვა. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ფონოგრაფიის პირველადი აუდიტორიული შესწავლა; რაშიც შედის მეთყველების ნატურალობის, მისი ხარისხის, ხანგრძლივობისა და, რაც მთავარია, ტექსტის შენარჩუნების დადგენა. შემდგომ უნდა ჩატარდეს მაგნიტოფიზიკის, ე. ი. ფონოგრაფიის ტექნიკური დიანოსტიკა. ეს პროცედურა, როგორც უკვე ითქვა, მთავარ მიზანად ისახავს შემოწმებას, არის თუ არა წარმოდგენილი ფონოგრაფია ნამდვილად საჭირო ინფორმაციის მატარებელი, თუ იგი ფალსიფიცირებულია.

გარდა ამისა, აუცილებელია განხორციელდეს ფონოგრაფიის კორექტირება და ნორმალიზება იმის გათვალისწინებით, თუ როგორი აპარატურა და არხი იყო გამოყენებული ხმის ჩასაწერად და როგორი სახის ნიმუშთან (ეტალონთან) დაგვიკრძდება ამ გამოსაკვლევი (სადაც) ფონოგრაფიის შედარება პიროვნების იდენტიფიცირებისათვის.

ჩამოთვლილი ოპერაციებისა და სხვა დამხმარე მასალის ანალიზის შედეგად ხდება ფონოგრაფიის ექსპერტიზის ძირითადი მეთოდიკის არჩევა ე. ი. იმის დადგენა, თუ რა სახის კვლევა იქნება უფრო ეფექტური კონკრეტული ფონოგრაფიის შესასწავლად და საბოლოო მიზნის მისაღწევად. იმის გათვალისწინებით, თუ რა საკითხები დგას გამოძიების წინაშე და როგორი მასალაა წარმოდგენილი საანალიზოდ, შესაძლებელია აქცენტი გადატანილი იყოს შესწავლის სხვადასხვა მეთოდზე, კერძოდ: აუდიტორიულზე, ვიზუალურზე, ლინგვისტიკურზე, მანქანურზე.

ყველაზე საინტერესო და პერსპექტიული მეთოდია მანქანური, რომელიც ემყარება სამეტყველო სიგნალის ავტომატურ ანალიზს, სპეციალურად შემუშავებული ალგორითმის საშუალებით მთელი რიგი ინდივიდუალური ნიშნების გამოყოფას, მათ ნორმირებასა და, რაც მთავარია, საეტალონო და სადავო ფონოგრაფიების შედარება-დაპირისპირებას. ისეთი რთული და მრავალგვარი ოპერაციების საფუძველზე, რომელთა შესრულება მხოლოდ სწრაფომქმედ გამოთვლელ მანქანებს ძალუძთ, ჩვენ შეგვიძლია განვხორციელოთ, როგორც ხმის ჭეუფური დიანოსტიკა, ისე მისი ინდივიდუალური იდენტიფიცირებაც, როცა ფონოგრაფიის სა-

რისი იძლევა ამის საშუალებას. ექსპერტიზის მეთოდების უკანასკნელი ეტაპი გულისხმობს ზემოწახსენები ოთხზე მეთოდით მიღებული შედეგების კომპლექსურ ანალიზს და ე. წ. „კოლექტიური“ გადაწყვეტილების მიღებას ყოველი მეთოდის წვლილისა და ეფექტურობის გათვალისწინების საფუძველზე.

ამჟამად პიროვნების იდენტიფიკაციის საკითხები მუშავდება და ამ მიზნით ფონოგრაფიათა ე. წ. სასამართლო-ფონოსკოპური ექსპერტიზა<sup>2</sup> წარმოებს საბჭოთა კავშირის რამოდენიმე ორგანიზაციაში — სსრ კავშირისა და უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროების უმაღლეს სკოლებში, საკავშირო იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალურ რესპუბლიკურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში. ჩვეთან ფონოგრაფიათა კვლევა მიმდინარეობს ადგილზე დამუშავებული და ზემოთ აღწერილი კომპლექსური მეთოდების მიხედვით. ეს მეთოდია, გარდა ძირითადი ამოცანისა, ითვალისწინებს აგრეთვე სხვა საკითხების გადაჭრასაც. ამ საკითხებს მიეკუთვნება სადაო ფონოგრაფიის ტექსტის გაშიფვრა და ცალკეულ შემთხვევაში ფონოგრაფიის ფირისა და იმ აპარატურის ტრასოლოგიური გამოკვლევა და იდენტიფიკაცია, რომელზეც ამ ფონოგრაფიის ფიქსირება მოხდა. ბოლო 3 წლის მანძილზე ლაბორატორიამ ჩაატარა 28 ექსპერტიზა, მათგან 4 — რუსების სვადახვა საგამოძიებო თუ სასამართლო ორგანოების მომართვის საფუძველზე. ექსპერტიზის წინაშე დასმული იყო სულ 54 კითხვა, მათგან 45-ს გაეცა კატეგორიული პასუხი, 9 კი ფონოგრაფიათა უზარისხობის გამო დადებითი პასუხის გარეშე დარჩა. აღსანიშნავია, რომ კითხვების უმეტესობა ეხებოდა ტექსტის დადგენას (18 კითხვა) და პიროვნების იდენტიფიკაციას. (18 პიროვნების ვინაობა დადასტურდა, 4 პიროვნების ვინაობის დადგენა ფონოგრაფიის დაბალი ხარისხის გამო ვერ მოხერხდა).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მუშაკები ფონოგრაფიათა ექსპერტიზის დანიშვნის დროს არც თუ იშვიათად არღვევენ იმ პირობებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარებისათვის. საექსპერტოდ ხშირად წარმოდგენილია შესაძარბლად შეუსაბამო მასალა, უზარისხო ნიმუშები, ფონოგრაფიათა ორიგინალების ნაცვლად მათი ასლები, არ არის მითითებული ცნობები იმ ტექნიკურ საშუალებათა შესახებ, რომელთა მეშვეობითაც მოხდა სადაო ფონოგრაფიის ჩაწერა, წარმოდგენილი არ არის ჩაწერის ტექნიკური საშუალებები, დადგენილება ექსპერტიზის და ნიშნის შესახებ არ შეიცავს გამოსაკვლევ იბიექტების სრულსა და ზუსტ აღწერას და სხვა.

ჩამოთვლილი დარღვევები უარყოფითად მოქმედებს ექსპერტიზის ჩატარების ხარისხზე. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით გამოყენებული უნდა იყოს ლაბორატორიაში დამუშავებული მეთოდური წერილი პიროვნების დასადგენად ფონოგრაფიათა ექსპერტიზის დანიშვნის, მომზადებისა და ჩატარების წესების შესახებ. წერილში მოცემული რეკომენდაციები განკუთვნილია საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მუშაკთა სახელმძღვანელოდ, როდესაც სამართალდარღვევის მამხილებელ ნივთმტკიცებად წარმოდგენილია პიროვნების მტკიცებების ფონოგრაფია.

2 ტერმინი „სასამართლო-ფონოსკოპური ექსპერტიზა“, როგორც კრიმინალისტიკის ერთ-ერთი სახე, გულისხმობს ხმის ჩანაწერების მიხედვით ბრძოლას დანაშაულთან. ოფიციალურად ის დამკვიდრდა იმ პერიოდში, როდესაც ფონოგრაფების კვლევა ძირითადად წარმოებდა მასზე დაფიქსირებული ბგერების ან ცალკეული სიტყვების ვიზუალური სურათებით, მათი შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. ამიტომ ბუნებრივია ხმის „ანაბექტების“ (მსგავსად თითების დაქტილოსკოპიური ანაბექტებისა) ასეთ შესწავლას თავის დროზე ეწოდა ტერმინი „ფონოსკოპიური ექსპერტიზა“.

ამჟამად, როდესაც ფონოგრაფიათა კვლევა მიმდინარეობს კომპლექსურად და პირველ რიგში სმენის საშუალებით, ტერმინი „სასამართლო-ფონოსკოპური ექსპერტიზა“ მოითხოვს კორექტივს. მიგვაჩნია, რომ ამ ახალი სახის ექსპერტიზის დასახითების დროს საჭიროა აქცენტის გაკეთდეს კვლევის ობიექტზე — ფონოგრაფიაზე და აქედან გამომდინარე ექსპერტიზის ამ სახეს ეწოდოს „ფონოგრაფიათა კრიმინალისტიკური ექსპერტიზა“. ასეთი განსაზღვრა ერთ კლასში მოაქცევს, როგორც ბგერათა ყველა სახის მატარებელს (მაგნიტური ფირი, მაგნიტური დისკო, ბგერითი ზოლი კინოფირზე და სხვ.), ასევე მათი ანალიზის მეთოდებს (ტექნიკური, აუდიტორიული, ვიზუალური, ლინგვისტიკური და ავტომატური).



# სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამართლებრივი მდგომარეობა

ოლია კონსტანტინოვა,

საბჭოთა კანონმდებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი

სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგია, რომელიც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა წამოაყენა და შემდეგ ფართოდ დაუჭირა მას მხარი სკკპ XXVII ყრილობამ, გულისხმობს „უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებას, მაგრამ არა მარტო ამას. მისი არსია თვისებრივად ახალი ზრდა: წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის, შრომის მართვის, ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების საფუძველზე“.<sup>1</sup>

სწორედ ეს აზრია გატარებული ბოლო წლებში მიღებულ მთელ რიგ სადირექტივო დადგენილებებში, რამაც მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის ეფექტიანობა.

მიზანი ერთია: სასიკეთოდ შეიცვალოს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია და შეიქმნას უფრო ღრმა ინტენსიფიკაციის, პროდუქციის გარანტირებული ნორმების პირობები. აქ კი მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობის გაფართოებას და მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

პარტიის მიერ დასახული ამ კურსის განხორციელებას გულისხმობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის ერთობლივი დადგენილება „აგროსამრეწველო კომპლექსის მმართველობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობისა და მმართველობის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოს— სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ფუნქციები და ამოცანები.

როცა ვლაპარაკობთ სსრ კავშირის სახაგრომრეწვის კომიტეტის სამართლებრივ მდგომარეობაზე, უპირველესად ვგულისხმობთ იმ პრინციპებს, რო-

<sup>1</sup> მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986 წ., გვ. 35.

მელთა საფუძველზეც ხორციელდება მოქმედი აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობა და მმართველობა.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მმართველობის ორგანოების სისტემას საფუძვლად უდევს ინტეგრაციის პრინციპი, რომელიც გამოიხატება როგორც მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციის პრინციპში, ასევე აგროსამრეწველო კომპლექსის მმართველობის ორგანოების სისტემაში.

მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრინციპებიდან აღსანიშნავია სასურსათო პროგრამის გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომა, რომელიც გამოძინარეობს სსრ კავშირის სახაგრომრეწვის ძირითადი ამოცანებიდან;<sup>2</sup> სოფლის მეურნეობის საწარმოების პრიორიტეტული განვითარება; აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა სფეროს გეგმაზომიერი პროპორციული და ბალანსირებული განვითარება და ორიენტაცია აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების საბოლოო მართვის შედეგზე<sup>3</sup>. ეს პრინციპები სამართლებრივად არის განმტკიცებული სახაგრომრეწვის მოქმედი კანონმდებლობით. კოოპერაციული საწარმოების ხელმძღვანელობის პრინციპი გამოძინარეობს სსრ კავშირის სახაგრომრეწვის დებულებიდან.<sup>4</sup>

მეტად მნიშვნელოვნად გვესახება კოორდინაციის პრინციპი, რომლის საფუძველზეც სსრ კავშირის სახაგრომრეწვი თავის საქმიანობას ახორციელებს იმ სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებებისა და საწარმოების მიმართ, რომლებიც არ შედიან ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში.

სახაგრომრეწვის საორგანიზაციო სტრუქტურის შექმნას საფუძვლად უდევს ინტეგრაციის პრინციპი, ასე მაგალითად სახაგრომრეწვი შეიქმნა შემდეგი სამინისტროებისა და უწყებების ბაზაზე:

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი. გარდა ამისა, სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა მთელი რიგი დარგები და საწარმოები ყოფილი დამზადების სამინისტროდან (შესყიდვის ინსპექციები), მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროდან (პროდუქტებისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის ფუნქციები), მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდან (შალის, სელის, ბამბეულის ლაფანის და სხვა კულტურების პირველადი გადამამუშავების დაწესებულებები).

სსრ კავშირის სახაგრომრეწვის სისტემაში შედიან აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების აგროსამრეწველო კომიტეტები, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები მათდამი დაქვემდებარებული საბჭოთა მეურნეობებით, კოლმეურნეობებით, საწარმოებით, დაწესებულებებით და ორგანიზაციებით. მათი ურთიერთდაქვემდებარება ხდება დადგენილი წესით და ერთ მთლიანობაში აქცევს სხვადა-

<sup>2</sup> Быстров Г. Е. Источники советского сельскохозяйственного права. — М., МГУ, 1985, с. 7.

<sup>3</sup> Сельскохозяйственное право: Учебник. М., Юрид. лит., 1985, с. 176.

<sup>4</sup> СП СССР, 1986, № 14, ст. 87.

სხვა დარგებს, რამაც უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის ზრდა.

სახაგრომრეწვის სისტემის შექმნა განაპირობა იმ ახალმა გადაუდებელმა ამოცანებმა, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე პრინციპულად დააყენა ცხოვრებამ. აქ უპირველესად იგულისხმება სოფლად მეურნეობრიობის პირობების კარდინალური შეცვლა, რაც თავისთავად მოითხოვს აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების კიდევ უფრო დახვეწას.

„სამეურნეო მართვას — თქვა სკკპ XXVII ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა — და ეს ცხადია, მუდმივი სრულყოფა ესაჭიროება. მაგრამ ახლა სიტუაცია ისეთია, რომ ნაწილობრივ გაუმჯობესებას ვერ დავჯერდებით — საჭიროა რადიკალური რეფორმა. მისი არსი ის არის, რომ ნამდვილად დავუქვემდებაროთ მთელი ჩვენი წარმოება საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, ადამიანთა საჭიროების დაკმაყოფილებას, მართვის მიზნად დავსახოთ ეფექტიანობისა და ხარისხის გადიდება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შრომის შედეგებით მუშაკთა დაინტერესება, სახალხო მეურნეობის თითოეულ რგოლში და უწინარეს ყოვლისა, შრომითს კოლექტივებში ინიციატივისა და სოციალისტური გერგილიანობის განვითარება“<sup>5</sup>.

აგროსამრეწველო კომპლექსის შექმნამ, ბუნებრივია, თავისი კანონმდებლობა მოითხოვა და მართლაც, ერთიმეორის მიყოლებით გამოიცა შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ და არეგულირებენ დღეს ამ დარგის სამართლებრივ მდგომარეობას. ეყრდნობა რა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებასა და სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს, ეს კანონმდებლობა ახალ ამოცანებს უსახავს აგროსამრეწველო კომპლექსის მმართველობის ორგანოებს და ცვლის მათზე დაკისრებულ ფუნქციებს.

აგროსამრეწველო კომპლექსის მმართველობის ორგანოთა ფუნქციები კი განპირობებულია მათი განსაკუთრებული სამართლებრივი ბუნებით და გულისხმობს სისტემის კონკრეტული მიზნებისა და საქმიანობის გაუმჯობესებას. ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ ადრე მოქმედი მმართველობის ორგანოთაგან განსხვავებით, სსრ კავშირის სახაგრომრეწვი აღჭურვილია უფრო მეტი უფლებებით, ვიდრე რომელიმე სხვა კომიტეტი ან საკავშირო სამინისტრო და ეს უპირატესობა უდავოდ ანიჭებს მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

მოქმედი კანონმდებლობით სსრ კავშირის სახაგრომრეწვი ცენტრალური საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოა და გააჩნია თავისი მატერიალური ბაზა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უშუალოდ თვითონ, ან თავის მიერ შექმნილი მმართველობის ორგანოებით ხელმძღვანელობს გაერთიანებებს, საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებს და საწარმოებს, გააჩნია თავისი მატერიალური და ფინანსური რეზერვები, დადგენილი წესით ასრულებს შემკვეთის ფუნქციებს სისტემის ორგანიზაცია-დაწესებულებებისათვის, ახორციელებს გენერალური მიმწოდებლისა და მენარდის ფუნქციებს საზღვარგარეთ მშენებარე შესაბამის ობიექტებზე და ა. შ.

5 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986 წ., გვ. 55.

დარგათაშორისი მმართველობა, რომელსაც დებულებით ახორციელებს სახაგრომრეწვი ფართოა და გულისხმობს დაგეგმვას, დაფინანსებას, კრედიტებს, აღრიცხვასა და ანგარიშგებას, ფასწარმოქმნას, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, კაპიტალურ მშენებლობას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, კადრების, შრომისა და ხელფასის საკითხებს და სხვ.

სსრ კავშირის აგრომრეწვი საგეგმო კომიტეტთან ერთად ახორციელებს აგრეთვე დაგეგმარებასა და ფინანსირებას სსრკ პურპროდუქტების სამინისტროს, სსრკ წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროს, სსრკ თევზის მრეწველობის სამინისტროს და სსრკ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მიმართ, ამით იგი უზრუნველყოფს სახაგრომრეწვის, როგორც ერთი მთლიანი ორგანოს მმართველობას.

სახაგრომრეწვი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ახორციელებს დაგეგმვასა და დაფინანსებას სხვადასხვა დარგების მიხედვით. მაგალითად: მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მონაწილეობით განსაზღვრავს იგი მიწების მელიორაციის განვითარების ძირითად მიმართულებებს, აფინანსებს მელიორაციულ სამუშაოებს, გამოჰყოფს კაპიტალდაბანდებათა ლიმიტებს, ახდენს დამთავრებული სამშენებლო ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას, უზრუნველყოფს მელიორაციული სამუშაოების ეფექტიან გამოყენებას და ა. შ. ამავე დროს, სახაგრომრეწვის უფლება აქვს გამოსცეს ამ უწყებებისათვის სავალდებულო ნორმატიული აქტები ან გადასცეს მათ, ისევე როგორც მოკავშირე რესპუბლიკების სახაგრომრეწვებს, ცალკეული საკითხების გადაწყვეტის უფლება.

სსრ კავშირის სახელმწიფო აგრომრეწვთან მჭიდრო და საქმიანი კონტაქტები აკავშირებთ ჩვენი ქვეყნის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროს და ზოგიერთი სხვა დარგის სამინისტროებს, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსის მოთხოვნათა საფუძველზე გეგმავენ და ქმნიან თავიანთ დანადგარებს, სასუქებს და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, იღებენ გადაწყვეტილებებს მათი სერიული წარმოებისათვის, მონაწილეობენ საბითუმო ფასების დადგენაში, განსაზღვრავენ კომპლექსური მექანიზაციის, ელექტროფიკაციის, გაზიფიკაციის, თბოფიკაციის და სსრ კავშირის სახაგრომრეწვის სისტემის მრეწველობის ძირითად მიმართულებებს.

შეისწავლის რა ხუთწლიდის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს, სახელმწიფო აგრომრეწვის უფლება აქვს შეუთანხმდეს ფასების სახელმწიფო კომიტეტს, სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და ფასთწარმოქმნის მიზნით წინადადება შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასების დაწესების ან შეცვლის შესახებ.

სახაგრომრეწვის კომპეტენცია მოქალაქეებთან ურთიერთობის სფეროში განისაზღვრება იმით, რომ მას შეუძლია გადაწყვიტოს ისეთი საკითხები, როგორცაა მიწათსარგებლობა, ნიადაგისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, ქიმიკატების სამეურნეო მიზნით გამოყენება, შრომის დაცვა სასოფ-

ლო-სამეურნეო წარმოებაში, მედიკამენტებით, ბიოპრეპარატებით, სადღეინფექციო და ზოოსავეტერინარო საშუალებებით სოფლის იმ მოსახლეობის უზრუნველყოფა, რომელთაც ფრინველი და საქონელი ჰყავთ. მანვე უნდა ჩაატაროს საკარანტინო ღონისძიებები მავნებლებთან და სასოფლო-სამეურნეო მცენარეულობის დაავადებებთან საბრძოლველად, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა საკარმიდამო მეურნეობის, კოლექტიური მეზღვეობისა და მეზოოსტენობის გაუმჯობესებას.

კადრების, შრომისა და ხელფასის სფეროში სახელმწიფო აგრომრეწვი ხელმძღვანელობს კადრებისა და სპეციალისტების მომზადება-გადამზადებას, წარმოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ანაწილებს იმ ახლგაზრდა სპეციალისტებს, რომლებმაც დაამთავრეს კომიტეტს დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, ატარებს კადრების დამატების ღონისძიებებს და სხვ.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და შრომისა და სოციალური საკითხების კომიტეტთან შეთანხმებით სახელმწიფო აგრომრეწვი ქმნის სპეციალურ ფონდს აგროსამრეწველო კომპლექსის იმ მუშაკთა წახალისებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშაობაში. პროფსაბჭოსთან ერთად აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, ამტკიცებს ამ შეჯიბრების პირობებს, აწესებს გარდამავალ წითელ დროშებს, ფულად პრემიებს, აჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და ჯილდოს გადასცემს გამარჯვებულებს.

სახელმწიფო აგრომრეწვი სისტემატურ და მკაცრ კონტროლს უწევს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, სახელმწიფო საგეგმო დავალებების აუცილებელ შესრულებას, დისციპლინის დაცვასა და მუშაობის ორგანიზებულობას, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გადამმუშავებელ მრეწველობასთან სოფლის მეურნეობის ინტეგრაციას, პროდუქციის შენახვისა და ტრანსპორტირების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, სახელმწიფო მიწების დაცვასა და მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

სახელმწიფო აგრომრეწვი თავის საქმიანობას ახორციელებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით, ხოლო კომიტეტის თავმჯდომარე, ამავე დროს, არის სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვის წევრებად თანამდებობის მიხედვით, თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების გარდა, ითვლებიან აგრეთვე: სსრ კავშირის პურპროდუქტების მინისტრი, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრი, მინერალური სასუქების წარმოების მინისტრი, სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის მინისტრი, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი, მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის მინისტრი, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის მინისტრი, სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სა-

ხელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე, მოკავშირე რესპუბლიკების სახაგრომრეწვების თავმჯდომარეები, მეცნიერები, სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები.<sup>6</sup>

სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტთან იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კომიტეტის თავმჯდომარე (ითვლება კოლეგიის თავმჯდომარედ) და სისტემის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას (იმათ გარდა, ვინც თანამდებობით შედიან კოლეგიაში) ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

თავისი საქმიანობის განხორციელების დროს სახელმწიფო აგრომრეწვი ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, გადაწყვეტილებებით, განკარგულებებით და აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ წერილში განხილული ფუნქციები მთლად ამომწურავი და საბოლოო არ არის. როგორც წესი, კანონმდებლობა სახელმწიფო აგრომრეწვის შესახებ ყოველდღიურად განიცდის დახვეწას და სრულყოფას. ამიტომ ჩვენ მათ შემდგომშიც მივუბრუნდებით, როცა გვექნება უფრო მეტი გამოცდილება და პრაქტიკული მაგალითები.

<sup>6</sup> ЦП СССР, 1985, № 34, ст. 160.

# პროკურორის უფლებამოსილება დანაშაულობათა განხილვის საქმეში

ვლადიმერ ხიონიძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორი,  
სსრ კავშირის პროკურატურის ინსტიტუტის მაძიებელი

პროკურორი ფართო უფლებამოსილებითაა აღჭურვილი და თუ იგი ზედ-მიწევნით სწორად შეასრულებს თავის მოვალეობებს, არც ერთი დანაშაული არ დარჩება გაუხსნელი, ხოლო დამნაშავეთაგან ვერაფერს დააღწევს თავს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

საგამოძიებო-საპროკურორო პრაქტიკის ანალიზმა, ამასწინათ საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე რომ იყო განხილული, გვიჩვენა, რომ დანაშაულთა დაგვიანებით განხილვა და მათი ჩამდენი პირების დაუდგენლობა, რაც სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებით შეჩერებას იწვევს, განპირობებულია სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დანაშაულთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის ეს მიზეზები ხშირად და სრულიად განსხვავებულია ერთიმეორისაგან.

ამჯერად შევიჩერდებით მხოლოდ მკვლელობათა გაუხსნელობის მიზეზებზე და ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით გვაკეთებთ დასკვნებს.

შესწავლილმა საქმეებმა მტკიცედ მიგვიყვანა იმ აზრამდე, რომ მკვლელობათა გაუხსნელობის უპირველესი მიზეზია თავდაპირველი და გადაუდებელი მოქმედებების, განსაკუთრებით კი შემთხვევის ადგილის დათვალიერების არასრულყოფილი ჩატარება, კვალისა და ნივთმტკიცებების აღმოუჩენლობა.

არსებითი ნაკლოვანებები შეიმჩნევა აგრეთვე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ზუსტად და საბოლოოდ მოფიქრებულად არ არის ჩამოყალიბებული ექსპერტებისათვის მიცემული შეკითხვები, შეცდომებია დაშვებული საექსპერტო დასკვნების შეფასებისას, არასწორად წარმოებს საგამოძიებო ექსპერიმენტი, მოწმეთა დაკითხვა და ა. შ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ გამოძიებლების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებს კრიმინალისტურ საშუალებებს, რადგან საამისო პროფესიული ცოდნა ბევრ მათგანს არ აქვს. ამასთან, მეთოდური ხასიათის ზოგიერთ შეცდომასთან ერთად, შეინიშნება პროცესუალური კანონების დარღვევაც. კერძოდ, ირღვევა მტკიცებათა შეკრების, გამოკვლევის, ბრალდებულის დაკვის და დაზარალებულისათვის კანონით მინიჭებული სხვა უფლებები.

საგამოძიებო შეცდომების ანალიზის დროს იურიდიულ ლიტერატურაში უმთავრესად მეთოდურ და პროცესუალურ შეცდომებზეა ყურადღება გამახვილებული. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ ფაქტორებს და ორგანიზაციულ პრობლემებს.

სუბიექტურ ფაქტორებს, ჩვენის აზრით, შეიძლება მიეკუთვნოს ზოგიერთი გამოძიებლის ფსიქოლოგიური მოუშაადებლობა და დაბალი პროფესიული დონე. თუმცა, განზრახვი მკვლევლობების გამოძიების ხაზით ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფების შექმნამ რამდენადმე გააუმჯობესა ამ საქმიანობის ორგანიზაცია. მართლაც, ამ ბოლო დროს ჩატარებული მუშაობის შედეგად უკვე გაიხსნა გასულ წლებში ჩადენილი რამოდენიმე განზრახვი მკვლევლობა. ეს კი განაპირობა იმან, რომ ჩვენი რესპუბლიკის გამოძიებელთა შორის ბევრია გამოცდილი მუშაკი, თავისი საქმის ჭეშმარიტი ოსტატი. ასეთია მაგალითად, საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ყოფილი გამოძიებელი გ. აგლაძე, რომელმაც გამოიძია და გახსნა განზრახვი მკვლევლობების რამდენიმე საქმე, წლების განმავლობაში რომ ვერ იხსნებოდა. ამჟამად გ. აგლაძე თბილისის კალინინის რაიონის პროკურორია.

პრობლემები და სიძნელებები კი მაინც გვაქვს. განსაკუთრებით ვგრძნობთ თანამედროვე კრიმინალისტური საშუალებების უქონლობას და მოკვლევის ორგანოებთან სუსტ ურთიერთმოქმედებას, რაც ცხადია, მოქმედებს კიდევ გაუხსნელი მკვლევლობების გამოძიებაზე.

ასეთ დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქმედით საპროკურორო ზედამხედველობას, რაც უპირველესად ყოველგვარი დარღვევის დაუყოვნებლივ და განუხრელ აღკვეთას გულისხმობს.

როგორც უკვე ვთქვით, პროკურორს მინიჭებული აქვს ფართო უფლებამოსილება („სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლი) და იგი შეიძლება შემდეგ სამ ძირითად ჯგუფად გაერთიანდეს:

1. პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების ან მოკვლევისა და გამოძიების გადაწყვეტილებათა სანქციონირება.

აქ შედის პროკურორის უფლებამოსილება, რომ აღძრას სისხლის სამართლის საქმე, უარი უთხრას აღძვრაზე, შეწყვიტოს ან შეაჩეროს იგი წარმოებით, წარმართოს სასამართლოში დამთავრებული საქმეები, გასცეს სანქცია ჩხრეკის წარმოებაზე, ყაღალა დაადოს ან ამოიღოს საფოსტო — სატელეგრაფო კორესპონდენციები, გადააყენოს ბრალდებული თანამდებობიდან, დადგენილი წესით გააგრძელოს პატიმრობის ვადა და ა. შ. (პ. პ. 6,7).

2. მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონების დარღვევის თავიდან აცილება და გამოვლენა.

პროკურორი უფლებამოსილია შემოწმების მიზნით გამოითხოვოს მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებიდან სისხლის სამართლის საქმეები, საბუთები, მასალები და სხვა ცნობები ჩადენილი დანაშაულისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა შესახებ, აგრეთვე მოკვლევის და წინასწარი გამოძიების მსვლელობაზე. პროკურორმა თვეში ერთხელ მაინც აუცილებლად უნდა შეამოწმოს შემოსული განცხადებები და შეტყობინებები ჩადენილი ან მზადებაში მყოფი დანაშაულობების შესახებ, კონტროლი გაუწიოს იმას, თუ როგორ სრულდება ამ მხრივ კანონი.

მანვე წერილობითი მითითებები უნდა მისცეს შესაბამის პირებს მომხდარი დანაშაულის გამოძიებაზე, შეარჩიოს აღმკვეთი ღონისძიება, შეცვალოს ან გააუქმოს კვალიფიკაცია, გასცეს განკარგულება ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა დაქვინის შესახებ.

დაავალოს მოკვლევის ორგანოებს რათა შეასრულონ დადგენილებები და-

დანაშაულის ჩამდენ პირთა დაძებნა-დაკავების, წარმოდგენის, პატიმრობაში აყვანის, ჩხრეკის, ამოღების და სხვა საგამომიებო მოქმედებების შესრულების შესახებ, მისცეს მათ მითითებები, რომ მიიღონ საჭირო ზომები დანაშაულთა გასახსნელად და დამნაშავე პირთა გამოსავლენად.

მონაწილეობა მიიღოს მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებაში და საჭიროების შემთხვევაში პირადად აწარმოოს ცალკეული საგამომიებო მოქმედება — ან მთლიანად გამოძიება. (პ. პ. 1, 3, 4, 5).

3. კანონიერების დარღვევათა აღკვეთა წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ.

პროკურორის უფლებამოსილებაში ამჯერად შედის ის, რომ გააუქმოს გამოძიებლისა და მომკვლვეი პირის უკანონო და უსაფუძვლო დადგენილებები, დაუბრუნოს სისხლის სამართლის საქმეები მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს და მიუთითოს დამატებითი გამოძიების ჩატარებაზე.

მოკვლევის ორგანოდან ამოიღოს ნებისმიერი საქმე და გადასცეს იგი გამოძიებას, ამავე დროს უფრო სრული და ობიექტური გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით საქმე ჩამოართვას წინასწარი გამოძიების ერთ ორგანოს ან ერთ გამოძიებელს და გადასცეს მეორეს. (პ. პ. 2, 8, 9).

როგორც ვხედავთ, პროკურორის უფლებამოსილებათა ფართო დიაპაზონი, ანუ ამ უფლებამოსილებათა სამართლებრივი რეგულირება, მთლიანად უზრუნველყოფს დანაშაულთა დროულად გახსნას. თუ ზოგჯერ მაინც გვაქვს იმის ფაქტები, როდესაც არ იხსნება დანაშაული, ეს იმის ბრალია, რომ სუსტიან დანაშაულთან ბრძოლის ორგანიზაცია და პასუხისმგებლობა.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა დანაშაულობათა მოკვლევის გაუმჯობესება, სასჯელის აუცილებლობის უზრუნველყოფა. მშრომელები სამართლიანად მოითხოვენ, რომ ყოველი დანაშაული ჭეოვნად იყოს გამოძიებული, ბრალეულები კი დამსახურებულად დაისაჯონ. სამწუხაროდ, ამ ამოცანის გადაწყვეტაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ახლო წარსულში გავრცელებულმა მტკიცებამ, თითქოს დანაშაულობათა მოკვლევის გაუმჯობესებისადმი უპირველესი ყურადღება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას ანიჭებდეს პასიურ, თავდაცვით ხასიათს. ამ მცდარ თეზისს და საპროკურორო ზედამხედველობის არასაკმარის სიმტკიცეს მოჰყვა საგამომიებო აპარატის მთელი რიგი უნაყოფო რეორგანიზაციები, მოკვლევის ორგანოების ფუნქციათა შეკვეცა; სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების მუშაობის გაუარესება; შინაგან საქმეთა ორგანოებში დისციპლინის შესუსტება, საბოლოო ანგარიშით კი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითობის ერთგვარი შემცირება“.<sup>1</sup>

განსაკუთრებით მწვავედ დადგა ეს საკითხი სკკპ XXVII ყრილობაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: „უცვლელ ამოცანად რჩება საბჭოთა კანონების მთელი ძალის გამოყენება დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინა-

<sup>1</sup> Рекунков А. М. На страже правопорядка и социальной справедливости, «Коммунист», 1986, № 1, с. 49.

აღმდეგ ბრძოლაში რომ ადამიანები ყოველ დასახლებულ პუნქტში გრძობდნენ სახელმწიფოს ზრუნვას მათი სიმშვიდისა და ხელშეუხებლობისათვის, დარწმუნებული იყვნენ, რომ ვერცერთი სამართალდამრღვევი ვერ წაუვა საკარის სასჯელს“<sup>2</sup>.

დანაშაულთა გახსნის გაუმჯობესების, პასუხისმგებლობის გარდუვალობის სრული უზრუნველყოფისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის ქმედობის ამაღლებისათვის ჩვენის აზრით საჭიროა გადაიჭრას შემდეგი საკითხები:

ა) შემუშავდეს და განხორციელდეს გამომძიებელთა პროფესიული ოსტატობის ასამაღლებელი ღონისძიებების განსაკუთრებული სისტემა, სადაც მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს მეთოდური, პროცესუალური და სისხლის სამართლებრივი ხასიათის საგამომძიებო შეცდომების მიზეზების ანალიზს, აქვე აუცილებელია დამუშავდეს ამგვარი შეცდომების თავიდან აცილების პირობები.

ბ) იმის გამო, რომ ბევრი ნაკლოვანება გამოწვეულია, მხოლოდ და მხოლოდ საგამომძიებო სამმართველოების (განყოფილებების) ხელმძღვანელთა სუსტი კონტროლით, საჭიროა გაძლიერდეს და უფრო პრაქტიკული გახდეს იგი.

გ) საგამომძიებო შეცდომების თავიდან აცილების უპირველეს პირობად მიგვაჩნია პროკურორის პირადი მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებაში.

დ) საპროკურორო ზედამხედველობის გაუმჯობესების, მისი ეფექტურობის და ქმედითობისათვის საჭიროა აგრეთვე ჩატარდეს გამომძიებაში მყოფი სისხლის სამართლის საქმეების შესწავლა-შემოწმება. ყველაფერი რაც აუცილებელია დანაშაულის დროულად გასახსნელად, პროკურორმა უნდა მიუთითოს წერილობით და უზრუნველყოს მათი შესრულება.

პროკურორის როლზე დანაშაულის დროულად გახსნის საქმეში სხვა ბევრი რამის თქმაც შეიძლება. აქ ჩამოთვლილია მხოლოდ ზოგიერთი ასპექტები იმ საქმიანობიდან, რასაც პროკურატურა ეწევა დამნაშავეობასთან ბრძოლის თვალსაზრისით და რამაც საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს მომხდარ დანაშაულთა გახსნა. რა თქმა უნდა, საკითხი ამ ერთი წერილით არ ამოიწურება და უფრო დავჭრილებით მასზე სხვა დროს შევჩერდებით.

<sup>2</sup> ვ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობას, თბ., 1986 წ., გვ. 104.

# საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების არსი და სახეები

ირინე ფალიაშვილი,

კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი

სახელმწიფოთა შორის ყველა სავაჭრო ურთიერთობის იურიდიული საფუძველი არის საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულება, რაც საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი სახეა. თავისთავად, საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფოების, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, კლასობრივი ნება-სურვილის ნათლად გამოხატულ შეთანხმებას.

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულება ისეთ საკითხებზე იდება, რომელთაც თანაბარი მნიშვნელობა და საერთო ინტერესები აქვთ ამ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებისათვის. საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულება დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე და არეგულირებს ამ ხელშეკრულების დამდები სუბიექტების ორმხრივ უფლებებსა და ვალდებულებებს.

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულება შეიძლება განისაზღვროს როგორც საერთაშორისო სამართლის მიერ რეგულირებული ურთიერთობა ორ ან მეტ საერთაშორისო სამართლის სუბიექტს შორის, იგი ადგენს მხარეების (ურთიერთობის სუბიექტების) უფლება-ვალდებულებებს და მიმართულია განსაზღვრული საერთაშორისო სავაჭრო სამართალურ ურთიერთობის დადგენის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების 1964 წლის ქენევის კონფერენციამ თავის დასკვნით აქტს დაურთო მთელი რიგი რეკომენდაციები საერთაშორისო ურთიერთობის ხელშეკრულების საკითხებზე. რეკომენდაციებში ხაზი გაესვა ხანგრძლივი სავაჭრო შეთანხმებების (ხელშეკრულებების) უფრო ფართოდ გამოყენებას, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური სისტემები გააჩნიათ ან მიეკუთვნებიან განვითარებად ქვეყნებს.

ის საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები კი, რომლებიც სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის იდება, არეგულირებენ იმ საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს, რომლებიც შეესაბამება ამ სახელმწიფოთა შინაგან სახალხო-სამეურნეო გეგმებს.

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების სუბიექტები არიან მხოლოდ სახელმწიფოები, რადგან ისინი სარგებლობენ ეკონომიკურ სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულების დადების უფლებით. საკითხს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელ სახელმწიფო ორგანოს აქვს საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების დადების უფლება, განსაზღვრავს თვით სახელმწიფოს კანონმდებლობა. სსრ კავშირში საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების დადების უფლება განეკუთვნება სსრ კავშირის კომპეტენციას.

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულება წარმოადგენს ბაზისურ აქტს და მისი სხვადასხვა სახეები შეიცავენ ნორმებს ამ ურთიერთობათა სუბიექტებისა და ობიექტების შესახებ საგარეო-სავაჭრო კონტაქტების სფეროში, შესაძლო დავის გადაწყვეტის წესს, საქონლის ნომენკლატურას და ა. შ.

საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში იგულისხმება საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებათა სხვადასხვა სახეები. ჩვენის აზრით, საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების სახეებია: 1. ხელშეკრულებები ვაჭრობისა და საზღვაო ნაოსნობის საერთო საკითხებზე; 2. სავაჭრო შეთანხმებები (საქონლის მიწოდების შესახებ, საქონელბრუნვის და გადახდის შესახებ, მიწოდების საერთო პირობების შესახებ და ოქმები); 3. მრავალმხრივი შეთანხმებები (კონვენციები) საერთაშორისო ვაჭრობის ნორმების უნიფიკაციის შესახებ.

ხელშეკრულება ვაჭრობისა და საზღვაო ნაოსნობის შესახებ აყალიბებს ძირითად საერთაშორისო სამართლებრივ პირობებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთვაჭრობის საკითხში. ეს ხელშეკრულებები, როგორც წესი, გრძელვადიანია და განსაზღვრავენ ვაჭრობის ძირითად პრინციპებს, საგარეო ვაჭრობის კონტრაქტების სუბიექტების ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივ სტატუსს. ასეთი ხელშეკრულებები ხშირად ქმნიან უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმს.

საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებები ახდენენ ვაჭრობისა და საზღვაო ნაოსნობის ხელშეკრულების დებულებების დეტალიზაციას და კონკრეტიზაციას. ეს შეთანხმებები უშუალოდ და დაწვრილებით არეგულირებენ ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის საკითხებს, განსაზღვრავენ ექსპორტისა და იმპორტის მოცულობას.

საქონლის მიწოდების ხელშეკრულება, როგორც საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმების სახე, არეგულირებს საქონლის ურთიერთმიწოდების მოცულობასა და ოდენობას, პირობებსა და ვადებს, ავალდებულებს მხარეებს უზრუნველყონ საქონლის მიწოდება იმ ოდენობითა და ვადებში, როგორც ეს დადგენილი და განსაზღვრულია შეთანხმებით.<sup>1</sup>

შეთანხმება საქონელბრუნვის და გადახდის შესახებ, დასახლებული ნიშნების გარდა მოიცავს საქონლის მიწოდებისა და გადახდის ძირითადი პირობების აღწერას.

სავაჭრო შეთანხმებებით, კალკულულ შემთხვევაში, დასაწვებია საქონლის მიწოდება და შესყიდვა სხვა მოცულობით და სხვა ოდენობით, ვიდრე ეს განსაზღვრულია შეთანხმებაზე თანდართული სიით. ასეთი წესი სავაჭრო შეთანხმებას ანიჭებს უფრო მეტ მოქნილობას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის განვითარებისათვის.

სავაჭრო შეთანხმებების დაზუსტების და დამატების კარგი საშუალებაა სავაჭრო შეთანხმების ფარგლებში ყოველწლიური ოქმების შედგენა. რაც შეეხება საერთაშორისო ხანგრძლივადიან სავაჭრო ხელშეკრულებებს, რომელიც სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის იდება, ისინი გულისხმობენ ყოველწლიური ოქმების შედგენას საქონელბრუნვის საკითხებზე.

ზოგ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ხელშეკრულება ვაჭრობისა და საზღვაო ნაოსნობის შესახებ, საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმება წარმოად-

<sup>1</sup> Феодина Л. А. и др., Организация и техника внешней торговли СССР, М., Изд-во ИМО, 1974, с. 105.

გენს ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს სახელმწიფოთა შორის ვაჭრობისათვის. ასეთია მაგალითად, სავაჭრო ურთიერთობა სსრ კავშირსა და არგენტინას შორის, რომელიც რეგულირებულია სავაჭრო გადახდის 1953 წლის შეთანხმებით. ამ შემთხვევაში სავაჭრო ხელშეკრულება შეიცავს დებულებებს, რომელიც ხელშეკრულების დამდები მხარეებისათვის ქმნის უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმს, — იმას, რაც წარმოიშვება სავაჭრო და საზღვაო ნაოსნობის ხელშეკრულებით.

უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის წარმოქმნა ნიშნავს მხარეებისათვის ისეთი ხელსაყრელი პირობების შექმნას, რომლითაც სხვა სახელმწიფოებიც სარგებლობენ.

უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი ჩვეულებრივად არ ვრცელდება იმ უპირატესობებზე, რომლებიც ეკუთვნით ხელშეკრულების დამდებ მხარეებს და მეზობელ სახელმწიფოებს. ასეთი წესი აადვილებს მეზობელ სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. სავაჭრო ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის შეიძლება დაწესდეს უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის გავრცელების ცალკეული შეზღუდვები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს სხვა ისეთი სავაჭრო შეღავათები, რაც არ ვრცელდება იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც სარგებლობენ უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმით. ამ შეღავათებს ლიტერატურაში „პრეფერენცია“ ეწოდება.

არსებობს პრეფერენციის ორი სახე: 1. განვითარებული ქვეყნის მიერ ცალმხრივი შეღავათების დაწესება იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ადგანან განვითარების გზას; 2. განვითარებად სახელმწიფოებს შორის არსებული პრეფერენციები (შეღავათები), რომლებიც არ ვრცელდება განვითარებულ სახელმწიფოებზე.

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები იღება სახელმწიფოთა შორის და დაცული უნდა იყოს ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ. ეს პრინციპული დებულება მოქმედებს ყველა საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებაზე ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების დროს. საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევა მეორე მხარეს ანიჭებს უფლებას მიიღოს შესაბამისი საპასუხო სანქცია.<sup>2</sup>

არსებითი ხასიათის სხვაობა სავაჭრო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე იურიდიული ძალისა და მისი შესრულების საკითხში მაშინ, როდესაც ასეთი ხელშეკრულებები სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის იღება ან ერთერთი მხარე კაპიტალისტური სახელმწიფოა.

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების დადების დროს კაპიტალისტური ქვეყნები არ იძლევიან იმის გარანტიას, რომ სრულად შესრულდება და განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ეს აიხსნება იმით, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში საქონელბრუნვის რეალიზაცია უშუალოდ საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტებით ხდება და მხარეებად, როგორც წესი, გამოდიან კაპიტალისტური ფირმები (იურიდიული პირები). ამ ფირმების მიმართ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ გამოიყენონ ადმინისტრაციული ზომები და აიძულონ ისინი, რომ კონტრაქტ-

<sup>2</sup> Лунц Л. А., Курс международного частного права, особенная часть, Изд-во «Юридическая литература», М., 1975, с. 142.

ტები დაღონ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთანავე, საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები მოითხოვენ მხარეებისაგან (მთავრობისაგან) მიღებულ იყოს ზომები საქონელბრუნვის რეალიზაციისათვის, ეს ზომებია: საექსპორტო პრემიები, საექსპორტო მრეწველობის დაბეგვრის შეღავათები, საექსპორტო ფასები, სახელმწიფო სუბსიდირება, ვალიუტის დევალვაცია, იმპორტის ლიცენზირება და ა. შ.

რაც შეეხება სოციალისტურ ქვეყნებს, მათ მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა რეალური შესრულების გარანტიას იძლევა სახელმწიფო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია. სოციალისტური სახელმწიფო ყველა შემთხვევაში თავისთავზე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საქონელბრუნვა მთელი მოცულობით, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებით და სახელმწიფოს შეუძლია ამ მიზნით მიიღოს თავის სავაჭრო ორგანიზაციების მიმართ საგეგმო-ადმინისტრაციული ხასიათის ზომები.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სსრ კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები. ეს ხელშეკრულებები წარმოადგენენ ერთ-ერთ რეალურ საშუალებას საერთაშორისო მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებისათვის და პროგრესულ გავლენას ახდენენ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებათა დადებით პრაქტიკაზე, ხელს უწყობენ მშვიდობის განმტკიცებას, ხალხთა შორის ჭეშმარიტ დემოკრატიულ თანამშრომლობას.

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებებს სსრ კავშირსა, სოციალისტურ ქვეყნებსა და არასოციალისტურ ქვეყნებს შორის გააჩნიათ გარკვეული თავისებურებანი. ეს თავისებურებები გამოიხატება იმაში, რომ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებაში, ჩვეულებრივი დადგენილების გარდა, ჩართულია ეგრეთწოდებული სავაჭრო-პოლიტიკური დადგენილებები, რომლის გარეშეც შეუძლებელია სავაჭრო ურთიერთობის ნორმალური განვითარება. ეს დადგენილებებია: 1. საგარეო ვაჭრობის ცნობა სოციალისტური სახელმწიფოს მონოპოლიად; 2. სხვა სახელმწიფოებში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის სტატუსის განსაზღვრა; 3. ხელშეკრულებაში იმის აღნიშვნა, რომ სავაჭრო ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთმანეთს აძლევენ უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის აუცილებელი განხორციელების გარანტიას. ეს უკანასკნელი დადგენილება მოწოდებულია იმისათვის, რომ სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულება კაპიტალისტური ქვეყნების ბაზრების დისკრიმინაციისაგან დაიცვას.

საგარეო ვაჭრობაზე უდიდეს პროგრესულ გავლენას ახდენს ხელშეკრულებები, რომლებიც განვითარებადი სახელმწიფოების მიერ სოციალისტურ სახელმწიფოებთან იდება. ეს ხელშეკრულებები შეიცავენ დებულებებს ურთიერთთანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელი პრინციპების თაობაზე.

ასეთი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად იმპერიალისტურ სახელმწიფოებს უკვე აღარ შეუძლიათ ფართოდ გამოიყენონ ადრე არსებული კაბალური ხელშეკრულებები და იძულებული არიან დათმობაზე წავიდნენ. ეს კი დადებით გავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკურ-სამართლებრივ მდგომარეობაზე.

# სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების მაკვალიფიცირებადი ნიშნები

მერაბ გელოვანი,

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობამ 1979 წელს მიიღო სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის ახალი რედაქცია და იგი სამწინაწილიანი გახდა<sup>1</sup>. მას დაემატა მთელი რიგი ახალი მაკვალიფიცირებელი ნიშნები, ხოლო სასჯელის მაქსიმუმმა სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთას მიაღწია.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი მაკვალიფიცირებელი ნიშანია სატრანსპორტო საშუალებათა განმეორებათა გატაცება.

გატაცება განმეორებით ჩადენილად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ პირს წინათაც ჰქონდა ანალოგიური დანაშაული ჩადენილი. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს იმას, იყო თუ არა იგი ადრე მსჯავრდადებული აღნიშნული ქმედობისათვის. განმეორების ცნება ითვალისწინებს არა ნასამართლობის, არამედ დანაშაულის განმეორებას. გატაცება განმეორებით ჩადენილად ითვლება მაშინაც, როდესაც მას წინ უსწრებდა ამ დანაშაულის მცდელობა. ამასთან, აუცილებელია, რომ ყოველი გატაცების დროს პირმა ახალი დანაშაულებრივი განზრახვით იმოქმედოს.

როდესაც პირი ერთი დანაშაულებრივი განზრახვით რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებას იტაცებს, ან ცდილობს გაიტაცოს იგი, დამნაშავე ერთი დანაშაულებრივი განზრახვით მოქმედებს და არ შეიძლება იგი განმეორებით ჩადენილად ჩაითვალოს. გატაცება განმეორებითად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული ქმედობა თავისთავად დამოუკიდებელ დანაშაულებრივ აქტს წარმოადგენს. მოყვანილ შემთხვევაში კი, ადგილი გვაქვს განგრძობად დაუნაშაულთან. ერთი და იმავე ობიექტის წინააღმდეგ მიმართულ ამ აქტებს დამნაშავის ერთიანი საერთო მიზანი ახასიათებთ და ეს აქტები თავისი კრებადობით ერთ მთლიან დანაშაულს შეადგენენ<sup>2</sup>.

საკითხი იმის შესახებ, ითვლება თუ არა დანაშაული განმეორებით ჩადენილად მას შემდეგ, რაც დამნაშავის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი იყო გამოყენებული, იურიდიულ ლიტერატურაში სადაოა, ხოლო სასამართლო პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად წყდება.

<sup>1</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1979, № 4, მუხ. 79.

<sup>2</sup> «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР», 1924—1963 гг., М., 1964, с. 188.

სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სასჯელის აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებებით შეცვლა გამოხატავს დამნაშავეის მიმართ განსაზღვრულ ნდობას, იმედს, რომ იგი მკაცრი ზომების გარეშე გამოსწორდება, ამიტომაც არ არსებობს რაიმე მორალური ან სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ ნდობაგამტყუნებულ პირი პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩავაყენოთ, პირიქით, ალბათ უფრო გამართლებული იქნება ასეთი ჭმედობის უფრო მკაცრი იურიდიული შეფასება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის მეორე ნაწილის შემდეგი მაკვალიფიცირებელი ნიშანია სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით.

ტრანსპორტის გატაცება პირთა ჯგუფის მიერ გაცილებით ადვილს ხდის ამ განზრახვის განხორციელებას, ხოლო მომეტებული საფრთხის წყარო, რომელიც უკანონო გზით მოხვდა დამნაშავეთა ხელში, უფრო დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, რადგან მას უკვე ჯგუფი ფლობს.

იმისათვის, რომ გატაცება ჩაითვალოს პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად, საჭიროა დავადგინოთ: 1. პირთა ჯგუფის არსებობა დანაშაულის ჩადენისას ე. ი. გატაცებაში უნდა მონაწილეობდეს ორი ან მეტი პირი. 2. მათ შორის უნდა არსებობდეს წინასწარი შეთანხმება, მაგრამ ეს შეთანხმება უნდა მოხდეს მანამდე, ვიდრე დანაშაულებრივი მოქმედება დაიწყება.

პირთა ჯგუფის წევრად შეიძლება ჩაითვალოს ის, ვინც თანახმაა გატაცებაში მონაწილეობაზე და მის გარეშე ეს დანაშაული არც დამთავრდება.

ჩვენს მიერ შესწავლილი საქმეებიდან პირთა ჯგუფზე მოდის გატაცებულ სატრანსპორტო საშუალებათა 36 პროცენტი.

სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების შემდეგი მაკვალიფიცირებელი ნიშანია დანაშაულის ჩადენა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

გატაცების დროს ტექნიკური საშუალებების ცნება, ისე უნდა გავიგოთ, როგორც იგი გვესმის სოციალისტური ან პირადი ქონების ქურდობის დროს. ტრანსპორტის გატაცება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ჩადენილად ჩაითვლება მაშინ, როდესაც დანაშაული მოხდა სპეციალურად მომზადებული საშუალებებით, კერძოდ კი იმ ინსტრუმენტებით, რომელთა გარეშეც გატაცება შეუძლებელი იქნებოდა ან გაძნელებდებოდა.

ამ დანაშაულის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია აგრეთვე გატაცება ჩადენილი სიმთვრალეში.

საერთოდ, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სიმთვრალე დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებაა. იგი არა მარტო მკაცრი სასჯელის დანიშვნის საფუძველია, არამედ ამავე დროს ლოთობასთან ბრძოლის ეფექტური საშუალებაც არის. ამიტომ სიმთვრალე დამნაშავესა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებასაც გულისხმობს. ყველაზე მეტად კი ეს ეხება სატრანსპორტო დანაშაულს, რადგან ამ დროს საქმე გვაქვს მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებასთან.

მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევა, როდესაც ავტომანქანის გამტაცების დაკავებისას არ ხდება მისი შემოწმება სიმთვრალე-სიფხიზლის მიზნით. სასამართლო პრაქტიკამ იცის მაგალითები, როცა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები, მხოლოდ დამნაშავეის ჩვენების მიხედვით ადგენენ სიმთვრალე-სიფხიზლის ფაქტს.

ვინმე გ. კ., რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილზე დააკავეს, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ ისე იცნო დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, რომ იგი სიმთვრალეზე არ შეუმოწმებიათ.<sup>3</sup>

ავტორანსპორტის გატაცების მაკვალიფიცირებელი ნიშანია აგრეთვე გატაცება იმ პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება არ გააჩნია. გზებზე მოძრაობის წესებში ნათქვამია, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლი ვალდებულია თან იქონიოს იმ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოწმობა, რომელსაც იგი მართავს<sup>4</sup>.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის მეორე ნაწილი მოიცავს გატაცების კვალიფიცირ სახეს, რაც დაკავშირებულია ძალადობასთან, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან. ძალადობის ქვეშ აქ იგულისხმება, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ძალადობა, მაგრამ იგი არ უნდა იყოს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში. კონკრეტულად, ამგვარი ძალადობა შეიძლება გამოიხატოს სხეულის მსუბუქ დაზიანებაში, ჯანმრთელობის მოუშლელად (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლის მეორე ნაწილით). ასეთი დაზიანება შეიძლება იმდენად უმნიშვნელო ხარისხისა იყოს, რომ მან არ გამოიწვიოს ავადმყოფობა ან რომელიმე ორგანოს ფუნქციის მოშლა. ძალადობა შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე დარტყმებით, ხელის კვრით, შებოჭვით, სარდაფში ან სხვა შენობაში ძალით ჩაკეტვით (თუ იგი ჯანმრთელობისათვის საშიში არ არის).

ძალადობის გარდა, დასახელებული მუხლი, გულისხმობს ძალადობის გამოყენების მუქარასაც. მუქარა უნდა იყოს რეალური და ატარებდეს ისეთ ხასიათს, რომ იგი უმალ განხორციელდება. გამომდინარე აქედან, არ გვექნება დანაშაულის შემადგენლობა თუ პირი მოითხოვს, რომ ავტომანქანა მას გადასცენ მომავალში, რამდენიმე დღის შემდეგ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სასჯელს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

ამ მუხლის მესამე ნაწილი გულისხმობს ძალადობას, რომელიც საშიშია დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ან ამგვარი ძალადობის გამოყენების მუქარას.

ჩვენის აზრით, ამგვარი ძალადობა მაშინ დგება, როცა იქმნება რეალური საშიშროება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ ძალადობა, რომელსაც ჯანმრთელობის მოშლაც კი არ გამოუწვევია, მაგრამ საშიში იყო ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, შეიცავს გატაცების კვალიფიცირებულ შემადგენლობის ნიშნებს. ასეთი ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ყელში ხელის წაჭერით, თავში დარტყმით, მოძრავი მანქანიდან გადაგდებით და სხვა. ყველა ამ სახის ძალადობა გვევლინება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მოქმედებად.

<sup>3</sup> ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს აქტივი, საქმე № 0262106, 1983 წ.

<sup>4</sup> გზებზე მოძრაობის წესები, თბილისი, „განათლება“, 1985 წ. გვ. 5.

როგორც წესი, ავტომანქანის გატაცებისას ძალადობას ადგილი აქვს უშუალოდ მისი დაუფლების დროს, მაგრამ, ამასთანავე, იგი შეიძლება შეგვხვდეს ავტომანქანის დაუფლების შემდგომაც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ძალადობა ავტომანქანის მფლობელის, დარაჯის, მცველის ან იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ გამტაცებლის დაკავებას. ასეთი ძალადობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით უნდა დაკვალიფიცირდეს, რომლებიც ითვალისწინებენ დანაშაულს პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ.

პრაქტიკაში ისმება საკითხი, საჭიროა თუ არა ავტომანქანის გატაცების დროს ძალადობის გამოყენების შემთხვევაში, გარდა კოდექსის 243-ე მუხლისა, გამოვიყენოთ სხვა მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ დანაშაულს პიროვნების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ. ჩვენის აზრით დანაშაულთა ამგვარი ერთობლიობის საჭიროება არ არსებობს, რადგან გატაცების მუხლის მეორე და მესამე ნაწილები სხეულის დაზიანების ყველა შემთხვევას მოიცავენ და დამატებით კვალიფიკაციას არ მოითხოვენ.

როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც გატაცების დროს ჩადენილ ძალადობას მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი. ამგვარი ძალადობა იმ ფარგლებს გარეთ გადის, რაც ჩვენს მიერ განხილულ მუხლშია გათვალისწინებული, ამიტომ იგი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე და 104-ე, 108-ე ან 110-ე მუხლების ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს.

როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის მესამე ნაწილის მაკვალიფიცირებელი ნიშანია მუქარა იმ ძალადობისა, რომელიც საშიშია დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. მუქარა უნდა იყოს რეალური და იმავდროული. საამისოდ შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთი საგანი, რომელიც მხოლოდ გარეგნულად გავს იარაღს, ხოლო დაზარალებულს იგი მიაჩნია ნამდვილ იარაღად. ავტომანქანის გატაცებისას ამგვარი საგნის გამოყენება. საფუძველს გვაძლევს გატაცება ჩადენილად ჩავთვალოთ ძალადობის გამოყენების მუქარით, რადგანაც დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ დაზარალებული ამას იღებს, როგორც რეალურ საფრთხეს, რომელიც ემუქრება მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ქმედობა გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის მესამე ნაწილით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამიდან რვა წლამდე.

# ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის

დიმიტრი მებრეველი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და  
სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა ისიც აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს ნარკომანიის პრობლემა ჩვენს რესპუბლიკაში. „განსაკუთრებით საგანგაშოა, — თქვა მან, — რომ გაფართოვდა მისი გეოგრაფია. დამნაშავენი, ის პირები, რომლებიც ეწვეიან პარაზიტულ ცხოვრებას, მუქთახორები და ხულიგნები ჯიბეს ისქელევენ ახალგაზრდობის ჯანმრთელობის ხარჯზე. თითოეულმა კომუნისტმა ნათლად უნდა შეიგნოს, რომ ნარკომანიისთან ბრძოლა უნდა გახდეს თითოეული შრომითი კოლექტივის, თითოეული პარტიორგანიზაციის, თითოეული ოჯახის საქმე, საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო ზრუნვის საგანი“.<sup>1</sup>

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალრიცხოვან ღონისძიებათა შორის დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია სისხლისსამართლებრივი ხასიათის ზომებს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკამ, პასუხისმგებლობას რომ ითვალისწინებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადების, გავრცელების და ექიმის დანიშნულების გარეშე მათი ხმარებისათვის, გვიჩვენა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც სპეციალურ შესწავლასა და დაზუსტებას საჭიროებენ, რათა კიდევ უფრო დაიხვეწოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ სახეობათა დანაშაულთან საბრძოლველად.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გასაღების მიზნის გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვისა და გადაგზავნის გამო. მაშასადამე, დამნაშავის განზრახვა მიმართულია ჩამოთვლილ ქმედებათა ჩასაღწეად გასაღების მიზნის გარეშე, ესე იგი პირადი ხმარებისათვის.

მაგრამ ამავე დროს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, აგრეთვე ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების (აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და უზბეკეთის სსრ) სისხლის სამართლის კოდექსები ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო ხმარებისათვის, ესე იგი ექიმის დანიშნულების გარეშე ხმარებისათვის.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“<sup>2</sup>. ამ ბრძანებულებამ სრულყო მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და უზრუნველყო სწორი დასჯითი პოლიტიკის

1 „საქართველოს კომუნისტი“, 1986, № 2, გვ. 50-51.

2 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1969, № 6, მუხ. 122.



განხორციელება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ეწევიან ნარკოტიკების უკანონო დამზადებასა და გავრცელებას ან უკანონოდ ხმარობენ ამ ნივთიერებებს.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების ხმარებისათვის დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს მიმართ უკვე იყო გამოყენებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება ასეთივე ქმედობისათვის. მაშასადამე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა პირველი ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე არ ქმნის დანაშაულის შემადგენლობას და წარმოადგენს მხოლოდ ადმინისტრაციულ გადაცდომას.

ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებას კი ყოველთვის წინ უძღვის ამ ნივთიერებათა უკანონო დამზადება ან შექმნა, აგრეთვე ნარკოტიკების შენახვა რაღაც გარკვეული დროით. ამიტომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადების, შექმნის ან შენახვის ფაქტი, იმის მიუხედავად, თუ რა მიზნით არის ჩადენილი ეს ქმედობა, თავისთავად არის დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შექმნა და შენახვა გასაღების მიზნის გარეშე და მათი გამოყენება ადმინისტრაციული ზემოქმედების შემდეგ, გვაძლევს დანაშაულობათა ერთიანობას.

საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები ასეთ ქმედობებს, როგორც წესი, აკვალიფიცირებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მესამე ნაწილის და 252 მუხლის ერთობლიობით. მაგრამ თუ პირი ადრე დასჯილი არ იყო ადმინისტრაციული წესით, მაშინ მის მიმართ უნდა გამოვიყენოთ 252-ე მუხლის მესამე ნაწილი. ეს იმიტომ, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა ერთჯერადი გამოყენება არ კმარა დანაშაულის შემადგენლობისათვის და სისხლის სამართლის წესით არ ისჯება.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარებისათვის პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცემა ნარკოტიკების უკანონო შენახვის ან შექმნისათვის ესე იგი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელმა უარი თქვა სისხლის სამართლებრივ სასჯელზე ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა ერთჯერადი ხმარებისათვის და პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში გადაიტანა, პრაქტიკულად პირი ასეთ დროს მაინც მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში გასაღების მიზნის გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადების, შექმნის, შენახვის და სხვა მსგავსი მოქმედებისათვის, რის გარეშეც მას არ შეეძლო ნარკოტიკების მოხმარება.

ამავე დროს, რადგან ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების უფლება მხოლოდ სპეციალურ სახელმწიფო საწარმოებს აქვთ, მათი დამზადება კერძო პირის მიერ დანაშაულად ითვლება. რაც შეეხება ნარკოტიკულ ნივთიერებათა შექმნას, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაშია კანონიერი, როცა სამედიცინო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში დადგენილი ფორმით ხორციელდება. ამავე წესით უნდა მოხდეს აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა შენახვაც. მართალია, გასაღების მიზნის გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა და ექიმის დანიშნულების გარეშე მათი ხმარება თანმდევი ქმედობებია და ერთის არსებობა მეორის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ამ დანაშაულობებისათვის გათვალისწინებულ სანქციებს შორის მაინც დიდი განსხვავებაა. მაგალითად, ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაზავნა გასაღების მიზნის გარეშე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ხოლო ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, ჩადენილი მას შემდეგ, რაც ასეთივე ქმედობისათვის დამნაშავეს მიმართ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სახდელის ზემოქმედების ზომა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

ჩვენის აზრით, სანქციათა ასეთი სხვადასხვაობა დაუშვებელია, რადგან მუხლის სანქცია იმ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების შეფასების კრიტერიუმია, რომელსაც იგი ეხება.<sup>3</sup> ვფიქრობთ, ეს საკითხიც საჭიროებს სერიოზულ საკანონმდებლო სრულყოფას.

<sup>3</sup> Брайнин Я. М. Уголовный закон и его применение «Юридическая литература», М., 1967, стр. 79.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული შევიდეს 2522-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რელაქციით: „ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა გასაღების მიზნის გარეშე, ისევე როგორც ამ ნივთიერებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ისჯება...“ და „ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, ჩადენილი განმეორებით ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჩადენილი ჰქონდა ერთ-ერთი დანაშაული, გათვალისწინებული ამ კოდექსის 252-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 2521-ე მუხლის პირველი პირობით და მესამე ნაწილებით, 2523-ე, 2525-ე და 253-ე მუხლებით ისჯება...“ მუხლის ამგვარი რელაქცია იმას აღასტურებს, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე დანაშაულია და მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით ამ ქმედობის პირველად ჩადენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად არის მიჩნეული. აქვე იგი გამოკვეთს სისხლის სამართლებრივი სასჯელის გამკაცრებას, რადგან, როგორც ცნობილია, 252-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს სასჯელს სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ან გამასწორებელ სამუშაოებს ორ წლამდე, ხოლო 2522-ე მუხლი თავისუფლების აღკვეთას ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

პრაქტიკულად ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლების დასჯა სწორედ ამგვარად ხდება. რეალურად კი ასეთ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა დამოკიდებულია ერთ ფაქტზე — ჩამოერთვა თუ არა მას ნარკოტიკული ნივთიერება.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ სხვადასხვაგვარი აზრია გამოთქმული, როგორც საბჭოთა ისე საზღვარგარეთის იურიდიულ ლიტერატურაში.

1972 წელს ბრიუსელში ჩატარდა მსოფლიო კრიმინოლოგთა კონგრესი და მოეწყო სოციოლოგიური გამოკითხვა. საზოგადოებრივმა აზრმა აქ მიზანშეწონილად მიიჩნია ის, რომ დანაშაულად ითვლება ნარკოტიკების ხმარება და რეკომენდაცია მისცა დამნაშავე ნარკომანების იძულებით მკურნალობას. სამაგიეროდ მან მოითხოვა პასუხისმგებლობის გაძლიერება ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის.<sup>4</sup>

ამგვარ თვალსაზრისზე დგას ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერიც (ა. გაბიანი, ლ. გალენსკაია, ო. კოლესნიკოვი და სხვ.).<sup>5</sup> ისინი ფიქრობენ, რომ ნარკომანთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და მათთვის თავისუფლების აღკვეთა ეწინააღმდეგება საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის ჰუმანურობასა და სამართლიანობას.

ამ აზრს ჩვენ ვერ დავეთანხმებით.

ჯერ ერთი, თუ უარს ვიტყვით ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე, მაშინ ასევე აღარ უნდა მივცეთ სისხლის სამართლის პასუხისგებაში დამნაშავე ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შექმნისა და შენახვისათვის გასაღების მიზნის გარეშე, ანუ პირადი ხმარებისათვის, რადგან ნარკოტიკი რომ იხმარო, საჭიროა უპირველეს ყოვლისა მოიპოვო იგი.

მეორე, ამ ქმედობათა დაუსჯელობას მოჰყვება ანტისაზოგადოებრივი მიზნით ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარების არაპირდაპირი ლეგალიზაცია, ე. ი. ნარკომანიის განზრახ დაშვება.

მესამე, როგორც ცნობილია, დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოეთხოვება მხოლოდ შერაცხად პირს. ისიც ცხადია, რომ ხშირად ნარკომანები შეურაცხადნი არიან და როცა დანაშაულის ჩადენ ნარკომანს დადგენილი წესით ცნობენ ასეთ პირობად, მის მიმართ გამოიყენება მხოლოდ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. მაშასადამე, ასეთ დროს გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ შეურაცხად ნარკომანს სისხლის სამართლებრივი სასჯელი შეეფარდოს.

<sup>4</sup> «Социалистическая законность», 1972, № 11, стр. 76.

<sup>5</sup> А. Габияни. «Наказание и лечение наркоманов», «Социалистическая законность», 1970, № 8, стр. 43; Галенская Л. Н. Международная борьба с преступностью. М., 1972, стр. 68; Колесников О. В. Об уголовно-правовых мерах борьбы с наркоманией в СССР. Вестник МГУ, Право, 1977, № 4, стр. 64—65.

მამ რა საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ ჰუმანურობისა და სამართლიანობის პრინციპების წინააღმდეგობაზე საბჭოთა სისხლის სამართალში?!

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არ ყოფილა შემთხვევა, როცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცეთ ის ნარკომანი, რომელიც გადის სტაციონალურ ან ამბულატორიულ მკურნალობას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ჩვენი აზრით, მიზაშეწონილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლს დაემატოს შენიშვნა: „პირი, რომელმაც უკანონოდ დაამზადა, შეიძინა, გადაზიდა, გადაგზავნა ნარკოტიკული ნივთიერებანი ან იხმარა ეს ნივთიერებანი ექიმის დანიშნულების გარეშე, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი ნებაყოფლობით შეატყობინებს მომხდარ ამბავს კომპეტენტურ ორგანოებს და მიუთითებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა შეძენის წყაროს“.


ნებაყოფლობითი განცხადება ნიშნავს იმას, რომ პირმა ჩადენილი დანაშაული შეატყობინოს შესაბამის ორგანოს საკუთარი ინიციატივით ან ახლობელი ადამიანის საშუალებით. იგი გულისხმობს ზეპირი ან წერილობით განცხადებით მიმართვას პროკურატურის, მილიციის ან სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსადმი.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი შენიშვნა გაააქტიურებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას, გააადვილებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა შეძენის წყაროების გამოვლენასა და მხილვას, შეამსუბუქებს ამ დანაშაულობათა ჩადენას ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამორკვევას და რაც ყველაზე მთავარია, გამოავლენს იმ პირებს, რომლებიც ნარკომანიით არიან დაავადებულნი და საჭიროებენ საგანგებო მკურნალობას.





# კაცი-მუღამ მართალი გზით გავალი



ცნობრებას ერთი დაუწერელი და შეუცვლელი კანონი აქვს, რომელსაც ვერავინ გაექცევა. რაღაც შეუცნობი თუ უხილავი ძალა უცნაური სიზუსტით აღწესსავს ხოლმე ადამიანის მთელ სიცოცხლეს, მის ავსა და კარგს, გამარჯვებებსა და დამარცხებებს, სიკეთესა და ბოროტებას, ყველაფერს, რაც თავს გადახდება, რასაც გაიაზრებს და გაიფიქრებს იგი. უტყუარი აღლო ამ მართლაც მარადიული კანონის ავტორისა, იმის უფლებას გვაძლევს, რომ თამამად ვთქვათ — ქვეყანაზე არაფერი იკარგება უკვალოდ.

ღიას, ადამიანებმა ზუსტად და კარგად იციან ყველაფერი. იციან თუ ვინ არის ნამდვილი კახაბერი, ქვეყნისა და თანამომხმის მოჭირნახულე კაცი, ერთგული მეგობარი და კეთილსაქმეთათვის მოუღლეელი მამულიშვილი, ვინ ცრუ, ქამლეონივით მოქნილი, მუღამ საშიში და როგორღაც საავკაცოდ ჩასაფრებელი, ხარბი, ცრუპენტელა კარიერისტი.

სწორედ ეს არის დაუწერელი კანონის უპირველესი ღირსება და მნიშვნელობა, სწორედ ამ ჭეშმარიტებას უნდა ვუ-

მადლოდეთ, რომ ქვეყნად მართლაც არაფერი იკარგება უკვალოდ.

გადაჭარბებასა და რიტორიკაში ნუ ჩაგვივლის ამ ნათქვამს მკითხველი, რადგან ჩვენს დრმა რწმენით თითოეული ადამიანის სიცოცხლე დამოუკიდებელი, სხვათაგან გამორჩეული და თავისთავადი საოცრებაა, ხოლო ამ საოცრებათა ერთობლიობა თვითონ სამყაროა მთლიანად. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო ძლიერად უნდა მივეფეროთ ადამიანებს, ცალკე-ცალკე ვავუფრთხილდეთ მათ სახელსა და ავტორიტეტს, არ მოვაკლოთ მწრუნველობა და კეთილი სიტყვა როცა იგი საქირთა და რა თქმა უნდა, არც ის ვაპატიოთ ვინმეს, რისი პატიებაც არ შეიძლება.

ესეც დაუწერელი კანონის. ერთ-ერთი პირობაა და სწორედ ამიტომ არის იგი ძლიერი, მტკიცე, აუცილებელი, სწორედ ის განსაზღვრავს იმას, თუ როგორ გაიარა ადამიანმა თავისი ცხოვრების გზა, რა უღბინდა და უჭირდა, რაზე ფიქრობდა და ოცნებობდა, რა მიაჩნდა თავისი არსებობის მიზნად და საერთოდ, როგორ გაამართლა ბუნების მიერ მომადლებული ბედნიერება, რომელსაც ამ ქვეყნად ადამიანად დაბადება და სიცოცხლე ჰქვია.

თუ ამგვარად მივუდგებით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის მამია ხარტიონის ძე კომახიძის ცხოვრებას, იგი ბედს ვერ დამედურება. ბედი აქ ჩვენ პირობითად ვახსენეთ, თორემ ყველა ადამიანი თვითონ ჰყვას საკუთარ ბედს, რამეთუ, შრომის, განსწავლის, ერთგულებისა და პატიოსნების გარეშე არაფერი მოდის უბრალოდ.

საინტერესო ცხოვრების გზა განვლო მამია კომახიძემ. აჭარის ერთ პატარა სოფელში დაბადებულმა იმთავითვე მართალი გზით სიარული დაიხატა მიზნად და ასეც აგრძელებს დღემდე. არასრული საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაება იგი საკოლმეურნეო შრომაში, მალე სუბტროპიკული კულტურების ტექნიკუმშიც დაასრულა, მაგრამ გული მაინც კომპაგვირული საქმიანობისაკენ მიუწევდა. შეამჩნიეს კიდევ მისი აქტიურობა და 1939 წელს სრულიად ახალგაზრდა კაცი საქართველოს ალკ ბათუმის რაიკომის მეორე მდივნად აირჩიეს. იმავე წელს მ. კომახიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა და აქვე სტუდენტთა კომპაგვირული საქმიანობის აქტიური მონაწილე გახდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა უკვე ცხადად იგრძნობოდა მეორე მსოფლიო ომის ცხელი დღეები და აჭა-

რელი ქაბუჯი, აირჩიეს რა უნივერსიტეტის კომკავშირული კომიტეტის წევრად, სამხედრო-ფი-კულტურული სექტორის გამგედ დაამტკიცეს.

სულ მალე ომის ხანძარმაც იფეთქა. ენერგიით აღსავსე ქაბუჯს ასეთ დროს სახლში რა ვაჩერებდა და ისიც თავის მრავალ თანატოლთან ერთად მოხალისედ შევიდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1941 წლიდან 1944 წლამდე მ. კომახიძე ერთგულად იღვა სამშობლოს სადარაჯოზე და სწორედ ომის მრისხანს დღეებში. 1942 წელს, მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

ომის დამთავრების შემდეგ მ. კომახიძე უნივერსიტეტში სწავლას წარმატებით უხამებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი არჩეული იყო უნივერსიტეტის პროფკომის თავმჯდომარედ, პარტიული კომიტეტის წევრად და ასპირანტურის პარტიუროს მდივნად, რადგან პარალელურად ასპირანტურაშიც სწავლობდა. მალე იგი მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში მიავლინეს. აქ მან 1954 წელს წარმატებით დაიცვა დირექტაცია და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. ამის შემდეგ, როგორც გამოცდილი პარტიული და პროფკავშირული მუშაკი, ერთხანს იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად მუშაობდა.

1955 წლიდან კი იწყება მ. კომახიძის აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა იუსტიციის ორგანოებში. იგი პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა ჯერ მაშინდელ იუსტიციის სამინისტროში, შემდეგ იურიდიულ კომისიაში, ადვოკატურის განყოფილების უფროსად და იურიდიული კომისიის წევრად, ხოლო 1971 წლიდან კვლავ ახლადშექმნილ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაუბრუნდა. აქ მას ადვოკატურის, ნოტარიატის და მმაჩის ორგანოების სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა, იყო სამინისტროს კოლეგიის წევრი. 1975 წლიდან დღემდე მ. კომახიძე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორია და წარმატებით ხელმძღვანელობს მინდობილ საქმეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი მამია კომახიძე ამავედროულად სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი და მისი შტატ-გარეშე შრომის სამართლებრივი ინსპექციის გამგე, ამავე პროფკავშირის ქ. თბილისის კალინინის რაიკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა.

ცალკე უნდა აღინიშნოს მ. კომახიძის სამეცნიერო და პუბლიცისტური მუშაობა. იგი 37 შრომის, მათ შორის ორი წიგნისა და ორი კრებულის ავტორია. მას მიერ სულ ახლახან გამოცემული კრებული — „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების შესახებ“, რომელიც ქართულად და რუსულად გამოვიდა, უკვე იქცა მმაჩის ორგანოების მუშაკთა სამაგიდო წიგნად, რადგან იგი დაწერილია მაღალკვალიფიციურად და პოპულარული ენით.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ოთხივე წიგნი მ. კომახიძემ საზოგადოებრივ საქონებზე გამოსცა, ჰონორარი არ მიუღია.

ეს მშრალი ბიოგრაფია ოდნავადაც ვერ ასახავს მამია კომახიძის სრულყოფილ პორტრეტს. მეგობრებსა და კოლეგებს იგი მუდამ პრინციპული და შეუვალი ახსოვთ, თუ საქირო გახდა „რკინის ქალამნებს“ ჩაიცვამს და ისე წავა სამართლის საქმენელად, არავის შეარჩენს სიცრუეს, ღალატს, ორგულობას, ერთგულად ამოუდგება გვერდში გაჭირვებულს და ხელს წააშველებს, გამარჯვებულის გამხნეებაც არ დაავიწყდება, ხალისსა და რწმენას განუშტკიცებს, ახალი საქმებისათვის აღაფრთოვანებს მას. ქვეყანამ და ხალხმა დიხაც იცის ასეთი კაცის დაფასება და ამიტომ აღინიშნა არაერთხელ მამია კომახიძის დამსახურება სხვადასხვა ჯილდოთი, მედლებით, სიგელებით, პრემიებით, წახალისებებით.

გამოცდილი მუშაკი, ცხოვრებაგამოვლილი და ენერგიული კაცი, სიხალეთა და მოწინავეთა გამოცდილების უპირველესი გამოწარებელი, კარგი შვილებისა და ოჯახის პატრონი დღესაც იმდენი აღსავსე ავტორლებს დიდი ხნის წინ არჩეულ გზას. ეს გზა მართალი გზით მავალი კაცის გზაა, რასაც ასე სახელოვნად მიუყვება პარტიის, ხალხის და ქვეყნის ერთგული ჯარისკაცი.

ანანი არსენაშვილი

წერილი ჟურნალში დასაბეჭდად იყო მზად, როდესაც ახალი სასიხარულო ცნობა მოვიდა. იუსტიციის ორგანოებში ხანგრძლივი, აქტიური მუშაობისათვის, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ბ. ვ. კრავცოვის ბრძანებით მამია ხარტიონის ძე კომახიძე დაჯილდოვდა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამკერდე ინჟინრითა და სამახსოვრო საჩუქრით.

საპარტვიზლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომლის სხდომაც 1986 წლის 25 სექტემბერს გაიმართა, განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის ვ. ა. რაზმაძის ინფორმაცია „სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, სასწავლო დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ სამართლებრივი აქტების გამოცემისას სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევების შესახებ“ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების შემოწმების მასალებით დადგენილია, რომ რესპუბლიკაში თითქმის არ მოიძებნება ისეთი სფერო, სადაც ბრძანებების, განკარგულებების, მითითებების, ინსტრუქციების და სხვა სამართლებრივი ხასიათის აქტების გამოცემის დროს არ ირღვეოდეს საბჭოთა სამართლის ნორმები, ღირებულ ორგანოთა მითითებანი.

გვაქვს იმის მაგალითებიც, როცა ზოგიერთი სამინისტრო ან უწყება გამოსცემს არაკანონიერ სამართლებრივ აქტებს და შესაბამის სამმართველოებსა და განყოფილებებს ისეთი საკითხების გადაწყვეტას ავალდებულებს, რაც მათ კომპეტენციას არ ექვემდებარება.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს 1985 წლის 11 ივლისის ბრძანებით სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და ანალიზის განყოფილებას დაევალა სასჯელის უმკაცრესი ზომების მიღება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც წესრიგი დაარღვეეს. კანონით კი განყოფილება ამისათვის უფლებამოსილი არ არის.

ამვე სამინისტროს 1986 წლის 22 აპრილის № 212 ბრძანებით აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს დაევალათ რეკომენდაციები გაუწიონ სპეციალიზირებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებს სამსახურში მიღებისა და სამსახურიდან განთავისუფლების დროს.

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 ივნისის № 558 დადგენილების „სამეურნეო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ მოთხოვნილებათა მიუხედავად, ხშირად ირღვევა ბრძანებების გამოცემის წესი.

გეგეჭკორის ჩაის საწარმოო გაერთიანებაში სისტემატური ხასიათი ჰქონდა მიწერებს დიდი ოდენობით (20 მილიონ მანეთზე მეტი), ირღვეოდა კანონი სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და პროდუქციის რეალიზაციის დროს. მიუხედავად ამისა, „საქჩაისწარმოს“ ყოფილი რესპუბლიკური გაერთიანება მაინც გამოსცემდა არაკანონიერ ბრძანებებს ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელ და საინჟინრო-სატრანსპორტო მუშაკებზე პრემიების გაცემის შესახებ. ამგვარად გაცემული პრემიების საერთო რაოდენობამ აქ 50 ათას მანეთს გადააჭარბა.

რესპუბლიკურ გაერთიანება „აჭარმანქანაინფორმში“ დებულების დარღვევით 41 მუშაკზე გაიცა 3945 მანეთის პრემია.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში უხეშად ირღვევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 25 დეკემბრის დადგენილება მიწის ფონდების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების შესახებ. იმის მაგივრად, რომ უწყყმანოდ ვასრულებდით პარტიისა და მთავრობის მოთხოვნებს, ზოგიერთი ხელმძღვანელი მაინც გამოსცემს არაკანონიერ სამართლებრივ აქტებს და თავისი შეხედულებით იყენებს მიწის ნაკვეთებს.

მარნეულის რაიონის ზრამის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ბრძანებით 38 პირს არაკანონიერად გამოუყვეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, რომელმაც 5-7 ჰექტარი შეადგინა. ასევე მოქცა ჭავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; მიწის ნაკვეთების 80 პროცენტო, რაც განკუთვნილი იყო საბჭოთა მეურნეობის მუშაკებისა და მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად, მისი ბრძანებით იმ პირებზე განაწილდა, რომლებსაც არავითარი შრომითი ურთიერთობა არ ჰქონდათ საბჭოთა მეურნეობასთან.

უკანასკნელ სამ წელიწადში პროკურორის პროტესტით სამუშაოზე აღდგა 550 უკანონოდ განთავისუფლებული მუშაკი. ამავ პერიოდისათვის სასამართლო წესით აღდგენილია 417 კაცი.

საქართველოს სსრ სატყეო და ხის გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს 1986 წლის 4 მარტის ბრძანებით სამინისტროს აღმინისტრაციული შენობის საავტოო გაერთიანება „განთავისუფლების“ ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის მიზეზით სამუშაოდან დაითხოვეს 8 მუშაკი უმცროსი მოსამსახურე პერსონალიდან.



სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მიონის“ ადმინისტრაციამ (დირექტორი ნ. კახიშვილი) არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, სხვა და სხვა დროს, დაითხოვა 20 არასრულწლოვანი.

კვაისის მალაროთა სამმართველოს დირექტორის მ. მარგიევის 1986 წლის 16 იანვრის ბრძანების საფუძველზე, სამსახურიდან გაათავისუფლეს საავადმყოფო ფურცელზე მყოფი სამო საამქროს დამმუხტველი ე. გათიკოვა.

პროფკავშირის კომიტეტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ადმინისტრაციის ინიციატივით 1985 წლის 14 ოქტომბერს სამსახურიდან იქნა დათხოვნილი ცხინვალის სამგზავრო საავტომობილო-სატრანსპორტო პარკის მორიგე მექანიკოსი კ. ცხოვრებოვი.

ზოგიერთი ხელმძღვანელი თვითონ ეწევა „სამართალშემოქმედებას“. ქუთაისის მოტო-ბლოკის ქარხნის დირექტორმა ა. ნაცვლიშვილმა 1986 წლის 28 თებერვალს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც სამსახურის უმიზეზოდ გაცდენის პირველი შემთხვევის დროს ქარხნის მუშაკებს უნდა გამოეცხადოთ საყვედური და ჩამოერთვათ პრემია, სამსახურის უმიზეზოდ ხელშეორედ გაცდენისას მკაცრი საყვედური, ხოლო თუ იგი მესამედაც განმეორდება, ასეთ პირს გადაიყვანენ დაბალხელფასიან სამუშაოზე. ამავე ბრძანებით ქარხნის მუშაკებს დაევალოთ, რომ ცვლის დაწყებამდე ათი წუთით ადრე გამოცხადებულიყვნენ სამუშაოზე.

გამოვლენილია აგრეთვე ფაქტები შაბათობებსა და საღმისასწაულო დემონსტრაციებზე გამოუსვლადლობის გამო მუშებისა და მოსამსახურეების დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ იმ დროს, როცა საღმისასწაულო და უქმე დღეებში მუშაობა პროფკავშირულ კომიტეტთან წინასწარ არ იყო შეთანხმებული.

პროკურატურის ორგანოებისათვის ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როდესაც წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის დროს განზრახ უშვებენ შეცდომებს, რათა შემდგომში სასამართლომ აღადგინოს იგი თავის ადგილზე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს კანონის ისეთი ელემენტარული ნორმების დაუცველობა, რაც ყველამ იცის. ეს კარგად ცნობილი ფანდია და ალბათ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მკაცრად უნდა მოჰქონონ ასეთ ხელმძღვანელებს.

სამწუხაროდ, ამგვარ თანამდებობის პირთა მიმართ გატარებული ღონისძიებები დღეისათვის ნაკლებეფექტურია. მსგავსი უხეში დარღვევები კი წლიდან წლამდე მეორდება და ამ მიზეზით სამართალდარღვევათა რაოდენობა ძალიან ნელა მცირდება.

შრომის უფლებას სრულიად სამართლიანად უწოდებენ სიცოცხლის უფლებას. ჩვენს საზოგადოებაში მართლაც არ არის არსებობის სხვა კანონიერი წყარო, თუ არა პატიოსანი შრომით მოპოვებული კეთილდღეობა, მაგრამ ასეთი ფაქტები მაინც გვხვდება:

საქართველოს სსრ ვაჭრობის სისტემაში აღმოჩენილი შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევების გამო დაიწერა საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტი. წარდგინების საფუძველზე 1986 წლის თებერვალში გამოიცა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ბრძანება № 16, რომლითაც სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლებულ პირთა აღდგენის შედეგად განაცდურის ანაზღაურება დაეკისრათ: ქ. ზუგდიდის ვაჭრობის სამმართველოს უფროსს შ. დარჯანას, ქობულეთის კურორტვაჭრობის დირექტორს ზ. ევგენიძეს და ცხაკაიის ქალაქ-ვაჭრობის დირექტორს ზ. სარქალაიას. ანაზღაურება უნდა მიეღოთ ზუგდიდის № 56 მაღაზიის უფროს გამყიდველს ა. ბენდელიანს, ქობულეთის ქალაქვაჭრობის განყოფილების გამგეს გ. თავართქილაძეს და ცხაკაიის № 4 მუშათა სახაღმოს მზარეულს ნ. ჩხოლაძეს.

ბრძანება ანაზღაურების ნაწილში სამწუხაროდ დღემდე შეუსრულებელია, რადგან არცერთმა სამუშაოზე აღდგენილმა პირმა ზარალის ანაზღაურება არ მოითხოვა. ეს მაშინ, როცა მათ საკმაოდ კარგად იციან თავიანთი უფლებები.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ანალოგიური მაგალითების ჩამოთვლა შეგვეძლოთ გავგვირქვლებინა, მაგრამ აქ თქმულიც კმარა იმისათვის, რომ ხაზი გავუსვათ ზოგიერთი ჩვენი მეურნეობის ხელმძღვანელის სამართლებრივი კულტურის უკიდურესად დაბალ დონეს.

სამართლებრივი კულტურა გულისხმობს არა მარტო კანონების კარგად ცოდნას, არამედ ღრმა პატივისცემას მათ მიმართ, ზრუნვას მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის. სამართლებრივი კულტურა არის არა მხოლოდ კეთილი სურვილები, არამედ თითოეული ხელმძღვანელის კონსტიტუციური მოვალეობა. სსრ კავშირის კონსტიტუციის მეოთხე მუხლში ნათქვამია: „საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების

საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწერივის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს<sup>1</sup>.

იმისათვის, რომ ზუსტად დავიცვათ საბჭოთა კანონები, აუცილებელია ვიცოდეთ ისინი. ზიანის შეტი არაფერი მოაქვს ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის შეხედულებას, რომ თითქოს კანონიერების უზრუნველყოფა მხოლოდ და მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოებისა და იურიდიული სამსახურის საქმე იყოს.

ვ. ი. ლენინი დ. ი. კურსკისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში დეკრეტის თაობაზე ითხოვდა განემარტათ თანამდებობის პირებისათვის, რომ ისინი დაისჯებოდნენ როგორც კანონის უცოდინარობისათვის, ასევე მისი გამოუყენებლობისათვის.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალისტური სამართალი — არის შრომისა და პროდუქტების განაწილების მარეგულირებელი (განმსაზღვრელი) და რომ ეს განაწილება — არამართო სამართლიანობის საკითხია, არამედ „წარმოების გადიდების მეთოდი, იარაღი, საშუალება“<sup>1</sup>.

სამართლებრივი ნორმების მნიშვნელობის გაუგებრობა და სამართლებრივი კულტურის არარსებობა თანამდებობის პირის არაკომპეტენტურობის უტყუარი ნიშანია. თავისი სავარძელი რომ შეინარჩუნოს, სწორედ ასეთი ხელმძღვანელი მიდის მიწერებზე, თვალის ახვევაზე, უხარისხო პროდუქციის გამოშვებაზე, მიწოდების გეგმების შეუსრულებლობაზე და სხვა, რასაც რესპუბლიკის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი დანაკარგები მოაქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი უცოდინარობის გამო პრაქტიკულად არ იყენებს იმ რეზერვებს, რაც თვით კანონშია ჩადებული.

სოციალისტური კანონიერების შებღალვის საშიშროება, კანონისადმი უყურადღებობა, უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ ასეთმა ფაქტებმა შეიძლება გამხრწნელი, დამანგრეველი მოქმედება გამოიწვიოს. ძნელია გადავაფასოთ ასეთ დროს ხელმძღვანელის პირადი მაგალითის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

სოციალისტური კანონიერება გამოირიცხავს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც მისი „მიზანშეწონილობის“ საბაბით სცილდება კანონიერების ჩარჩოებს. თვით საკანონმდებლო აქტებშია დაცული სოციალისტური მიზანშეწონილობის პრინციპი. სწორედ ამით აიხსნება კანონმდებლობის სისტემატური განახლების მოთხოვნილება, რადგან საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების შედეგად აუცილებელი ხდება ახალი ნორმების შექმნა და მოძველებული კანონმდებლობის შეცვლა.

სოციალისტური კანონიერების ქმედითი განხორციელება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოებისა და გაძლიერების გარანტიაა. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი საზოგადოების წინსვლა.

სწორედ ამიტომ არის საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვა ყველა თანამდებობის პირის უპირველესი მოვალეობა.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 572.

# „ქენა გართლისა სპარტლისა...“

ელშარდ ხიფინი, თამაზ შავკულიძე

## თვითმკვლელობა

შემდეგ საღამოს ისევ ბიძინა იაშვილის აივანზე მოიყარეს თავი.

ბიძინა სავარძელში იჯდა, საქაღალდე მუხზე ედო.

— აქ ერთი შემთხვევა მაქვს დაწვრილებით აღწერილი. რომ არ მოგაწყინოთ, ზოგ რამეს მოკლედ მოგიყვებით, ზოგს კი, წაგიკითხავთ.

— რა ვიცი, ჯერჯერობით, მოწყენის არაფერი გვეტყობა! — გაიღიმა მამიამ.

— ეს ამბავი თბილისში მოხდა ათას ცხრაას სამოც წელს. მაშინ თბილისის ერთ-ერთი რაიონის პროკურორი ვიყავი. მილიციიდან დამირეკეს, ქალი ვნახეთ მკვდარიო. მაშინვე წავედი. სიონის ეკლესიიდან ბარათაშვილის ხილამდე და ქუჩამდე უბანს კალა ჰქვია. იქ ცხოვრობდა ის ქალი, ორსართულიან სახლში. პირველი სართული გრძელი ტალანით ეზოსკენ გადიოდა, მეორე სართულზე ფართო აივანი იყო, მაგრამ სადარბაზოდან მის მხოლოდ ერთ ნაწილში თუ მოხვდებოდა კაცი. ამ სახლში სამი ოჯახი ცხოვრობდა. გარდაცვლილს ერთი ოთახი ჰქონდა. მისი კარი და სარკმელი პირდაპირ აივანზე გამოდიოდა. სამზარეულო, აბაზანა და საპირფარეო საზიარო ჰქონდათ. გამომძიებელი და ორი მილიციელი დამხვდა ადგილზე, მეზობელთაგან მხოლოდ ორი ქალი — ხანშიშესული და ახალგაზრდა. გამომძიებელმა მომახსენა:

— თურმე, მეზობელს, ხანშიშესულ ქალს მილიციელი მოუძებნია ქუჩაში, ზევით აუყვანია, უთქვამს, უკვე სამი დღეა ლიდა კუნდუნაშვილი არ გამოჩენილა, ოთახი შიგნიდან არის ჩაკეტილი, რამე უბედურება ხომ არ შეემთხვაო. მილიციელი კარს დაჯაჯგურებია. ვერ გაუღია. შემდეგ მინა გამოუღია, საკრემლო შეუღია და მიცვალებული დაუნახავს. შიგ აღარ შესულა.

მაღე სამედიცინო ექსპერტი და კრიმინალისტიც შემოგვიერთდნენ. როგორც იქნა,

კარი გავადღეთ და ოთახში შევედით. მიცვალებული კედელთან მიდგმული მაგიდის ფენებთან იწვა იატაკზე. ტყვია მარჯვენა საფეთქელში ჰქონდა მოხვედრილი. იქვე ეგდო „ვალტერის“ სისტემის პისტოლეტი. მოგრძო ოთახი თექვსმეტი კვადრატული მეტრი იყო. იდგა ერთი საწოლი, ტახტი, მაგიდა, ოთხი სკამი, ტანსაცმლის და ჭურჭლის კარადები. მაგიდაზე თითქმის დაცლილი ღვინის ბოთლი და ერთი ღვინიანი ჭიქა დარჩენოდათ. იქვე ბლოკნოტიდან ამოხეული ფურცელი იდო სადაც ეწერა:

„შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ. წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია!“

მიცვალებულის ახლოს სკამზე სისხლის მოგრძო წვეთი შევნიშნე. იატაკზე სისხლი ნაკადად წასულიყო, ერთგან შეგუბებულიყო და გამხმარიყო. ვნახეთ „ვალტერის“ გაჭყლენტილი ტყვია. კრიმინალისტი იქაურობას ზომავდა, სურათებს უღებდა. ექსპერტი გვამს ათვალეირებდა, — ბიძინამ საქაღალდეს ჩახედა და კითხვა დაიწყო — „— თვითმკვლელობა მგონია. თქვენ რას იტყვიან? — მომმართა გამომძიებელმა — კარი შიგნიდან რაზით იყო ჩაკეტილი.

— კი, ალბათ ასეა-მეთქი, — მხრები ავიჩეჩე.

— ჭრილობაც ისეთია, თავად უნდა ესროლა, — დაასკვნა ექსპერტმაც.

— უფრო ზუსტად ხვალ, გაკვეთის შემდეგ გვეცოდინება.

— მიცვალებული გადაიტანეთ, სხვა ყველაფერი ხელუხლებლად დატოვეთ! — გავეცი განკარგულება.

— ლექსი ხომ ნახეთ? — მკითხა გამომძიებელმა.

— კი. ეს ფურცელი ექსპერტს შეამოწმებინეთ; ნამდვილად ამ ქალის ხელი არის თუ არა, თანაც როდინდელი.

მე და გამომძიებელი აივანზე გავედით.

(გაგრძელება. დასაწყისი ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ № 1, 2, 3, 4, 1986 წ.).

ხანშიშესული ქალი იქვე ტრიალებდა. გამოძიებულმა მიმართა:

— ერთ-ორ შეკითხვას მოგცემთ თუ შეიძლება!

— კი, ბატონო! — სატირლად გაეზადა ქალი, მაგრამ თავი შეიკავა, — საწყალი, კარგი ქალი იყო!

— რატომ მიმართეთ მილიციელს, რამ დაგეჰკათ?

— კარის მეზობელია. სულ ჩვენს წინ ტრიალებდა. ყველაფერი საერთო გვაქვს, დღეში ათჯერ მაინც ვხვდებოდით ერთმანეთს. სადმე რომ მიდიოდა, მეტყოდა ხოლმე...

— თქვენ აქ ცხოვრობთ? — მეზობელ კარზე ანიშნა გამოძიებულმა.

— დიახ.  
— როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან?

— არაუშავს... კარგი ურთიერთობა. მორიდებული ქალი იყო.

— მასთან შედროილად ხოლმე?

— კი, მაგრამ, იშვიათად.

— იარაღი, კერძოდ, პისტოლეტი თუ ჰქონდა, ხომ არ მოგიკრავთ როდისმე თვალი?

— როგორ არა! ერთხელ მითხრა, ფრონტიდან ჩამომყვაო. ომის დროს ჰოსპიტალში მუშაობდა... უკრაინაში.

გამომძიებელმა ჩანთიდან ცხვირსახოცში გახვეული „ვალტერი“ ამოიღო:

— ეს იყო?

— კი, ეს იყო, ნამდვილად!

— რამდენი დღეა, რაც არ გინახავთ?

— სამი.

— ამ სამი დღის წინ რამე ხომ არ გაგიგონიათ, ან შეგინიშნავთ?

— ისეთი, არაფერი...

— სამი დღის წინ შინ თუ იყავით?

— დღე მხოლოდ მე ვიყავი. დამე კი მთელი ოჯახი.

— რომელ საათზე წვევით ხოლმე?

— გააჩნია, თორმეტზე, პირველის ნახევარზე, პირველზე...

— სამი დღის წინ რომელზე დაწვეით?

— თორმეტზე.  
— ასე კარგად გახსოვთ? — უნდობლობა დაეტყო გამოძიებელს.

— კინოს ვუყურებდით და რა დამაძინებდა, სულ გრიალი გაუდიოდა მთელ სახლს. თორმეტზე დამთავრდა. დაწვეით კიდევ.

იმ დღეებში ფილმებს მართლაც ომზე უჩვენებდნენ. გამოძიებულმა დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით გადმომხედა. თითქოს მისი ბრალი იყო, რომ ასეთი ფილმის ხმაურში მეზობელთან გავარდნილი ტყვიის ხმა,

შეიძლება, მართლაც ვერ გაგონა კაცის დაღვემვიდობით და წამოვედით.

ბიძინამ თავი ასწია.

— ისევ ის ლექსი ამეკვიტა, შემაწუხა კიდევ. რამდენჯერმე წარმოვიდგინე: ქალი წერს ერთტაეპიან ლექსს ბლოკნოტის ფურცელზე, შემდეგ რევოლვერის ლულას საფეთქელზე იდებს და თავს იკლაეს!... ის ხელნაწერი თვალწინ მედგა, ყურადღებას მიფანტავდა. გვიან მივედი შინ. ოჯახს ეძინა.

ფეხაკრეფით შევედი სამზარეულოში და ჩემთვის გადანახულ ვახშამს მივუჭკევი. უხალისოდ ვიღებუბოდი. გუნებაში ალბათ, მეთაბსედ ვიმეორებდი: „შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ...“ უეცრად, ვიგრძენი, რომ რაღაც ძალიან ნაცნობს მოვკარი თვალი. გაფფაციც-

დი, სამზარეულოში უცხო არაფერი იყო, რატომ გამიჩნდა ასეთი განცდა! ვიგრძენი, რომ ერთ წერტილს დაჟინებთ მივჩერებოდი.

ონკანთან, თეთრ შორენკეცს სისხლისფერი ლაქა აჩნდა, ზუსტად ისეთი, კუნძულისფერის სკამზე რომ იყო მიმხმარი. სუნთქვაშეკრული წამოვედექი. რატომღაც ფეხაკრეფით მივუახლოვდი ლაქას და დავაკვირდი. იციო, როგორი ლაქა იყო?!

წითელი, ბლანტი სითხის წვეთი რომ მიესხმება კედელს, ცოტაზე, სულ ცოტაზე ჩამოიღვევინებდა და შეჩერდებოდა.

ქვევით უფრო წითლად არის, ზევით კი ბაცად. რვიანს ჰგავს; დაბლა უფრო მომსხო და მოგრძობა. ასეთი ლაქა მხოლოდ შევეულ, ბრტყელ ზედაპირზე რჩება, თარაზულზე — არავითარ შემთხვევაში! ის სკამი კი ოთხივე ფეხზე იდგა.

ბიძინამ საქალაღდეს ჩახედა:

საწოლ ოთახში გავედი. წყნარად გავაღვიძე ცოლი.

— რა იყო? — შეშფოთებით წამოსწია თავი.

— არაფერი, ერთი წამით სამზარეულოში გამოდი, საქმე მაქვს.

უქმაცოფილოდ წაიბუზღუნა, მაგრამ წამოდგა. ხალათი მოისხა და სამზარეულოში გავვიდით.

— ეს რა არის? — ლაქასთან მივიტანე თითი.

— მაჩვენე! — ცოლი დაიხარა, ლაქას შეხედა და, სანამ რამეს მოვასწრებდი, შორენკეცი ჩვრით მოწმინდა.

გავბრაზდი, მაგრამ წამხდარ საქმეს რაღა ეშველებოდა!

— როდის იყო, ასეთ რამეს დასდევდი! — აქეთ შემომიტირა.

— მოიცა! — შევაჩერე, — რისი ლაქა იყო?

— მართლაც, მართლაც ვერ გაგონა კაცის დაღვემვიდობით და წამოვედით.

ბიძინამ თავი ასწია.

— ისევ ის ლექსი ამეკვიტა, შემაწუხა კიდევ. რამდენჯერმე წარმოვიდგინე: ქალი წერს ერთტაეპიან ლექსს ბლოკნოტის ფურცელზე, შემდეგ რევოლვერის ლულას საფეთქელზე იდებს და თავს იკლაეს!... ის ხელნაწერი თვალწინ მედგა, ყურადღებას მიფანტავდა. გვიან მივედი შინ. ოჯახს ეძინა.

ფეხაკრეფით შევედი სამზარეულოში და ჩემთვის გადანახულ ვახშამს მივუჭკევი. უხალისოდ ვიღებუბოდი. გუნებაში ალბათ, მეთაბსედ ვიმეორებდი: „შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ...“ უეცრად, ვიგრძენი, რომ რაღაც ძალიან ნაცნობს მოვკარი თვალი. გაფფაციც-

დი, სამზარეულოში უცხო არაფერი იყო, რატომ გამიჩნდა ასეთი განცდა! ვიგრძენი, რომ ერთ წერტილს დაჟინებთ მივჩერებოდი.

ონკანთან, თეთრ შორენკეცს სისხლისფერი ლაქა აჩნდა, ზუსტად ისეთი, კუნძულისფერის სკამზე რომ იყო მიმხმარი. სუნთქვაშეკრული წამოვედექი. რატომღაც ფეხაკრეფით მივუახლოვდი ლაქას და დავაკვირდი. იციო, როგორი ლაქა იყო?!

წითელი, ბლანტი სითხის წვეთი რომ მიესხმება კედელს, ცოტაზე, სულ ცოტაზე ჩამოიღვევინებდა და შეჩერდებოდა.

ქვევით უფრო წითლად არის, ზევით კი ბაცად. რვიანს ჰგავს; დაბლა უფრო მომსხო და მოგრძობა. ასეთი ლაქა მხოლოდ შევეულ, ბრტყელ ზედაპირზე რჩება, თარაზულზე — არავითარ შემთხვევაში! ის სკამი კი ოთხივე ფეხზე იდგა.

ბიძინამ საქალაღდეს ჩახედა:

საწოლ ოთახში გავედი. წყნარად გავაღვიძე ცოლი.

— რა იყო? — შეშფოთებით წამოსწია თავი.

— ბავშვმა ალუბალი გაჭყლიტა და, ალ-  
 ბათ, მიესხა, შე კაცო!

გამეცინა. წადი, დაიძინე-მეთქი. მიხვდა  
 რომ დიასახლისობას არ ვუწუნებდი.

რალა დამაძინებდა! დილაზე ვერ მოვით-  
 მინე, გამომძიებელს დავურეკე შინ. ბედად  
 თავად აიღო ყურმილი.

— ბონდო, მამატიე, ასე გვიან რომ გირე-  
 კავ, ვეღარ მოვითმინე.

— არ მძინებია, ბატონო ბიძინა.

— ძალიან კარგი! ის სკამი ხომ გახსოვს...  
 კუნდუხაშვილის სისხლის ლაქა რომ აქვს  
 მიმზმარი!

— კი, როგორ არა!

— შენ რომ ნახე, წაქცეული იყო?

— არა, იღვა.

— ხომ არ წამოგიყენებია ფეხზე?

— არა.

— ნამდვილად?

— ნამდვილად.

— ექსპერტი და კრიმინალისტი ხელს არ  
 მოკიდებდნენ. იქნებ მილიციელმა გაასწორა  
 უნებურად.

— არა, გამოცდილი კაცია. როცა შევე-  
 დით, კარგად მახსოვს, ფეხზე იღვა!

— კარგი! ხვალ ცხრაზე იქ მოდი: ერთ-  
 ხელ კიდევ უნდა დავათვალიეროთ.

— კი ბატონო!

\* \* \*

დილით, ცხრა საათზე, გამომძიებელი აივა-  
 ნზე დამხვდა.

— ერთი შევიდეთ შიგ! — ვუთხარი სწრა-  
 ფად.

კარს ლუქი ახსნა. შევედით. პირდაპირ  
 სკამთან მივედი. ლაქა ზუსტად ისეთი იყო,  
 როგორც მახსოვდა.

— ბონდო, მოდი აქ! — მოვიხმე გამომძიე-  
 ბელი, — ხომ ხედავ? სკამს ხელი მოვკიდე  
 და გვერდულად წამოვაქციე; ისე, რომ ლაქას  
 მუქი ფერი ქვევით მოექცა.

— ხედები რამეს? — ისე ვკითხე მისკენ  
 არც მიმიხედავს.

— დიახ.

— სრული პასუხი!

— სკამი წაქცეული უნდა ყოფილიყო, რო-  
 ცა სისხლის წვეთი მოხვდა, — თვალზეში  
 შემომხედა გამომძიებელმა.

— ჩვენ ხომ ნამდვილად ფეხზე დაგხვდა?

— დიახ.

— იმ ქალს საფეთქელში მოხვდა ტყვია.  
 ესე იგი, სწრაფად მოკვდა და სისხლიც მა-  
 შინვე მიეშხეფებოდა.

— სკამი ვინ გაასწორა?!

მხრები ავიჩიჩე:

— უნდა გავარკვიოთ!

კარგა ხანს მღუშარედ ვათვალიერებდით  
 იქაურობას.

— გახსოვს, ლექსი როგორ ფურცელზე  
 იყო დაწერილი? — ვკითხე ისევ.

ბონდომ თვალები დახუჭა და ისე მიგასუხა:

— ბლოკნოტიდან ამოხეული... ზამზარასა-  
 ვით სამაგრი რომ აქვს თავში.

მე თავი დავუქნიე.

— ფურცელი სუფთა იყო, გაუქცავი —  
 განაგრძო მან, — ესე იგი..

— ესე იგი, შორიდან არ იყო მოტანილი.

ბლოკნოტი აქ უნდა იყოს საღდაც.

— ვეძებთ, აქ არ არის!

ისე მივაჩერდი, რომ მიხვდა, პასუხით უკ-  
 მაყოფილო ვიყავი, უხმოდ შებრუნდა და  
 გულდასმით ჩხრეკას მიჰყო ხელი.

ამასობაში კარებს მივადექი. რაზა ჩამოვაც-  
 ვი რგოლს. სახელურს მოვქაჩე. კარი საიმე-  
 დოდ იკეტებოდა.

— ერთი წუთით!

ბონდო ზურგსუკან ამომდგომოდა. მან რაზა  
 ამოიღო, კარი გააღო, რაზა შემართული დაა-  
 ყენა. თავად გარეთ გავიდა, კარი ფრთხილად  
 მოსწია, შემდეგ კი მოაჯახუნა. რაზა ჩამოვარ-  
 და და რგოლში ჩახსლტა.

კარი გავაღე. ბონდო იქვე იღვა. იღიმებოდა.

— ბავშვობაში... ეზოში საერთო საპირფა-  
 რეშო გექონდა, — დარცხენით მითხრა მან,  
 — ერთხელ ასე გამოვიკეტე კარი. რაზიანი  
 იყო ისიც. მეზობლები ვაწვალე. ეგონათ, შიგ  
 ვილაც არის და არ გამოდისო.

გამეცინა. თვალწინ წარმომიდგა ანცი ბიჭი,  
 ეზოს საპირფარეშო და აღშფოთებული მე-  
 ზობლები...

— ბლოკნოტი არ არის?

— არ არის, ბატონო ბიძინა!

— აბა, ერთი ის ქალი დაკითხე კიდევ!

ბონდომ მეზობელი აივანზე გამოიყვანა.

— თქვენი სახელი?

— ქეთო, შვილო!

— ქალბატონო ქეთო! ლიდასთან ვინ და-  
 დიოდა ხოლმე?

— ძალიან იშვიათად თუ მოვიდოდა ვინმე..  
 თითქმის არავინ.

— სულ არავინ?

— ერთი კაცი იყო რამდენჯერმე...

— არ უთქვამს მისი სახელი, გვარი, ან რა  
 ნაცნობობა ჰქონდა მასთან?

— არა, არ უთქვამს.

— რა ხნის იქნება ის კაცი?



— ორმოცი, ორმოცდახუთი წლის.  
 — ის კაცი, ან მისი სურათი რომ გაჩვენოთ, თუ იცნობთ?  
 — კი, როგორ არა!  
 — გმადლობთ! თუ დაგვკვირდით, კიდევ შეგაწუხებთ.  
 — კი, შეილო, კი! რა შეწუხებაა; მე ყოველთვის შინ ვარ.

გაგვიჩინდა ეპკი, ჩვენს შესვლამდე იმ ოთახში ვიღაც იყო, მაგრამ კვალი საგულდაგულოდ წაეშალა.  
 იმ დღეს ექსპერტიზის დასკვნა მივიღეთ; ლიდა კუნდუხაშვილი თავის ტვინში გამავალ კრილობას მოეკლა. ტყვია მიბრჭნით იყო ნასროლი. არხი ქვემოდან ზემოთ მიემართებოდა. სწორედ იმ ტყვიით იყო მკვდარი, ჩვენ რომ ვნახეთ. ქალის სიკვდილიდან გვაძის აღმოჩენამდე სამი დღე იყო გასული. მომკვდარი იყო კრილობის მიყენებისთანავე, დაახლოებით 22-23 საათზე. გვამს ძალადობის ნიშანი არ ეტყობოდა. სიკვდილის წინ ღვინო არ დაეგლია.

ბიძინამ სული მოითქვა. თხრობას დაუბრუნდა.

— გამოძიება ახალი ვერსიით წარიმართა; მკვლელობასთან ზომ არ გვქონდა საქმე, ან იქნებ, აიძულეს, თავი მოეკლა?!

შევისწავლეთ ლიდა კუნდუხაშვილის ბიოგრაფია. დაიბადა 1921 წელს გლგხის ოჯახში. 1936 წელს დაამთავრა სოფლის რეაწლიანი სკოლა, შემდეგ კი საფერშლო სასწავლებელი. ომის დაწყებამდე მოვიყვანის სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა ექთნად. 1941 წლის ზაფხულში მთელ ჰოსპიტალთან ერთად ტყვედ ჩავარდა. რამდენიმე წელი საკონცენტრაციო ბანაკში გაატარა. ბოლოს საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა სხვებთან ერთად. 1945 წელს სოფელში დაბრუნდა, ავადმყოფობდა, კარგა ხანს არსად უმუშავია. შემდეგ, თბილისის ერთ-ერთი საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მუშაობდა ექთნად გარდაცვალებამდე. გამოძიება გართულდა. ასამდე მოწმე დავკითხეთ. აგერ მაქვს ყველა ჩანაწერი. მოწმეების დასაკითხად გაგზავნილ თანამშრომლებს დავავალე, დაკითხული ვაუბის ფოტოებიც მოეტანათ; და იქნებ, იმდაგვარ ბლოკნოტსაც წასწყდომოდნენ სადმე. მხოლოდ ერთი დავითხვის ოქმიდან ამონაწერს წავაკითხავთ:

„ვანო ბერაძე, ქირურგიული განყოფილების უფროსი, ორმოცდაოთხი წლის. ცოლ-შვილიანი.

— გამარჯობათ! ვანო ბერაძე ბრძანდებით?  
 — დიახ.

— პროკურატურიდან გახლავართ! ლიდა კუნდუხაშვილის თაობაზე მინდა გესაუბროთ.

— საჩივარია?  
 — არა...  
 — აღიარება?  
 — რა საჩივარს და აღიარებას გულისხმობთ?

— რა ვიცი, იქნებ გვიჩივლა...  
 — ჰქონდა ჩივილის საფუძველი?  
 — როგორ გითხრათ!.. ხანდახან ისეთ რამეს მოითხოვდა... მაგალითად, პალატაში ხუთ ავადმყოფზე მეტს ნუ ვაწვევთო და ამგვარი რალაცებები... ვიფიქრე, იქნებ იჩივლა-მეთქი.

— არა, ბატონო არ უჩივლია.

— მე და ის ქალი, ლიდა კუნდუხაშვილი იმამდე ერთ ჰოსპიტალში მოვხვდით, მოვივლევში. ახლად გამომცხვარი ექიმი ვიყავი. როცა ომი დაიწყო, მთელი ჰოსპიტალი, მედპერსონალი, ავადმყოფები, ტყვედ ჩავვარდით. სხვებს რა ბედი ეწია, არ ვიცი. მე კი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოვხვდი. ორმოცდასამში მე და ერთმა ამხანაგმა გაქცევა მოვახერხეთ. მხოლოდ მე გადავჩრი. მალე პარტიზანებს მივაგენი. ომის დამთავრებამდე მათთან ვმუშაობდი ლაზარეთში, ქირურგად. შემდეგ კი აქ დამნიშნეს. სამი წელიც არ იყო გასული, როცა ერთი ახალგაზრდა ქალი მეწვია, მამა მყავს საოპერაციოო. შევხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი — ლიდა იყო. სად ხარ, რას აკეთებ-მეთქი. სოფელში ვარ, ომის კრილობებს ვიშუშებო. შევფაზზე, ჩვენთან დაეწყო მუშაობა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ იქ, ტყვედ ყოფნისას... კერძოდ, რა იყო, არ ვიცი. იქნებ, მათ ჰოსპიტალში მუშაობდა, ან რალაც ამგვარი, მაგრამ ეს მე არ მეჩებოდა... იგი ჩინებული ექთანია, კეთილსინდისიერი მუშაკი...

— ლიდა კუნდუხაშვილმა თავი მოიკლა!

— რაო?! როგორ თუ თავი მოიკლა!

— „ვალტერი“ ჰქონია...

— პისტოლეტით მოიკლა?

— დიახ! ზომ არაფერი შეგიმჩნევიათ ბოლო ხანს ისეთი, რაც ამ მდგომარეობამდე მიიყვანდა მის?

— უჰ, ეს ისეთი მოულოდნელია ჩემთვის! მაშინ არ მიმიქცევია ყურადღება... ახლა მაგონდება, ბოლო დღეებში გაღიზიანებული ჩანდა, ადგილს ვერ პოულობდა, ყველაფერს იწუნებდა...

— თქვენი ტელეფონის ნომერი ჩამაწერიანთ, იქნებ, კიდევ დამპირდეთ.

— ინებეთ...

— თქვენ ოსვენციმის ბანაკში იყავით...

— დიახ. ორმოცდაერთიდან ორმოცდასამის იენისამდე.

— იქ ლიდა კუნდუხაშვილი არ გინახავთ? ისიც იქ იყო, მგონი.

— არა... ქალები და კაცები ერთმანეთს ვერ ვხვდებოდით...

— ჰო, კარგად ბრძანდებოდეთ! შეიძლება კიდევ შეგაწუხოთ...

— ჩემი ბლოკნოტი მიგაქვთ, მამაკითეთ...

— დიახ, ორ დღეში დაგიბრუნებთ.

საავადმყოფოს ტალანში მოთავსებულ მოწინავეთა სტენდზე ვანო ბერაძის სურათი შეუმჩნეველად ავადრე.

ბიძინამ კითხვა შეწყვიტა, თავი წამოსწია:

— ასე, რომ მოწმეთა დაკითხვის შედეგად დიდი ვერაფერი მასალა დაგვიგროვდა, მხოლოდ ორი ბლოკნოტი და ხუთი სურათი. ბლოკნოტები ექსპერტზას გადავცეცი.

სურათები კი კუნდუხაშვილის მეზობელს დავუშუყე. მაგიდაზე.

ბიძინამ კითხვა განაგრძო:

— „აი, ეს არის! მე ყოველთვის მერიდებოდა ხოლმე — უყოყმანოდ დაადო თითი ვანო ბერაძის სურათს მოხუცმა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს კაცი ლიდას საყვარელი იყო?

— აბა, სახეს რად გვარიდებდა... საერთოდ, ეტყობა ადამიანს...

— იმ დღეებში ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

— არა, იმ დღეებში არა, შვილო, მე მგონია, იმ კაცმა დიდხანს ატყუა საწყალი ლიდა. ბოლოს სხვა ითხოვა... ან ცოლშვილიანია.

— ქალბატონო ქეთო, ყოველივე ამის თქმა შემდეგ თქვენ სხვაგანაც მოგიწევთ.

— რისი, შვილო?

— რომ ეს კაცი, ვანო ბერაძე, რამდენჯერმე ნახეთ ლიდა კუნდუხაშვილთან მოხუცლი.

— კი, ბატონო, ვიტყვი!

ნაშუადღევს ექსპერტს შევხვდი პროკურატურაში.

— ეს ორი ბლოკნოტი გვექონდა შესასწავლი. ერთი სულ ახალია, არცერთი ფურცელი არ აკლია. არც არაფერი წერია. მეორემ კი ბევრი გვაწვალა, ნახევრამდეა დაყვანილი, შიგ კი არაფერი წერია...

— ესე იგი? — თავი ვეღარ შევიკავე.

— ეს იგი, მისი პატრონი, თუ რამეს ჩაწერდა, ფურცელს ამოხედა ხოლმე, და საერთოდ, ეს ჩვეულებრივი უბის წიგნაკი კი არ არის, არამედ საეპიზიტო ბარათების შეკვრა... თუმცა, რაც გნებავთ, ის დაარქვით. სავარაუდოა, რომ მის პატრონს შეიძლება მალაღობა თანამდებობა ჰქონდეს. ვფიქრობ, არც

მთლად ყმაწვილი უნდა იყოს და არც მოხუცი. კიდევ გაინტერესებთ რამე?

— დიახაც. რაც ახლა მითხარით, ადრეც ვიცოდი.

— მაშ, რაღა გინდათ?

— რამე დამატებითი ცნობა...

— რაც ვთქვი, სწორია?

— ყველაფერი სწორია.

ექსპერტი მცირე ხანს გაჩუმდა. შემდეგ ამოღერდა:

— მის ერთ-ერთ ნაცნობს ტერენტი გრანელის ლექსები მოსწონს...

— რა-ა?! — ვიყვირე უნებურად, — რატომ ფიქრობთ ასე...

— აჰ, პირველ გვერდზე, — ფრთხილად გადაშალა ბლოკნოტი, — მეტნაკლებად ამჩნევია ამოხეულ ფურცლებზე ჩანაწერების კვალი. წაითხვა ჰირს. კალმისტრით უწერიათ, ამიტომ გარკვევით არ ჩანს. თან ერთმანეთზეა წაფენილი. ყველაზე ბოლოს მოხეულ ფურცელზე კი ფანქრით დაუწერიათ ტერენტი გრანელის ლექსის ერთი ტაევი.

— რა იცით რომ ფანქრითაა დაწერილი?

— კალამს ასე ვერ დააწვები. ნაწერს ფანქრის წვერის მოხაზულობა აქვს და არა კალმის.

— ვისი ნაწერია?

— პატრონი ვაჟია, იმ ლექსის დამწერი კი — ქალი.

გამეცინა:

— თქვენ რა, შერლოკ ჰოლმსი ხართ?! ამისხენით, თუ შეიძლება, რატომ არის პატრონი ვაჟი და ლექსის დამწერი ქალი!

ბლოკნოტი კვლავ გადაშალა:

— ყდაზე აწერია „ვანო ბერაძე“. ეს ბლოკნოტის პატრონის სახელი და გვარი უნდა იყოს. ეს ორი სიტყვა მამაკაცის ხელითაა დაწერილი ალბათ თვით ვანო ბერაძის მიერ, ლექსი კი ქალის ხელითაა დაწერილი ესე იგი, ეს ჩანაწერები ერთი და იგივე პირის არ უნდა იყოს.

უჯრიდან ბლოკნოტის ფურცელზე დაწერილი ლექსი ამოვიღე და მივაწოდე.

— კი, ეს არის! — დაბეჯითებით თქვა მან.

— დასკვნა დამიწერეთ!

— კი ბატონო! — ექსპერტი ფეხზე წამოდგა. დინჯად ჩააწყო პორტფელში ბლოკნოტი და ფურცელი. ასევე აუჩქარებლად გავიდა ოთახიდან.

ბიძინას ექსპერტის გახსენებამ დიმილი მოპგვარა. მცირე ხნით რომელიღაც წერტილს მიჩერებოდა, შემდეგ, თანამოსაუბრეებს მიუბრუნდა:

— ყველა გზა ბერაძისაკენ მიდიოდა.

ის ქალი ან მან მოჰკლა, ან ქალმა მისი იქ ყოფნისას მოიკლა თავი. ბერაძემ კი თავისი იქ ყოფნის კვალი წაშალა და შეუმჩნევლად გავიდა ოთახიდან. მაგრამ სხვისი დასწრებით თავს არ იკლავენ. ვთქვათ, ასეც მოხდა, მაშინ, იგი როგორღაც უნდა აიძულო, რომ თავი მოიკლას. მართალია, ასეთი კაციც მკვლელია, მაგრამ ამას ყველაფერს დამტკიცება უნდა. ბერაძის წინააღმდეგ სერიოზული სამხილი გვექონდა, მაგრამ საკმარისი არ იყო, რომ შეუბღალავი რეპუტაციის ექიმისათვის, ომგადახდილი კაცისთვის ბრალი დაგვედო. ეჭვი კი გვექონდა, რომ კუნდუხაშვილი ბერაძის საყვარელი იყო, მაგრამ ეს არ იძლეოდა მკვლელობის საფუძველს. დაწერილობით გავეცანით ბერაძის ცხოვრებას. იგი სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოგილევის ჰოსპიტალში მუშაობდა. ორმოცდაერთი წლის ივლისს ტყვედ ჩავარდა. ორმოცდასამში გაქცეულა. შემდეგ, პარტიზანებთან ყოფილა. მისი და კუნდუხაშვილის, ასე ვთქვათ, „ცხოვრების გზა“ ორჯერ შეხვდა ერთმანეთს: მოგილევის და თბილისში. ისინი ერთ საკონცენტრაციო ბანაკში იყვნენ. დაისვა კითხვა: იქ რაიმე ურთიერთობა ხომ არ ჰქონდათ ერთმანეთთან? მოსკოვის ვეტერანთა კომიტეტს მივმართეთ, გამოვიკითხათ ოსვენციმის ყოფილი პატიმრები, ხომ არაფერი იცოდნენ ამ ორი პიროვნების შესახებ. მოგილევისაც გავუგზავნეთ შეკითხვა. იქიდან პასუხი მალე მივიღეთ: ივანე ბერაძე ჰოსპიტალში ექიმად მუშაობდა, ღილა კუნდუხაშვილი კი — ექთნად. ერთმანეთი უყვარდათ და ერთ ბინაშიც კი ცხოვრობდნენ. ორმოცდაერთის ივლისში მთელ ჰოსპიტალთან ერთად ტყვედ ჩაგვარდნენ, მას შემდეგ მათ შესახებ აღარაფერი ვიცით. ვეტერანთა კომიტეტიდან პასუხმა დაივიანა. ბოლოს გვეცნობეს: ივანე ვახტანგის-ძე ბერაძე ათას ცხრაას ორმოცდასამ წელს მართლაც მისულა ბელორუსიაში მოქმედ ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმში. თავად უამბნია, რომ ის და მისი ამხანაგი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკიდან გაიქცნენ. ამხანაგი გზაზე დაღუპულა. ბელორუსიის გათავისუფლებამდე ბერაძე პარტიზანულ რაზმში იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ამ ცნობას ერთვოდა მეორეც: ვეტერანთა კომიტეტის წევრებს უნახავთ ოსვენციმის ტყვედყოფილთა არქივი. არქივში დატული იყო ზოგიერთი ტყვედყოფილის მონაცემი. მათი ჩვენებით, ივანე ბერაძე მართლაც გაქცეულა ამხანაგთან ერთად ოსვენციმიდან 1943 წელს. გავეცანით უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის კუნდუხაშვილთან

დაკავშირებულ მასალებსაც. იმ მასალების მიხედვით ღილა კუნდუხაშვილმა რამდენიმე წელი დაჰყო ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. იგი ბანაკის უფროსის ოჯახში იყო მოსამსახურედ, ამიტომ, სხვა ტყვეებზე უკეთესი პირობები ჰქონდა. იგი დილთ მიჰყავდათ ბანაკიდან, საღამოს კი უკანვე აბრუნებდნენ. ღილა კუნდუხაშვილის ჩვენებით, მას ბანაკის უფროსის ოჯახში ყოველგვარ „შავ“ სამუშაოს აკეთებინებდნენ. ხანდახან უფროსის დედას ნემსებსაც უკეთებდა. კუნდუხაშვილს რაიმე დანაშაული არ ჩაუდგინია, ამიტომ მალე გაათავისუფლეს. სხვა რამეც დავადგინეთ. კერძოდ: თუმცა, ოსვენციმში ქალებიც ჰყავდათ ტყვევად და ვაჟებიც, მაგრამ ისინი ისე იყვნენ ერთმანეთისაგან გამიჯნულნი, რომ კუნდუხაშვილს და ბერაძეს რაიმე ურთიერთობა არ უნდა ჰქონოდათ.

ბიძინა შეჩერდა. სავარძელში ადგილი მოინაცვლა, მუხლი გამართა. შემდეგ, თბრობა განაგრძო:

— ასე, რომ ეჭვი გვექონდა... რწმენაც კი, რომ იმ ქალის სიკვდილში ბერაძეს წვლილი ედო. წინასწარ პატიმრობაში მისი აყვანა საჭირო იყო, მაგრამ გავითვალისწინეთ მისი ღვაწლი, პარტიზანობა... ყველაფერი! მხოლოდ არაპირდაპირი სამხილებით დაპატიმრება არ შეიძლებოდა. გამოძიებელი მირჩევდა, სანქცია გამეცა ბერაძის დაპატიმრების შესახებ. აქაოდა, რაც ხელთ გვაქვს, იმ სამხილებითაც ჩიხში მოვაქცევთ, სხვა გზა არ ექნება, აღიარებს დანაშაულსო. მაგრამ მე თავს ვიკავებდი, რადგან ბერაძე ისეთი კაცი ჩანდა, არაპირდაპირი სამხილები ვერ გატეხდა. გავიხსენე, რომ კუნდუხაშვილი თბილისში ჩამოსვლამდე სოფელში ცხოვრობდა. მშობლები აღარ ჰყავდა ცოცხალი, მაგრამ სოფელში გაზრდილი ადამიანი შინაგანად მაინც დაკავშირებულია მშობლებურ გარემოსთან. ბერაძის ნათქვამიც ამოტივტივდა გონებაში: ღილა კუნდუხაშვილი რომ უხსენეს, რამე აღიარებდა ხომ არ არისო, უცებ წამოსცდა. რა აღიარება უნდა ყოფილიყო? გამოძიებელი საგანგებო უფლებებით აღვკურვე და სასწრაფოდ გავგზავნე კუნდუხაშვილის სოფელში, მისი სახლი კარგად გაჩხრიკე, იქნებ რამე აღმოჩნდეს მეთქი. ორის დღის შემდეგ ბონდო შემოვიდა ჩემს კაბინეტში და სამი საერთო რვეული დამიღო წინ. პირველ ყოვლისა, ეს ადგილი წაიკითხეთო, მიმიითია მან. ღილა კუნდუხაშვილის მოგონებები იყო, მისი ხელით ნაწერი. ჩანაწერები ძალზე აბღა-უბღა და ბუნდოვანი იყო, მაგრამ რაღაც აზრის გამოტანა მაინც შეიძლებოდა. იმ მოგონებების ფოტოპირებიც

კი მაქვს, მაგრამ, ჯობია მოკლედ მოგიყუებო. ლიდა კუნდუხაშვილს მართლაც მძიმე წლები გადაუტანია საკონცენტრაციო ბანაკში. იგი ბანაკის ერთ-ერთ ოფიცერს აუყვანია ხელზე მოსამსახურედ. დილით მანქანით მიჰყავდათ იმ ოფიცერს ოჯახში, ღამით კი უკან აბრუნებდნენ. ამის გამო იგი სხვა ტყვე ქალებმა შეიძულეს, ფაშისტების ბოზს, გამყიდველს უწოდებდნენ. ქალი გამწარდა, თვითმკვლელობაც კი უფიქრია, მაგრამ სული ტკბილია, ვერ გაუბედაია. ერთ-ერთ საღამოს, ბანაკში მიბრუნებისას, მძღოლმა გზაზე გადებული მორი დაინახა, მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და მორის გადაგორება დააპირა, მაგრამ სიბნელიდან ორი კაცი გამოვარდა და მძღოლს ეძგერა. გერმანელმა სიკვდილამდე მხოლოდ ერთი გასროლა მოასწრო. მანქანაში შეათრეს. სიბნელეში კარგა ხანს ვერც კი შენიშნეს შიშით კუთხეში მიკუთხულები ქალი. მანქანა დაქოქეს და ჩაქრალი ფარებით დაადგნენ გზას. ქალმა როგორც იქნა გააჩრია, რომ თავდამსხმელებს ბანაკის ტყვეთა ფორმა ეცვათ, მაშინვე სიხარულით შესძახა — „ჩვენები ხართ?“. მთელი ღამე იარეს. მძღოლის გვერდით მჯდომი კენესოდა, ეტყობოდა, მიმედ იყო დაჭრილი. ლიდამ რამდენჯერმე სთხოვა მძღოლს, ექთანე ვარ, მანქანა მცირე ხნით შეაჩერე, დაჭრილს მივხვდები. მძღოლმა, ბოლოსდაბოლოს შეაჩერა მანქანა, სინათლე აანთო, თითქმის გულწასულ კაცს ხალათი წამოუწია, ქრილობას დახედა, ხელი ჩაიქნია და ისევ დასძრა მანქანა. გამთენიისას ტყის პირას შეჩერდნენ, მუცელში დაჭრილი გადმოიყვანეს, ვაი, დედაო, ქართულად დაიკენესა. ლიდა გაოცდა, დილის ბინდში მძღოლს დააკვირდა და იცნო; ვანო ბერაძე იყო. ქრილობა სასიკვდილო იყო, დაჭრილის ტარება კი შეუძლებელი. დაჭრილი დროდადრო გონზე მოდიოდა, მიხვდა სააქაო პირი აღარ ჰქონდა, მომკალიო, სთხოვა ბერაძეს, აქ ნუ დამტოვებ, მაშაშებენ და მაინც გამათავებენო. ბერაძემ ერთხანს იცოყმანა, ბოლოს ხელი სტაცა გერმანელისათვის. წართმეულ პისტოლეტს და დაჭრილს საფეთქელთან მიუტანა. ლიდამ ვეღარ აიტანა ამის ყურება, მიწაზე დაემხო. სროლის ხმა რომ გაიგო, თავი წამოსწია. ბერაძემ ყვირილი მორთო, ჩემი ბრალი არ არის, ასე ჯობდა სანდროსთვისაც და ჩვენთვისაცო. ციხეშეყრილივით გაიქცა მანქანისკენ, მკვდარი გერმანელი გადმოათორია, ტანსაცმელი გახადა და ილიაში ამოიხარა, ლიდას დაუყვირა, წავიდეთ, რაღას გაშტერებულხარო. ტყეს მისცეს თავი, მაგრამ ბერაძე მალე შეჩერდა, უკან გაბრუნდა, უნდა გაეხადო, მისი ტანსაცმლით მიხვდე-

ბიან, ვინც ვართ და მდეგარს გამოგადევნებენო. ქალი გამწარდა, ემუდარებოდა, მაგას ნუ იზამო. ბერაძემ ქალს ხელი ჰკრა და გზა გაითავისუფლა. კუნდუხაშვილი ხეს მიეხალა და გონი დაჰკარგა. როცა მოსულიერდა შემოესმა, ვანო უხმობდა, საღ ხარ, დროზე მივიმალეთო. ქალმა ხმის ამოდება ვერ შეძლო, გარინდული იწვა მოფარებულში. ბერაძესაც ბევრი აღარ უძებნია, ტყეში გაუჩინარდა. ქალი მარტო დარჩა. როცა ძალა მოიკრიბა, ბევრი ყოყმანის შემდეგ ისევ ბანაკისკენ დაადგა გზას... მკაცრად დაჰკითხეს, მაგრამ არ უწყამებით, რადგან მისი მონაყოლი მართლაც ჰგავდა სინამდვილეს და ფაქტებითაც დადასტურდა. ლიდამ მხოლოდ ის არ გაამხილა, ვანო ბერაძეს რომ იცნობდა.

ამ ცნობის მიღების შემდეგ უკვე ხელთ გვექონდა სამხილი და გარკვევით მოტივიც, თუ რატომ უნდოდა ბერაძეს იმ ქალის სიკვდილი. მაშინვე გავეცი ბერაძის დაპატიმრების სანქცია. ხუთი დღე ვადროვეთ, შემდეგ მე და გამომძიებელმა დავკითხეთ. რამდენიმე დღე მედგარდ გვებოდა, მაგარი კაცი აღმოჩნდა. ჯერ სთქვა, იმ დღეს შინ ვიყავო, აღიბი რომ არ აღმოჩნდა, აღიარა, ლიდასთან ვიყავი, ქალი ძალზე აღელვებული იყო, მოგონებები აწვალებდა, თან კლიმაქისს შეტევი ჰქონდა, დავამშვიდე და წავედლო. ვაჩვენეთ ბლოკნისი, ექსპერტის დასკვნა, სკამზე შერჩენილი სისხლის ლაქა, დაუმტკიცეთ, რომ იგი მხოლოდ კუნდუხაშვილის სიკვდილის შემდეგ წავიდა სახლიდან. კარგა ხნის შემდეგ აღიარა — ქალმა ჩემი თანდასწრებით მოიკლა თავი, ხელის შეშლა ვერ მოვასწარიო. თურმე ის პისტოლეტი მას უჩუქებია, ომიდან სამახსოვროდ ჩამომყვაო. ცდილობდა გაემართლებინა თვითმკვლელობა. ომი რომ არა, ჩვენ აღბათ, ცოლქმარი ვიქნებოდით, ტყვედ ჩავარდნის შემდეგ თვალთავან დამეკარგა, დაღუპული მეგონაო. შემდეგ, უკვე ორმოცდარვა წელს რომ შეხვედრიან ერთმანეთს, ბერაძეს ცოლი ჰყოლია. ქალის თვითმკვლელობის შემდეგ, შარში არ გავეხვეო, თავისი იქ ყოფნის კვალი წაუშლია და წასულა. დამნაშავე ვარ და არც პასუხისმგებლობას გავეცქევითო. როდესაც სიტყვა გადავუკარით, რომ ლიდა კუნდუხაშვილმა თავი კი არ მოიკლა, არამედ მან მოჰკლა, ფერი ეცვალა, მაგრამ გაჯიბტდა, რა სისულელეა, რაში მჭირდებოდა, რატომ უნდა მომეკლაო. ეგონა, მისი ქვეყნის მოტივი არ ვიცოდით. წარუდგინეთ მთავარი სამხილი: კუნდუხაშვილის რვეული და პისტოლეტი. პისტოლეტის მჭიდეს მხოლოდ სამი ტყვია აკლდა. ვუთხარით, რომ ერთით

მოკლული იყო ლიდა კუნდუხაშვილი, მეორე-  
 თი მისი ამხანაგი სანდრო, ხოლო მესამეით  
 იგივე სანდრო დასჭრა გერმანელმა. ის  
 რვეული რომ გადაიოთხა, გატყდა. ბოლოს  
 ყველაფერი აღიარა. ადრე გადატანილმა მძი-  
 მე სულიერმა ტრამვამ კუნდუხაშვილს, თურ-  
 მე, ასაკში უწია. ამას ზედ გამწვავებული  
 კლიმაქსიც დაერთო. იმ დღეს აუჩემებია,  
 მოდი ჩემთან, მოსალაპარაკებელი მაქვსო.  
 უთქვამს, ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს,  
 თავი უნდა მოვიკლო. რატომღაც ვანოს  
 ბლოკნოტში ერთი სტროფი ლექსი ჩაწერა და  
 პისტოლეტი დაუღო წინ, მესროლეო. ბერაძე,  
 რა თქმა უნდა, წინააღმდეგი იყო, მაგრამ ქა-  
 ლი გააფთრებულა; მესროლეო, თორემ ყვე-  
 ლაფერს ვიტყვი და შენც თან გავიყოლებ,  
 ხომ იცი, იმ ცოდვას არ გააბატებენო. მე თა-  
 ვადაც არ ვიცი როგორ მოხდა, აღმოხდა ბე-  
 რაძეს, პისტოლეტი ავითაცე და ვესროლეო.

ბიძინა დადუმდა, თვლები დახუჭა და თა-  
 ვი სავარძლის სახურავს მიაყრდნო. კარგა  
 ხანს იყო ასე.

— ბარემ, მოვრჩით ამ ამბავს, აღარ არის  
 გადასადები. ბევრი დროც აღარ დამრჩა. ზეგ  
 დღით თბილისში მინდა წასვლა. ერთი კვი-  
 რის შემდეგ დაგბრუნდები... ხვალინდელი სა-  
 დამო გვაქვს და ბევრი სათქმელი კი დამრჩა...

— რა მიუსაჯეს ბერაძეს? — იდროვა გო-  
 ჩამ.

— თორმეტი წლით თავისუფლების აღ-  
 კვეთა.

— მეტი არა?! — გაიოცა მამიამ, — დარწ-  
 მუნებული ვიყავი, დახვრეტდნენ — მეთქი...

— მეტი არ შეიძლებოდა.

— რატომ?! ტროყია ხომ სწორედ განზრახ  
 მკვლელობისთვის დახვრეტეს...

— კი.

— ბერაძემ ორი კაცი მოჰკლა, ორივე გან-  
 ზრახ და...

— განზრახ მკვლელობაზე კოდექსში ორი  
 მუხლია, — თქვა ბიძინამ — 104-ე და 105-ე.  
 104-ე მუხლი ესადაგება, თუ მკვლელობა და-  
 მამძიმებელ გარემოებაში მოხდა. ასეთ დროს  
 სასამართლომ, შეიძლება, დახვრეტაც კი მიუ-  
 საჯოს დამნაშავეს.

— დამამძიმებელი გარემოება რაღა?

— განზრახ მკვლელობა: 1. ანგარებით; 2.  
 ხულიგნური ქვენაგრძობით; 3. დაზარალე-  
 ბულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი  
 მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;  
 4. ორი ან რამდენიმე პირისა; 5. წინასწარი  
 შეცნობით ორსული ქალის; 6. ჩადენილი გან-  
 საკუთრებული სისასტიკით ან ისეთი საშუა-  
 ლებით, რომელიც საშინოვარებას წარმოად-  
 გენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის; 7.

სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის  
 გაადვილების მიზნით, და აგრეთვე, დაკავში-  
 რებული გაუპატიურებასთან; 8. ჩადენილი  
 სისხლის აღების ნიადაგზე; 9. ჩადენილი გან-  
 საკუთრებით საშინო რეციდივისტის მიერ ან  
 იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენი-  
 ლი განზრახ მკვლელობა (106-ე და 107-ე  
 მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობის  
 გარდა), — ისჯება თავისუფლების აღკვეთით  
 ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახ-  
 ლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ან  
 ისჯება სიკვდილით. ზუსტად, სიტყვასიტყვით  
 ასე წერია კოდექსში.

მამიამ შეპასუხება დააპირა, მაგრამ ისევ  
 ბიძინამ დაასწრო:

— მოიცა! ბარემ, 105-ე მუხლსაც წაგიკით-  
 ხავთ, შეკითხვები ჰერე! „განზრახ მკვლელობა,  
 რომელიც ჩადენილია 104-ე მუხლში აღნიშნ-  
 ნული დამამძიმებელი გარემოებების გარეშე,  
 ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუ-  
 თიდან თორმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით  
 ხუთ წლამდე ან უამისოდ“. ბერაძის დანა-  
 შაულს ეს მუხლი მიუღდა. ამიტომ, თორმეტი  
 წელი მისცეს. ახლა, გასაგებია?

— სულაც არა! — თქვა მამიამ.

— მაინც, რა ვერ გაიგე?

— დამამძიმებელ გარემოებად ორი პირის  
 ან სხვა დანაშაულის დაფარვისთვის ჩადენი-  
 ლი მკვლელობაც ითვლებათ, ხომ სთქვი.

— კი.

— თუ ასეა, ორი კაცი ხომ მოკლა?

— მოკლა.

— მერე სხვისთვის დამამძიმებელი გარე-  
 მოება ბერაძისთვის მსუბუქი რატომ აღმოჩნ-  
 და?

— იმიტომ, რომ პირველი მკვლელობიდან  
 თხუთმეტ წელზე მეტი იყო გასული. ეს დანა-  
 შაული სასამართლომ აღარ მიიღო მხედველო-  
 ბაში ხანდაზმულობის გასვლის გამო.

ნასამართლობა მოესწნა კაცსო, კი გამოვიყო,  
 — ჭოკმანით თქვა მამიამ, — მაგრამ მკვლე-  
 ლობა, რა ვიცი...

— ახლავე ავიხსნი! — ბიძინა კვლავ კო-  
 დექსს დასწვდა და გადაფურცლა, — სისხ-  
 ლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხან-  
 დაზმულობაც არსებობს და გამამტყუნებელი  
 განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობაც. 49-ე  
 მუხლში წერია: „პირი არ შეიძლება მიცემულ  
 იქნას პასუხისგებაში, თუ მის მიერ დანაშა-  
 ულის ჩადენის დღიდან გავიდა გარკვეული  
 ვადები, რომელზედაც კანონი მიუთითებს“.

— რა ვადებია?

— ვადა დანაშაულის სიმძიმეზეა დამოკი-  
 დებული. რაც უფრო მძიმე დანაშაულია ჩა-  
 დენილი, მით უფრო ხანგრძლივია ხანდაზმუ-

ლობის ვადაც. მაგალითად: „სამი წლის ხანდაზმულობა არის დაწესებული იმ დანაშაულის ჩადენის დღიდან, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ორი წლისა ან სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან“.

ბიძინამ ერთი წამით თავი ასწია.

— პო! „ხუთი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა და ათი წელი იმ დანაშაულის ჩადენის დღიდან, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით“.

— კარგი კანონი გვექონია, მე და ჩემმა ღმერთმა! — გაიცინა მამიამ, — მოკლავს კაცი კაცს, გადაიმალება პატარახანს და, მერე თავისუფალია!

— არც მთლად ასეა საქმე: „ხანდაზმულობის დინება წყდება, თუ კანონში აღნიშნული ვადების გასვლამდე პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე მეტი ვადით. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის გამოთვლა იწყება ახალი დანაშაულის ჩადენის მომენტიდან. ხანდაზმულობის დინება შეჩერდება თუ დანაშაულის ჩამდენი პირი დაემთხვევა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევებში ხანდაზმულობის დინება განახლებება ამ პირის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან. ამასთან, ეს პირი არ შეიძლება მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ დანაშაულის ჩადენის დღიდან გავიდა თხუთმეტი წელი და ხანდაზმულობა არ ყოფილა შეწყვეტილი ახალი დანაშაულის ჩადენით. საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობა ისეთი დანაშაულის ჩამდენ პირს, რომლისთვისაც კანონით შეიძლება სიკვდილით დასჯა დაინიშნოს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შესაძლებლად ვერ მიიჩნევს გამოიყენოს ხანდაზმულობა, სიკვდილით დასჯა არ შეიძლება დაინიშნულ იქნას და იგი თავისუფლების აღკვეთით შეიცვლება“, — სწრაფად დახტურა წიგნი ბიძინამ, — დაახლოებით ასე წყდება გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის საკითხიც, გასაგებია?

— დაახლოებით...

— მივუბრუნდეთ ბერაძეს. ხომ გახსოვთ, სანდრო რა ვითარებაში მოჰკლა?! ის კაცი მძიმედ იყო დაჭრილი, გადარჩენის იმედი არ ჰქონდა. მაღე მდევრები გამოჩნდებოდნენ და

და დაიღუპებოდნენ ყველანი, მათ შორის დაჭრილიც... დაჭრილმა თავად სთხოვა მოეკლა, ბერაძემაც თხოვნა შეუსრულა.

— ესე იგი, დანაშაული არ ჩაუდენია?

— როგორ არა! კაცის მოკვლა ყოველთვის დაუშვებელია: მაშინაც კი, თუ სიკვდილი გარდუვალია და გინდა მომაკვდავს ხვედრი შეუმსუბუქო. ოღონდ, ასეთი მკვლელობა შემამსუბუქებელ სასჯელს იმსახურებს. ესე იგი, ის შემთხვევა იყო განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოების გარეშე.

— კოდექსის 105-ე მუხლი, — ჩაერია გოჩაც.

— აბა მითხარი, გოჩა, რა სასჯელს ითვალისწინებს ეს მუხლი?

— თავისუფლების აღკვეთას თორმეტ წლამდე.

— მართალია, რა გამოდის?! იმ დანაშაულის ჩადენიდან ათი წლის შემდეგ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა ვასული იყო და ბერაძეს პასუხს ვედარ ვაგებინებდით. სწორედ ამიტომ მიუსადაგეს ბერაძეს 105-ე და არა 104-ე მუხლი.

— პო, ეს გავიგე! — გაიღიმა მამიამ, — ბარემ ისიც აგვიხსენი ნასამართლობასა და ხანდაზმულობას შორის რა განსხვავებაა.

— ნასამართლობა სასამართლოს მიერ დამნაშავეს მსჯავრის დადების სამართლებრივი შედეგია. თუ სასამართლომ კაცი დამნაშავედ სცნო და მას სისხლის სამართლის სასჯელი დაადო, იგი ნასამართლევი ითვლება.

— თუ გაამართლა?

— თუ გაამართლა ან დამნაშავედ სცნო, მაგრამ მსჯავრისაგან გაათავისუფლა, ნასამართლობა აღარ იქნება. პირობითი სასჯელისას ნასამართლობა აღმოცენდება, მაგრამ ვადის გასვლისთანავე გაქარწყლდება.

გოჩამ რაღაცის კითხვა დააპირა, მაგრამ ბიძინამ არ აცალა:

— ვიცი, რაც უნდა მკითხო. ნასამართლობა სასჯელის დამამძიმებელი, ზოგჯერ კი მკვალადიციურებული გარემოებაა. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეს „განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად“ ცნობისას. ამას გარდა, გარკვეულად, ადამიანის უფლებებსაც ზღუდავს. მაგალითად, საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის შერჩევისას მთლად თავისუფალი აღარ არის.

— ხომ ეხსნება ხოლმე ეს უბედურება კაცს?

— კი. სასჯელის მოხდინა გარკვეული დროის ვასელის შემდეგ ნასამართლობა თავისით ქარწყლდება. ვადებს, რა თქმა უნდა, კანონი ადგენს, ხანდაზმულობას ჰგავს: რაც უფრო მცირე სასჯელს მოიხდის დამნაშავე,

მით მალე გაქარწყლდება ნასამართლობაც. ვთქვათ, ექვს წელზე მეტი და ათზე ნაკლები თუ ჰქონდა მისჯილი, ნასამართლობა სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ გაუქმარწყლდება.

— თუ ათზე მეტი ჰქონდა?

— განსაკუთრებით საშიშო რეციდივისტს და ათწლიანებს არასდროს არ უქარწყლდებათ.

— სულ ასე უნდა იყვნენ?

— არა. ასეთ კაცს ნასამართლობა არ უქარწყლდება, მაგრამ სასჯელის მოხდიდან რვა წლის განმავლობაში თუ არაფერი დაწავა და პატიოსანი ცხოვრებით დაამტკიცებს თავის კაიკაცობას, მაშინ, სასამართლო მოუხსნის ნასამართლობას. ხომ ხვდებით, ერთია თავისით გაქარწყლება და მეორე, სასამართლოს მიერ მოხსნილი. აი, 57-ე მუხლის დანარჩენ ნაწილს წაგიკითხავთ:

„თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მოხდის შემდეგ სამაგალითო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ამ მუხლში აღნიშნული ვადების გასვლამდე. თუ პირი სასჯელისაგან ვადამდე იყო გათავისუფლებული კანონით დადგენილი წესით, მაშინ ნასამართლობის გაქარწყლებისთვის საჭირო ვადა გამოითვლება ფაქტიურად მოხდილი სასჯელისაგან (ძირითადისა და დამატებითისაგან) გათავისუფლების მომენტიდან. თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილია უფრო მსუბუქით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადები გამოითვლება სასჯელის მოხდილი ვადი-

დან, უფრო მსუბუქი სასჯელის (ძირითადისა და დამატებითის) მოხდის მომენტიდან. თუ პირი, რომელმაც მოიხადა სასჯელი, ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდენს დანაშაულს, ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადის მიმდინარეობა წყდება. პირველი დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა ხელახლა გამოითვლება უკანასკნელი დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელის (ძირითადისა და დამატებითის) ფაქტიურად მოხდის შემდეგ. ამ შემთხვევაში პირი ითვლება ნასამართლობის მქონედ ორივე დანაშაულისათვის, ვიდრე გავიღოდეს ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა“ — ბიძინამ წიგნი დახურა, — როგორ არის საქმე?

— ცუდად, — ამოიხენწეშა მამიამ — მხოლოდ ძირითადი გავიგე.

— მთავარი ძირითადია, ყველაფერს ნუ გამოეკიდებით, იურისტები ხომ არ ხართ! ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნისას ქრება მისი სამართლებრივი შედეგები. ესე იგი, კაცი ალარ. ითვლება ნასამართლებად. ეს ხომ გაიგე?

— ახლა, კი.

— მაშ ასე. გაქარწყლება თავისით, ავტომატურად ხდება, ამას არაფერი საბუთი არ ჭირდება. ხოლო ნასამართლობის მოხსნა სასამართლოს შესაბამისი განჩინებით ხდება. ამ საბუთს ნასამართლობამოხსნილს აძლევენ. ახლა კი ამით დავამთავროთ.

— კი, ბატონო, მეც გვარიანად დავიდალე, — თქვა მამიამ და გამარჯვებული მხედართმთავარივით დაუქნია ხელი შვილიშვილს, წავედიოთ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# გზისგანმარტვა

## ქართველი ადვოკატების წვლილი

ჩინოვების ატომურ ელექტროსადგურში მომხდარმა ავარიამ ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაადასტურა საბჭოთა ადამიანების მონოლითურობა და გაჭირვების უამს დაზარალებულებთან თანდგომის უნარი. ეს კი საბჭოური ხასიათის ცნობილი თვისებაა და ჩერნობილში თითქმის ყოველდღიურად მიდის ამანათები თუ პირადი დანაწოგები, რაც იმათ კეთილდღეობასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს, ვინც მოულოდნელად თავსდატეხილი უბედურების შედეგად დაზარალდა.

ამ მართლაც გამორჩეულ პატრიოტულ ინიციატივას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ქართველი ადვოკატები. ჩერნობილის დაზარალების ფონდში მათ მიერ გასაგზავნ 2500 მანეთს, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა თავისი აპარატის ყველა მუშაკის თითო დღის ხელფასიც დაუმატა და მთლიანი თანხა № 191016 ანგარიშზე გადარიცხა.

სსრ  
საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის კონსულტანტი.

160

სსრ

სსრ

სსრ

სსრ


## პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკები საქართველოში

1986 წლის აგვისტოში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკთა დელეგაცია ამ ქვეყნის გენერალური პროკურატორის იოზეფ შიბას მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის გენერალური პროკურატორის მრჩეველი იან მაღეცი და გდანსკის სავოევოდოს პროკურატორი რიშად ზემპარი. დელეგაციას თან ახლდა სსრ კავშირის გენერალური პროკურატორის მოადგილე მ. ვ. სოროკა.

ცანებზე ისაუბრეს, რაც სკკ XXVII ყრილობამ დაუსახა აღმინისტრაციულ ორგანოებს და შემდეგ პრაქტიკულად გააცნეს რესპუბლიკის საგამოძიებო მუშაობის ორგანიზაცია, საპროკურორო ზედამხედველობის პრინციპები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის დროს სასამართლოებში, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა, საქართველოს სსრ სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა და სხვ.

განსაკუთრებით სამახსოვრო იყო საქართველოს სსრ პროკურატურის კოლექტივის შეხვედრა პოლონელ კოლეგებთან, სადაც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურატორი მ. ვ. რაზმაძე. მან ვრცლად ილაპარაკა პოლონეთ-საქართველოს ისტო-

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკები მიიღო საქართველოს სსრ პროკურატორმა მ. ვ. რაზმაძემ. რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელმა მუშაკებმა პოლონელ სტუმრებთან ჯერ იმ ამო-



რიულ მეგობრობაზე, რომელიც თითქმის ხუთ საუკუნეზე მეტს ითვლის და აღნიშნავს კარგი ტრადიციები ორი ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას რომ მოჰყვა. დღეს ყველამ კარგად იცის ის შედეგები — თქვა მომხსენებელმა — რაც პოლონელებსა და ქართველების ლიტერატურულ, კულტურულ, სპორტულ, სავაჭრო თუ სხვა ურთიერთობებს მოჰყვა. ეს მიღწევები მართლაც საამაყო და საგულისხმაა.

შეხვედრაზე პოლონელ სტუმრებს მიესალმნენ საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი ბ. თითბარძიძე, განყოფილებათა პროკურორები ვ. ხმარინაძე, ა. მირინაშვილი, ვ. ხრონიძე, განყოფილების უფროსი პროკურორი ნ. ამბოკაძე და სხვ.

საპასუხო სამადლობელი სიტყვა წარმოიტყვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ი. შიტამ. მან მადლობა გადაიხადა ასეთი გულთბილი შეხვედრისათვის და იმის რწმენა გამოთქვა, რომ ქართველი და პოლონელი ხალხების მრავალ-

მხრივ მეგობრობასთან ერთად დაიხვეწება აგრეთვე საქართველოსა და პოლონეთის პროკურატურების ორგანოთა ურთიერთობა, უფრო ხშირად მოხდება მათი პროფესიული გამოცდილებების გაზიარება.

ფართო იყო პოლონელი სტუმრების კულტურული პროგრამაც. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს ჩვენი დედაქალაქის ისტორიული ძეგლები, იყვნენ კომპაგვირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში, თავის სახელოსნოში ესტუმრნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვარს, ლენინური პრემიის ლაურეატს ზ. წერეთელს, მონახულეს თბილისის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილებიც. თბილისის გარდა ისინი იყვნენ აგრეთვე მცხეთაში, გორში, თელავში, წინანდალში, საიდანაც წარუშლელი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

ამ მოგზაურობის დროს სტუმრებს თან ახლდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე მ. ვ. სოროკა და საქართველოს სსრ პროკურორი ვ. ა. რაჭმაძე.

\* \* \*

**პოლონელი სტუმრების საქართველოდან გამგზავრების რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს სსრ პროკურორის სახელზე ქალაქ ვარშავიდან მოვიდა დეპეშა, რომელსაც მთლიანად ვთავაზობთ შურნალის მკითხველებს:**

**„ღრმად პატივცემულო, ამხანაგო რაჭმაძე!“**


სოციალისტურ საქართველოში ყოფნამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ჩვენ შევძელით ყოველმხრივ გავცნობოდით პროკურატურის მუშაობის საკვანძო პრობლემებს, განსაკუთრებით სკკპ XXVII ყრილობის წინაწარდასახულობათა ცხოვრებაში განხორციელების საკითხებს. ჩვენ გავიცანით ბევრი შესანიშნავი ადამიანი და დავათვალიერეთ განსაკუთრებით ძვირფასი კულტურის ძეგლები თქვენი ქვეყნისა, რომელსაც უძველესი, ბრწყინვალე და გმირული ისტორია აქვს. ამან სამარადუაშო წვლილი შეიტანა პოლონელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურდვევი მეგობრობის განმტკიცებაში.

**ძვირფასო ამხანაგო, ვახტანგ აპოლონის ძე!**

მიიღეთ ჩვენგან ყველაზე გულთბილი მადლობა ასეთი თბილი და შედეგიანი დახვედრისათვის. უდიდეს მადლიერებას განვიცდით თქვენი და თქვენი თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც ცდა არ დაიშურეს, რათა ჩვენი ყოფნა თქვენთან მაქსიმალურად სასარგებლო და სასიამოვნო ყოფილიყო.

გისურვებთ შემდგომ დიდ მიღწევებს თქვენს საქმიანობაში პროფესიულ და პოლიტიკურ სარიელზე, ჯანმრთელობასა და ყველაზე დიდ წარმატებებს პირად ცხოვრებაში.

**პატივცემვით იოზეფ შიტა“.**



## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტთა დელეგაცია საქართველოში

საბატრეველოში სამ დღეს იყო ჩვენს ქვეყანაში მყოფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, იუსტიციის მინისტრი ჰ. ი. ჰოინინგერი. რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს სტუმრებს ახლდა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ბ. პ. პარპინკინი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში დელეგაცია შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს ბ. პ. ნიკოლაძის. მეორე დღეს გაიმართა შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან მ. ა. ჩიქაშვილთან. საუბრების დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ლაპარაკი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს მშრომელთა წარმატებებზე, პლანეტაზე მშვიდობის დამკვიდრებაში მათს წვლილზე, ამოცანებზე, რომლებიც სამართალდაცვითი ორგანოების წინაშე დგას ეკონომიკური და სოციალური განვითარების, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების საქმეში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტთა დელეგაცია გაეცნო საქართველოს უმაღლესი სასამართლოს საქმიანობაში თანა-

მედროვე ტექნიკის გამოყენების გამოცდილებას. გაიმართა აგრეთვე შეხვედრა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში, რომლის დროს შეეხებენ კანონპროექტებისა და სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მარეგულირებელი სხვა საწარმოებო აქტების მომზადებისა და მიღების პროცესების საკითხებს, კადრების შერჩევისა და განწილების, სამართლებრივი პროპაგანდის ორგანიზაციის პრობლემებს.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის დირსხესანიონაობანი, იყვნენ მცხეთასა და გორში, შეხვდნენ რესპუბლიკის მუშებსა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

25 აგვისტოს დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. თბილისის აეროპორტში იგი გაციულეს მ. ა. ჩიქაშვილს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ა. ბანაბაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. პ. მელქაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ მ. ბ. ბაძრაძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ბ. ა. უშუბანაშვილმა, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბ. პ. პარპინკინმა.

## ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა

გაიმართა ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის გაფართოებული კოლეგია, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სატრანსპორტო სამმართველო.

კოლეგიაზე მოწვეულ იყვნენ ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის მოადგილეები და თანაშემწეები, განყოფილებათა უფროსები, სოხუმის, ფოთის, ბათუმისა და სამტრედიის სატრანსპორტო პროკურორები, საქართველოს შინაგან საქმეთა სატრანსპორ-

ტო სამმართველოს უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსები და მათი მოადგილეები, ქ. თბილისის, ქუთაისისა და რესპუბლიკის რიგი სხვა ქალაქების შინაგან საქმეთა სახალხო განყოფილებათა უფროსები და მოადგილეები.

კოლეგიამ მოიხილა ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსის ბ. გილიაშვილის და საქართველოს შინაგან საქმეთა სატრანსპორტო სამმართველოს სისხლის სამარ-

თლის სამძებრო განყოფილების უფროსის ი. გელაძის ინფორმაციები. საკითხი შეეხო 1985 წლის და 1986 წლის პირველ ნახევარში სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვაში სისხლის სამართლის საქმეთა შეჩერების კანონიერებას, მათ განსხვავებულ გატარებულ ოპერატიულ საქმეებში ღონისძიებათა ეფექტიანობას და შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილებების მიერ ტვირთის დაუცველობასთან საბრძოლველად გაწეულ იმ მუშაობას, რომელიც დანაკლისებსა და დატვირთვებზე შედგენილი კომერციული აქტების გადაწყვეტაზე კონტროლის ინფორმაციული უზრუნველყოფის ავტომატიზირებული სისტემის გამოყენების საფუძველზე წარმოებას.

აღინიშნა, რომ სატრანსპორტო სამართალდაცვითმა ორგანოებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მოძრავი შემადგენლობიდან ტვირთის დატვირთვის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. კომერციული აქტების მოძრაობაზე კონტროლის ავტომატიზირებული სისტემის დანერგვამ მნიშვნელოვნად შეამცირა ამიერკავკასიის რკინიგზის ზარალი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ტვირთის დაუცველობით გამოწვეული დატვირთვა უკანასკნელ ხუთ წელიწადში ოთხჯერ შემცირდა. ამ საკითხთა სისტემატური განვითარება და ანალიზი, ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სატრანსპორტო სამმართველოს, სატრანსპორტო სამართალდაცვითი ორგანოების საკოორდინაციო საბჭოს, საუწყებოთაშორისო ოპერატიული თათბირების მუდმივი ყურადღებისა და მსჯელობის საგანია. ტვირთის დატვირთვის თითქმის ყველა გაუხსნელი საქმე განიხილება ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სატრანსპორტო სამმართველოს გამსვლელ ოპერატიულ თათბირებზე, რომლებშიც მონაწილეობენ სატრანსპორტო პროკურორები, შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების უფროსები, გამომძიებლები და სისხლის სამართლის სამძებროს ოაერმუშაკები. ამგვარი გავსებები მოეწყო სოხუმსა და სამტრედიაში, სადაც განხილულ იქნა ასეთი საქმეები და დაიხსნა მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული გზები.

სახალხო-სამეურნეო ტვირთის კონტენტრაციის ადგილებში, სატვირთო ეზოებში, საკონტინერო მოედნებსა და სხვა ობიექტებზე გასულ წელს და მიმდინარე წლის მთვლელობის სისხლის სამართლის სამძებროს სამსახურების ძალდებით მოეწყო 5698 რეიდი, შემოწმდა 29.805 სატვირთო შემადგენლობა, რომელთაგანაც 1095 მიტოვებული აღმოჩნდა.

გატარებულ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შედეგად 1985 წელს წინა წელთან შედარებით მოძრავი შემადგენლობებიდან ტვირთის დატვირთვა 24 ერთეულით შემცირდა. შესაბამისად შემცირდა მიყენებული ზარალი — 168.850 მანეთი 276.216 მანეთის ნაცვლად. მართალია მიმდინარე წლის ექვს თვეში ასეთ შემთხვევათა ზრდა შეიმჩნევა, მაგრამ ეს დროებითია და წლის ბოლოს უკეთესი მაჩვენებლები იქნება.

კოლეგიამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სატრანსპორტო სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. აღსანიშნავია, რომ ტვირთის დატვირთვის მრავალი ფაქტი დღესაც გაუხსნელია და დამნაშავენი დაუსჯელნი არიან. განსაკუთრებით სავალალოა მდგომარეობა ამ მხრივ სადგურ თბილისის საკვანძო შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილებაში.

ასეთი კატეგორიის საქმეთა გახსნის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია გამოძიებულთა სუსტი პროფესიული მომზადებით, პირველდაწყებით საგამომძიებო მოქმედებების არაოპერატიულობით, მოკვლევისა და შინაგან საქმეთა ტერიტორიული ორგანოების ცუდი ურთიერთკავშირით, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების არასთანაღო გამოყენებით. სადგურ თბილისის და თბილისისაკვანძოს შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილებებიდან გამოთხოვილი ამ კატეგორიის 200 საქმიდან, ცხრამეტზე გაუქმდა არაღმკვრის დადგენილება და მასალები გადაეგზავნა ქ. თბილისის პროკურორს.

კვლევი არასთანაღო ყურადღება ექცევა ტვირთის დატვირთვისადრეული გაუხსნელი საქმეების შესწავლას, ოპერატიულ-საძიებო ღონისძიებათა განხორციელებას. ამ მიზეზით ასეთი კატეგორიის საქმეები წლიდან წლამდე მატულობს.

ჭერ კიდევ გვხვდება ტვირთის დატვირთვის საქმეთა ვალაზე აღრე შეწყვეტის შემთხვევები. არცთუ იშვიათია, როდესაც შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილებები დაუსაბუთებლად აგზავნიან მასალებს სხვა ინსტანციებში, მაგრამ სავსებით სამართლიანად ისინი უკანვე უბრუნდებიათ. ასე იკარგება ოპერატიული მოქმედების შესაძლებლობა და მცირდება საქმის გახსნის პერსპექტივა. ზღედა ისიც, რომ დავიანებით იგზავნება ინფორმაციები ამიერკავკასიის რკინიგზის კონტროლის ავტომატიზირებულ სისტემაში, რაც უარყოფითად მოქმედებს ამ კატეგორიის საქმეთა გახსნის მაჩვენებელზე.



არასათანადო დონეზეა საპროკურორო წე-  
დამხედველობა ტვირთის დატაცების საქმე-  
თა გამოძიებაზე. სატრანსპორტო პროკურო-  
რები არაჯეროვნად სწავლობენ შეწყვეტილ  
საქმებს, არ ამოწმებენ მათ ირგვლივ მიღებუ-  
ლი გადაწყვეტილებების კანონიერებას და  
ა. შ.

გაფართოებულ კოლეგიაზე გაიმართა საქ-  
მიანი სჯა-ბაასი, რომელშიც მონაწილეობდ-  
ნენ ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკუ-  
რორი რ. შიშინანი, კოლეგიის წევრები ნ.  
აბმსხმე და ბ. ბაძრბამი, სოხუმის სატრანს-  
პორტო პროკურორი ს. ბზნაზა, სამტრედიის  
სატრანსპორტო პროკურორი ი. ბეშუაშვი-  
ლი, საქართველოს შინაგან საქმეთა სატრან-  
სპორტო სამმართველოს საგამოძიებო გან-  
ყოფილების უფროსი ნ. დარბახვილიძე, სად-

გურ თბილისი-საკვანძოს შინაგან საქმეთა  
სახაზო განყოფილების უფროსი ვ. ბაძრბ-  
ამი, სადგურ ქუთაისის შინაგან საქმეთა სახა-  
ზო განყოფილების უფროსის მოადგილე რ.  
ბაძრბამი, საგურ სამტრედიის შინაგან საქმე-  
თა სახაზო განყოფილებს უფროსი ვ. მხნი-  
ლაძე, საქართველოს სსრ პროკურორის მო-  
ადგილე თ. კილაშა.

განხილულ საკითხზე კოლეგიამ მიიღო  
დადგენილება, რომლითაც არადამაკმაყოფი-  
ლებლად შეფასდა სატრანსპორტო სამარ-  
თალდაცვითი ორგანოების მუშაობა სახალხო-  
სამეურნეო ტვირთის დატაცების საქმეებზე.  
აქვე დაისახა მდგომარეობის გამოსწორების  
კონკრეტული გზები.

თამაზ მირიანაშვილი

### სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ერთობიური

საჩხერის რაიონის ყველა სასოფლო საბ-  
ჭოში, მსხვილ წარმოება-დაწესებულებაში და  
კოლმეურნეობაში ამასწინათ ჩატარდა საზო-  
გადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სა-  
მართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ერთ-  
თვითური, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის  
უმალესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებუ-  
ლებას „უშრომელი შემოსავლის მიღების  
წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

მშრომელთა წინაშე საინტერესო ლექციე-  
ბით გამოვიდნენ რაიონის შინაგან საქმეთა  
განყოფილების უფროსი ვ. გოგახაძე, რაიო-  
ნის პროკურორი კ. ყიფიანი, სახალხო სასა-  
მართლოს თავმჯდომარე ი. მოდებაძე, საჩ-  
ხერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბ-  
ჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველ-  
ყოფის განყოფილების გამგე მ. აბრამიშვი-

ლი, რაიონის პროკურატურის გამომძიებელი  
თ. დეკანოიძე, შინაგან საქმეთა რაიგანყო-  
ფილების უფროსის მოადგილე მ. ერგემლი-  
ძე, სახალხო დეპუტატთა საჩხერის რაისაბ-  
ჭოს აღმასკომის მმარის განყოფილების გამ-  
გე კ. კაპანაძე და შინაგან საქმეთა რაიგან-  
ყოფილების საგამოძიებო ჯგუფის უფროსი  
ბ. გოგობერიშვილი.

სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის  
ერთთვითურმა ხელი შეუწყო მოსახლეობაში  
სამართლებრივი ცოდნის შემდგომ გავრმა-  
ვებას.

მიხეილ აბრამიშვილი,

საჩხერის სახალხო დეპუტატთა რაიონუ-  
ლი საბჭოს აღმასკომის სოციალური უზ-  
რუნველყოფის განყოფილებს გამგე.

---

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 5, 1986 (на грузинском языке) Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

---

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-88-49, 95-58-87.

---

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

---

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии  
Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 186/199



წიგნი 60 353.

ინდექსი 76185

